აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

თინათინ ევდოშვილი

სომხური წყაროები თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობის შესახებ

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დისერტაცია

07.00.11
აღმოსავლეთის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია

სამეცნიერო ხელმძღვანელები: **ზაზა ალექსიძე**
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
დავით კაციტაძე
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

თბილისი
2006

ს ა რ ჩ ე ვ ი:

შესავალი - 1

თავი I. წყაროები და ლიტერატურა თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობების შესახებ - 2

ა) წყაროები - 2

ბ) ლიტერატურა - 45

თავი II. თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში სომხური წყაროების მიხედვით - 70

თავი III. ქართლის ცხოვრებისა და სომხური წყაროების ურთიერთმიმართების საკითხისათვის - - - - - - - - - - - -123

დასკვნა - 138 გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა - - - - - - - - -141

დანართი:

თემურ-ლენგის პირველი ლაშქრობების ისტორია დაწერილი სტეფანე და ნერსე მეწოფელების მიერ (სომხური ტექსტის თარგმანი და შენიშვნები)

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თემურ-ლენგის შემოსევათა შესახებ თანადროული ქართული წყაროები მცირეა. მათი მონაცემები საკმარისად ვერ ასახავენ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე ქვეყანაში შექმნილ მძიმე ვითარებას. ამდენად, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ყველა ის უცხო-ენოვანი წყარო (სპარსულ-სომხურ-არაბულ-ბერძნულ-ესპანურენოვანი), რომლებიც "აზიის დიდი დამპყრობლის"[1] საქართველოში შემოსევების შესახებ გვაწვდიან ცნობებს. ამ წყაროთა შორის ჩვენი კვლევის ობიექტია სომხურ წყაროებში დაცული მასალა. ისინი საინტერესო ინფორმაციას იძლევიან ამ ეპოქის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობისა და კონკრეტული ისტორიული ფაქტების გამოკვლევისა თუ დაზუსტების მიმართულებით. ამავე დროს, XVIII საუკუნის ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებისა ("სწავლულ კაცთა" კომისიის "ახალი ქართლის ცხოვრება", ვახუშტი ბატონიშვილის "აღწერა სამეფოსა საქართველოსა") და სომხური წყაროების ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევაც მეტად მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ XIV_XV საუკუნეებში შექმნილი სომხური წყაროები ძირითადად ცნობილია ქართველი ისტორიკოსებისათვის და მათი მონაცემების გამოყენებასაც საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია აქვს, დროთა განმავლობაში ახალი წყაროების გამომჟღავნების კვალდაკვალ აქტუალური ხდება, ერთი მხრივ, მათი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა, ხოლო მეორე მხრივ, უკვე კარგად ცნობილი და ახლად მოძიებული მასალის კომპლექსური შესწავლა-დამუშავება.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს სომხური წყაროების წარმოჩენასა და განხილვას, რომელებშიც დაცულია ცნობები თემურ-ლენგის საქართველოში შემოსევების შესახებ.

ვიდრე უშუალოდ ამ წყაროების მონაცემების განხილვაზე გადავიდოდეთ, მოკლედ მიმოვიხილავთ ქართულსა და უცხო ენებზე არსებულ იმ მასალას, რომელიც თემურ-ლენგის შემოსევების შესახებ მოგვითხრობს.

---

[1] ვ. გაბაშვილი, თემურ-ლენგი, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 216.

თ ა ვ ი I

წყაროები და ლიტერატურა თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობების შესახებ

ა) წყაროები

ჩვენამდე მოღწეული თანადროული ქართული წყაროები უკიდურესად მწირია. ივანე ჯავახიშვილი წერდა: "მე-14-15 სს. ქართული საისტორიო ძეგლების მთლიანად დაღუპვამ საქართველოს ისტორიის ამ ხანის მკვლევარი ისეთ უცნაურ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ საქართველოს მაშინდელი ამბებისა და საერთო ვითარების გამოსარკვევად უცხო, თანაც სწორედ მტრისაგან დაწერილი წყაროს გამოყენების გარდა, თითქმის აღარავითარი სხვა საშუალება აღარ მოეპოვება"[2]. ნიკო ბერძენიშვილის თქმით კი ამ დროიდან მხოლოდ "უბირი ქრონიკები"[3] შემოგვრჩა. ჩვენამდე მოღწეული რამდენიმე ქრონიკალური ხასიათის ჩანაწერი შემდეგ ინფორმაციას შეიცავს: 1375 წელი აღნიშნულია თემურ-ლენგის გამოჩენითა და მის მიერ აღმოსავლეთის დაპყრობით[4]; 1385 წლისა და 1387 წლის ჩანაწერები ერთსა და იმავე ფაქტს, კერძოდ, თბილისის აღებას, ბაგრატ V-ისა და ანა დედოფლის დატყვევებას სხვადასხვა თარიღით აღნიშნავს[5]; 1393 წლის ჩანაწერი ბაგრატ მეფის მიერ თემურ-ლენგის სპის ამოწყვეტასა და თბილისის აღებას გვაუწყებს[6]; 1394 წლით აღინიშნება ქართლისა და სომხითის წარტყვევნა, ბაგრატ მეფის თემურ-ლენგთან ბრძოლა და ქართველთა დამარცხება[7]. 1396 წლის ჩანაწერი კი გიორგი მეფის ალინჯის ციხეზე წარმატებულ ლაშქრობას ეხება[8].

რკონის მონასტრის 1400 წლით დათარიღებული წარწერა იუწყება თემურ-ლენგის მიერ რკონისა და სხვა ეკლესიების დაქცევის შესახებ[9]. ამავე წლის ლარგვისის პარაკლიტონის მინაწერი მოკლე ცნობას გვაძლევს გიორგი მეფისა და ვირშელ

---

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1982, გვ. 182.
[3] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III, თბ., 1966, გვ. 331.
[4] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჯორდანიას მიერ, წიგნი მეორე, ტფ., 1897, გვ. 189.
[5] იქვე, გვ. 191, 199.
[6] იქვე, გვ. 200.
[7] იქვე, გვ. 201.
[8] იქვე, გვ. 201.
[9] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 204.

ერისთავის ალინჯის ციხიდან გამარჯვებით დაბრუნების შემდეგ თემურ-ლენგის ურიცხვი ლაშქრის საქართველოში შემოსევის, ქვეყნის "დასავლეთამდის" მოოხრებისა და ეკლესია-მონასტრების დანგრევის შესახებ. მინაწერის ავტორი, გრიგოლ ბანდასძე ავგაროზის შვილი, იმ სამუშაოების შესახებაც მოგვითხრობს, რაც მას საკუთარი სახლეულისა და ლარგვისის მონასტრის აღსადგენად ჩაუტარებია[10].

ერთადერთი შემორჩენილი ნარატიული წყარო, საგვარეულო მატიანე "ძეგლი ერისთავთა"[11], დაწერილია 1348-1400 წლებს შორის ლარგველი მოღვაწის, ავგაროზ ბანდაისძის მიერ[12]. ქსნის ერისთავთა საგვარეულოს ისტორიის აღწერის ფონზე თხზულებაში დაცულია მოკლე, მაგრამ მეტად საინტერესო ცნობები გიორგი VII-ის მიერ ალინჯის ციხის აღების, თემურ-ლენგის 1400 წლის შემოსევის, ვირშელ ქსნის ერისთავის დამპყრობლის წინააღმდეგ ბრძოლის, შინაგამცემლობისა და თემურის მიერ მთელი ქვეყნის აოხრების შესახებ: "შემუსრა ყოველნი ციხენი და დააქცივნა ყოველნი საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და დაფარ[ნ]ა ლაშქარმან მათმან ყოველნი მინდორნი, მთანი და ტყენი, კლდენი და ჴევნი, და ვითარცა ზღუამან დაფარა ყოველი ესე ქუეყანაჲ.და მიეწია ლაშქარი მათი ქუთათის[ს], ლეკეთს და დარიალსა და მოწუეს და მოაოჴრეს ყოველი საქართველოჲ, დაყარეს მძორი მკუდრისაჲ, ვითარცა მჭელი თივისაჲ"[13]. "ძეგლი ერისთავთა" მნიშვნელოვანი წყაროა XIV საუკუნის საქართველოს სოციალური ისტორიის თვალსაზრისითაც. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქსნის ერისთავებისა და დვალთა ურთიერთობის ამსახველი მასალა.

XIV-XV საუკუნეების საქართველოს ისტორიის ამსახველი საისტორიო წყაროების ნაკლებობის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენამდე შემორჩენილ შუა საუკუნეების ქართული სამარა-თლის ძეგლებს. სხვადასხვა სახის საეკლესიო თუ საერო ხასიათის დოკუმენტებში _ სიგელ-გუჯრები, საჩივრის წიგნები _ დაცულია მასალა ჩვენთვის საინტერესო ეპოქის შესახებაც. თავიანთი სპეციფიკიდან გამომდინარე უმეტესობა მათგანი თუმცა არ შეიცავს პირდაპირ ცნობებს თემურ-ლენგის ლაშქრობების

[10] ქრონიკები..., გვ. 204-205.
[11] შოთა მესხია, ძეგლი ერისთავთა, ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 21, თბ., 1954, გვ. 305-374.
[12] იქვე, გვ. 321.
[13] შ. მესხია, ძეგლი ერისთავთა, გვ. 359.

შესახებ, მაგრამ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურსა და შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე.

თემურ-ლენგის შემოსევებით ქვეყნისათვის მიყენებული ვნებისა და შემდგომში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მოიპოვება 1401-1415 წლების ამირეჯიბთა[14] და 1440 წლის ალექსანდრე მეფის სიგელებში[15].

თემურ-ლენგის საქართველოში შემოსევების, მის მიერ მცხეთისა და სვეტიცხოვლის დანგრევისა და ალექსანდრე დიდის მიერ დედაქალაქისა და საყდრის აღდგენის შესახებ მოკლე ცნობა არის შემონახული 1447 წლის 25 დეკემბრით დათარიღებულ ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში, რომელსაც გიორგი VIII ამტკიცებს[16].

განხილულ წყაროთა შეფასებისას შეიძლება ითქვას, რომ მათი ცნობები ვერ ასახავს თემურ-ლენგის ყველა შემოსევას. თითქმის ყველა ცნობაში ქვეყნის ნგრევისა და გაპარტახების ზოგადი აღწერის მიუხედავად ისინი ფაქტობრივი მასალის სიმწირითა და, მრავალ შემთხვევაში, ქრონოლოგიური უზუსტობებით ხასიათდებიან. ამ ნაკლოვანებათა გამო ქართული თანადროული წყაროები ვერ ასახავენ XIV_XV საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში შექმნილ მდგომარეობას.

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული საისტორიო მწერლობა თანდათან იწყებს აღორძინებას. ჩვენთვის ცნობილი პირველი ავტორი, ვინც XIV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიას აღწერს არის ფარსადან გორგიჯანიძე. იგი მეტად საინტერესო ბიოგრაფიისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის მქონე პიროვნებაა. ფარსადანი ქალაქ გორში დაიბადა 1626 წელს. ათი წლის იყო, როცა ქართლის მეფე როსტომმა (ხოსროვ-მირზა) (1633-58) თავის კარზე წაიყვანა, აღზარდა და დააქორწინა კიდეც. ფარსადანს სამეფო კარზე იმდენად კარგად შეუსწავლია სპარსული და მეფეც იმდენად ენდობოდა, რომ რამდენჯერმე გაუგზავნია ირანში საგანგებო დავალებების შესასრულებლად. ამ დროიდან მისი ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდა სეფიანთა სახელმწიფოს. 1656 წლიდან ფარსადან გორგიჯანიძე ირანში მკვიდრდება. როსტომ მეფის წარდგინებით, რჯულის შეცვლის შემდეგ, შაჰ-აბას II ფარსადანი სეფიანთა ირანის დედაქალაქის _

[14] ქრონიკები..., გვ. 208.
[15] იქვე, გვ. 247-249.
[16] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970, გვ. 187.

ისპაჰანის დაღრუღად ანუ მოურავად დანიშნა. თუმცა მალევე გადააყენა და ახლა ბოქაულთუხუცესობა უბოძა. ირანში ფარსადანის ორმოცწლიანი კარიერა არც ამის შემდეგ ყოფილა ერთნაირად წარმატებული. შაჰის კარის ინტრიგებში ჩართული ფარსადანი ჯერ შაჰ-აბასმა გადაასახლა შუსრეთში ექვსი წლით (1666-1671), ხოლო შემდეგ 1689-1691 წლებში შაჰ სოლეიმანის რისხვაც დაატყდა თავს[17]. რ. კიკნაძე აღნიშნავს, რომ "როგორც კი ფარსადან გორგიჯანიძეს ხელი მოეცარებოდა პოლიტიკურ სარბიელზე, სახელმწიფო საქმეებს ჩამოაშორებდნენ და თავისუფალი დრო გაუჩნდებოდა, მაშინვე გააცხოველებდა ხოლმე კულტურულ-სამეცნიერო საქმიანობას"[18]. ფარსადანის მოღვაწეობა ამ მიმართულებით საკმაოდ მრავალფეროვანია. მან მონაწილეობა მიიღო "შაჰ-ნამეს" ქართული ვერსიების გადაწერასა და გალექსვა-რედაქტირებაში; შეადგინა ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი; თარგმნა "ჟამი-აბასი _ მუსურმანთ სასჯულო წიგნი და ყანუნი"[19]. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია საისტორიო თხზულება, რომელშიც აღწერილია საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების ისტორია ქართლში ქრისტიანობის გავრცელებიდან 1694 წლამდე.

ფარსადან გორგიჯანიძის "საქართველოს ცხოვრება" კომპილაციური ხასიათის თხზულებაა. ამ ნაშრომის კვლევასა და შესწავლას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. პირველად იგი მარი ბროსემ გამოიყენა თავის საქართველოს ისტორიაში[20].

ივ. ჯავახიშვილი ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაზე მსჯელობისას აღნიშნავდა, რომ როცა ეს თხზულება იწერებოდა, "ვახტანგის მიერ შეკრებილ "სწავლულ კაცთა" კომისიას ქართლის ცხოვრების შევსება და გაგრძელება არამცთუ დამთავრებული არა ჰქონდა, ჯერ, ვგონებ, დაწყებული არც კი ჰქონდა. მით უფრო საყურადღებოა ამ მხრივ ფარსადან გორგიჯანიძის ნაწარმოები რადგან იგი საქართველოს საზოგადო ისტორიასა სწერს უძველესი დროითგან მოყოლებული თავის დრომდე... ჩვენი ისტორიკოსი თავისით მოქმედებდა და არავისათვის მიუბაძნია _ ეს

[17] რევაზ კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", თბ., 1975, გვ. 10-16.
[18] იქვე, გვ. 16.
[19] რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", გვ. 8-9.
[20] იქვე, გვ. 9 .

შეადგენს მის ნაკლსაც და ღირსებასაც”[21]. გამოყენებული წყაროების მიხედვით მკვლევარმა ნაშრომი ოთხ ნაწილად დაყო. თემურ-ლენგის შემოსევების ამსახველი მასალა და 1636 წლამდე ისტორია მან მესამე ნაწილად გამოჰყო. ეს ნაწილი მთლიანად სპარსულენოვან წყაროებზეა დაფუძნებული.

ივ. ჯავახიშვილი შეეხო ფარსადან გორგიჯანიძის მიერ თემურ-ლენგის შემოსევების აღწერისას გამოყენებული სპარსული წყაროების საკითხსაც[22]. უფრო მოგვიანებით დავით კაციტაძემ სპეციალურად შეისწავლა ეს საკითხი[23].

XVII საუკუნეში ქართული კულტურის აღორძინება მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის (1675-1737) სახელთან. იგი იყო გამოჩენილი პოლიტიკოსი, სარდალი, დიპლომატი მეცნიერი და პოეტი ამასთანავე იგი ფაქტობრივად პირველ ქართველ პოლიგრაფოსად გვევლინება. პრაქტიკულად არ მოიძებნება სფერო, იქნება ეს ადმინისტრაციულ-სამეურნეო, სამართლებრივი, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური და კულტურული, რომლისათვისაც ყურადღება არ მიექცია ამ ფართე დიაპაზონისა და დრამატული ბედის მქონე ქართველ მოღვაწეს. ქართლის პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ქართლში ვახტანგ VI-ის ჯანიშინობის პერიოდი _ 1703-1712 წლებია[24]. თუმცა მას არც მეფობისა და არც პოლიტიკური მარცხის შედეგად რუსეთში გადასახლების შემდეგ შეუწყვეტია ზრუნვა საქართველოს პოლიტიკური თუ კულტურული წინსვლისათვის. ვახტანგ VI-ს მრავალ კულტურულ წამოწყებათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქართველოს ისტორიის შედგენა იყო.

მისი ინიციატივით შეიქმნა “სწავლულ კაცთა” კომისია, რომელსაც ძველთაგანვე არსებული “ქართლის ცხოვრების” გამართვა და XIV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის აღწერა დაევალა. კომისიის ნაშრომის შესავალში ნათქვამია “პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება განრყუნილ იყო, რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე ჟამთა ვითარებათაგან არღარა წერებულ იყო.

---

[21] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებები თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 287.
[22] იქვე, 291-292.
[23] დ. კაციტაძე, ფ. გორგიჯანიძის თხზულებისა და “ქართლის ცხოვრების” გაგრძელებების XV ს. სპარსული წყაროები, აღმოსავლური კრებული, I, თბ., 1960, გვ. 149-160.
[24] ვახტანგ VI, შემდგენლები ე. მეტრეველი, ვ. ბერიძე, თბ., 1975, გვ. 2.

ხოლო მეხუთემან ვახტანგ, ძემან ლეონისამან და ძმისწულმან სახელოვანის გიორგისამან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიჯუნა, საცა რამ ქართლის ცხოვრებაები პოვნა და კუალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი და შეამოწმეს და რომელი გარყუნილ იყო განმართეს, და სხუაცა წერილნი მოიხუნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან ამოიჯუნეს და ესრეთ აღწერეს"[25]. ივ. ჯავახიშვილის თქმით მათ უმთავარეს მიზანს გიორგი ბრწყინვალემდე მოყვანილი "ქართლის ცხოვრების" გაგრძელება _ XIV-XVII საუკუნეების ისტორიის აღწერა შეადგენდა[26].

"მეცნიერ კაცთა" კომისიის ნაშრომის ეს ნაწილი მართლაც განსაკუთრებით ფასეულია მკვლევართათვის და ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის ძირითად წყაროს წარმოადგენს. ბუნებრივია, კომისიის მიერ მოძიებული და გამოყენებული წყაროები ყოველთვის ერთნაირი სიუხვითა და ინფორმატიულობით არ გამოირჩეოდა. განსაკუთრებით დიდი სიძნელე ამ მხრივ "მეცნიერ კაცებს" სწორედ ჩვენთვის საინტერესო ეპოქის _ თემურ-ლენგის შემოსევების _ აღწერისას შექმნია. "ქართლის ცხოვრების" შემდგენლები თემურის საქართველოში შემოსევებს ძირითადად სპარსული წყაროების საფუძველზე მოგვითხრობენ თუმცა მათ ხელთ გუჯრები და რაღაც სომხური წყაროც ჰქონიათ[27].

ივ. ჯავახიშვილი "მეცნიერ კაცთა" კომისიის ნაშრომის წყაროების მოძიებას უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევდა: "რაკი ეს ქართლის ცხოვრების გაგრძელება უკანასკნელს ნაწილს გარდა არა თანამედროვეთაგან შედგენილი თხზულებაა, ამიტომ ჩვენი მიზანი იმაში მდგომარეობს, თვით ის წყაროები ვიპოვოთ, რომელნიც "სწავლულ კაცებს" ხელთა ჰქონიათ და პირდაპირ მათ კვლევა-ძიებას შევუდგეთ"[28].

ვახტანგ VI-ის "მეცნიერ კაცთა" კომისიის ნაშრომი იმთავითვე საკმაოდ პოპულარული გამხდარა და დიდი გავლენაც მოუხდენია იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაზე, რასაც მისი ნუსხები თუ გაგრძელებები მოწმობს[29]. ზოგ შემთხვევაში

---

[25] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955, გვ. 024.

[26] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ტ. VIII, გვ. 317.

[27] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 330.

[28] ივ. ჯავახიშვილი, ქართული საისტორიო მწერლობა, ტ. VIII გვ. 324.

[29] კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 123-197.

გადამწერები “ქართლის ცხოვრების” შესაბამის ადგილებში მათ ხელთ არსებული წყაროების ცნობებსაც ურთავდნენ. მაგ. მაჩაბლისეული ნუსხა თემურ-ლენგის შესახებ თხრობაში მაჩაბელთა წინაპრების შესახებ ურთავს ცნობას[30].

ვახტანგ VI-ის ვაჟმა, მეცნიერმა ბატონიშვილმა ვახუშტიმ (1696-1756) კიდევ უფრო მასშტაბური მუშაობა გააჩაღა საქართველოს ისტორიის კვლევისა და აღწერის თვალსაზრისით. მისი ამ დიდი და დაუღალავი შრომის ნაყოფია ისტორიული ხასიათის თხზულება “აღწერა სამეფოსა საქართველოსა” რომელიც 1743-1745 წლებში დაიწერა მოსოვში[31]. მკითხველთათვის წამძღვარებულ შესავალში იგი არაჩვეულებრივად ლაკონურად განმარტავს თუ რაში ხედავს ისტორიის დანიშნულებასა და მის შინაარსობრივ სრულფასოვნებას: “მატიანე მოგვაჴსენებს დასაბამითგანსა ჟამსა, წელსა და საუკუნოსა; მატიანე განარჩევს კეთილსა და ბოროტსა; მატიანე აღამაღლებს კეთილს ქმნულებასა და გმობს უკეთურთ ქმნულებასა, მატიანე მეტყველებს ჭეშმარიტისა და არა სცბის, და მოწმობს სხუათა და სხუათა; მატიანე განამჴნობს კაცსა და ერთგულ ჰყოფს ქუეყანისად; მატიანე აცნობებს ნათესავთ-ჩამომავლობასა და დასდებს თავსა სარწმუნოებისათჳს, და მოყუარულ ჰყოფს მოა მოყუასისა მიმართ. არამედ ესე მატიანე განი-ყოფების ოთხწილად: ადგილის აღწერად, ნათესავთმეტყუელებად წლისმრიცხუელობად, და მოქმედების აღწერად და ესეცა განიყოფების ორად _ საეკლესიოდ და სამოქალაქოდ”[32].

ზემოთქმულის გათვალისწინებითა და მის ხელთ არსებული წყაროებისა თუ მასალის მიმართ კრიტიკული მიდგომით ვახუშტი ბატონიშვილმა შეადგინა საქართველოს ისტორია დასაბამიდან XVIII საუკუნის შუა წლებამდე. მისი საისტორიო თხზულება ორ ნაწილად იყოფა: 1) დასაბამიდან XIV საუკუნემდე (გიორგი ბრწყინვალემდე), ამ ნაწილის წერისას იგი ძველი ქართლის ცხოვრების ნუსხებს ემყარება, და მეორე, ორიგინალური ნაწილი, რომელიც XIV_XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიას ასახავს. ამ პერიოდის აღწერის ერთ-ერთი მიზეზი “სწავლულ კაცთა” კომისიის მიერ შედგენილი ახალი “ქართლის ცხოვრების” მიმართ ვახუშტის

[30]ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 337.
[31] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 07.
[32] იქვე, გვ. 4.

კრიტიკული დამოკიდებულება იყო[33]. მან დაკვირვებით შეისწავლა "სწავლულ კაცთა" კომისიის ნაშრომი და მრავალი ნაკლი აღმოაჩინა. ჩანს, სწორედ ამიტომ გრძნობდა ვახუშტი ბატონიშვილი გარკვეულ უხერხულობას, მამის, ვახტანგ VI-ის სახელით შედგენილი წიგნის გამო და წერდა: "აღუწერიათ ცხოვრებაცა სახელითა ლევანის ძისა მეფისა ვახტანგისათი, რომელი არა საგონებელ არს მის მიერ, განა თუმცა ბრძანებითა მისითა არს, არამედ მას თვით არღარა განუხილავს ვითარება მისი"[34]. კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად თემურ-ლენგის შემოსევების აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი "სწავლულ კაცთა" ნაშრომს ეყრდნობოდა, თუმცა დამატებით სხვა ადგილობრივ _ ქართულსა და უცხოურ სყაროებსაც იყენებდა. მათ შორის სომხური საისტორიო წყაროს კვალიც დასტურდება, რაზეც ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვექნება მსჯელობა.

ჩვენთვის საინტერესო ეპოქის საქართველოს შესახებ მცირე რაოდენობით ცნობები მოიპოვება ევროპელ მოგზაურთა, უფრო სწორად, სხვადასხვა სახის დიპლომატიურ მისიათა წევრებისა თუ ელჩების ნაშრომებში. აღსანიშნავია, რომ მათი ავტორები გარეშე დამკვირვებლებად გვევლინებიან, რის გამოც ეს ცნობები საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ცალკეულ ფაქტებს ეხება და არ ასახავს იმ მძიმე სოციალურსა და ეკონომიკურ ვითარებას, რაც თემურ-ლენგის შემოსევებმა გამოიწვია საქართველოში.

ასეთ ავტორთა შორის არის ბერძენი ისტორიკოსი მიქაელ პანა-რეტოსი. იგი მოღვაწეობდა XIV საუკუნის მეორე ნახევარსა და XV საუკუნის პირველ მეოთხედში. მიქაელ პანარეტოსი ავტორია საისტორიო ხასიათის თხზულებისა "ამბავი ტრაპიზონის მეფეების დიდი კომნენოსების, და თითოეულმა როგორ, როდის და რამდენ ხანს იმეფა"[35]. ეს ნაწარმოები 1204-1426 წლების ტრაპიზონის სამეფოს ქრონიკაა. განსაკუთრებით საინტერესოა ის ამბები, რომელთა შესახებაც ავტორი მოგვითხრობს როგორც თვითმხილველი და თანამონაწილე. ქრონიკიდან ირკვევა, რომ მიქაელ პანარეტოსი ტრაპიზონის სამეფო კართან დაახლოებული პირი ყოფილა და სამეფო ოჯახთან ერთად სამჯერ უმოგზაურია საქართველოში: პირველად, როდესაც ბერძენ

[33] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 07.
[34] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 292.
[35] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტ.VII, თბ., 1967, გვ. 161-223.

მეფე-დედოფალს თავისი ქალიშვილი ანა ჩამოუყვანია ბაგრატ V-ზე მისათხოვებლად (1367 წ.)[36]; მეორედ - 1373 წელს[37]; ხოლო მესამედ მაშინ, როცა ბაგრატ მეფის და გულქანხათუნი (დედოფლობაში ევდოკია) ტრაპიზონის ტახტის მემკვიდრე უფლისწულ მანუილზე (შემდგომში მანუილ III) თხოვდებოდა (1377 წ.)[38]. ამ მოგზაურობათა აღწერებზე დაყრდნობით ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: "მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი მაკრიალის ხეობის იქით ყოფილა"[39].

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიქაელ პანარეტოსის ცნობა, რომელიც თემურ-ლენგის მიერ თბილისის აღებას, ბაგრატ მეფის, ანა დედოფლისა და უფლისწულ დავითის დატყვევებას ეხება. დიდად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ცნობა თარიღიანია, კერძოდ კი, მასში თბილისის აღების თარიღად 1386 წლის 21 ნოემბერია მითითებული[40].

XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე საგრძნობლად გაიზარდა ევროპელთა ინტერესი მახლობელი აღმოსავლეთისა და აქ მიმდინარე პროცესების მიმართ. ეს ინტერესი ორი ძირითადი მიზეზით იყო განპირობებული: XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპის ქვეყნები ოსმალთა ექსპანსიის ობიექტი გახდა. ოსმალთა სამხედრო წარმატებებმა მოსვენება დაუკარგა ევროპის სახელმწიფოებს. აუცილებელი იყო მათი შეჩერება, მაგრამ ოსმალო-თურქების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა მარცხით დასრულდა. სწორედ ამ მეტად კრიტიკულ მომენტში ევროპელთა მხედველობის არეში მოხვდა ჩინგიზ-ყაენის იმპერიის აღდგენაზე მეოცნებე და ბაიაზეთ I-ზე არანაკლებ ამბიციური თემურ-ლენგი, რომლის ერთადერთ კონკურენტად ბაიაზეთიღა რჩებოდა. ევროპას თემურ-ლენგი მხსნელად მოევლინა. გაჩაღდა აქტიური დიპლომატიური მუშაობა. ანკარის გადამწყვეტი ბრძოლის წინ თემურის ბანაკში თავი მოიყარეს ევროპის სახელმწიფოთა ელჩებმა; არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობების გაბმა. ეს ხელსაყრელი იყო, ერთი მხრივ, წინა აზიის, ირანისა და შუა აზიის ქვეყნებთან ვაჭრობით დაინტერესებული

---

[36] იქვე, გვ. 201-202.
[37] იქვე, გვ. 205.
38 იქვე, გვ. 207-208.
39 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 180.
40 გეორგიკა, ტომი VII, გვ. 211-212.

ევროპელებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილობრივი მმართველებისათვის, რადგან სატრანზიტო მიმოსვლა ხაზინის შევსების საშუალებას იძლეოდა.

XIV საუკუნის მიწურულისა და XV საუკუნის დასაწყისის კავკასიის ხალხების ისტორიის შესახებ მრავალი საინტერესო ცნობა არის შემონახული იოანე ჰალიფონტელის მიერ 1404 წელს დაწერილ თხზულებაში _ "სამყაროს შეცნობის წიგნი"[41].

იოანე ჰალიფონტელი (შემდგომში სულთანიის არქიეპისკოპოსი იოანე III) XIV–XV საუკუნეების მიჯნაზე მახლობელი აღმოსავლეთსა და კავკასიაში მოღვაწე ევროპელთა შორის გამორჩეული ფიგურაა. მისი მოღვაწეობის ადრეული პერიოდის შესახებ ცნობები არ შემონახულა, ვიცით მხოლოდ, რომ ის დომინიკანელთა ორდენის წევრი იყო. 1377 წელს რომის პაპმა გრიგოლ XI-ს იგი ნახიჯევანის ეპისკოპოსად დაადგინა. ამ დროიდან იოანე ჰალიფონტელის სასულიერო და დიპლომატიური კარიერა მჭიდროდ დაუკავშირდა რეგიონსა და მის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე გაბატონებულ თემურ-ლენგს.

1398 წელს, იოანე ჰალიფონტელი თემურ-ლენგის ელჩის მოვალეობას ასრულებდა ვენეციასა და გენუაში. ელჩობის მიზანი თემურ-ლენგსა და ევროპას შორის ანტიოსმალური კავშირის გაღრმავება იყო. ამ მოგზაურობის დროს იოანე რომშიც ჩასულა, სადაც პაპმა ბონიფაციუს IX-მ იგი სულთანიის _ სრულიად აღმოსავლეთის _ არქიეპისკოპოსად დანიშნა. საინტერესოა, რომ თემურ-ლენგის ელჩის სტატუსით მოქმედი იოანე ჰალიფონტელი ამავდროულად აღმოსავლეთის ქვეყნებში ქრისტიანობის განმტკიცებისათვის იღვწის. მაგ. 1398 წლის ელჩობისას მისი შუამდგომლობით პაპმა გამოსცა ბულა, რომელიც ინდულგენციას აძლევდა მათ, ვინც საქართველოსა და სომხეთში თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად დანგრეული ეკლესიებისათვის გაიღებდა შეწირულებას[42].

1402 წელს, ბაიაზეთის დამარცხების შემდეგ, არქიეპისკოპოსი იოანე მეორედ ასრულებს თემურ-ლენგისა და მირანშაჰის ელჩის მოვალეობას ევროპაში. ამჯერად მას ევროპელი მონარქებისათვის ოსმალებზე გამარჯვების შეტყობინება და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოება ევალება. ვენეციისა და გენუის შემდეგ 1403

[41] იხ. Иоанн де Галонифонтибус, Сведения о народах Кавказа 1404, Баку, 1980.
[42] Иоанн де Галонифонтибус, Сведения о народах Кавказа, გვ. 5-6.

წლის მაისში იოანე პარიზში _ კარლოს VI-ის კარზეა, აქედან კი ინგლისში ჰენრიხ IV-სთან მიემგზავრება. თემურ-ლენგისა და ევროპელი მონარქების მიწერ-მოწერიდან ირკვევა, რომ იოანე საკმაოდ აქტიურ როლს თამაშობდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებში. ორივე მხრიდან ლათინურად დაწერილი წერილების რედაქტორიც ის უნდა იყოს[43]. ჩანს, იოანემ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჰენრიხ IV-ზე. მან იოანეს გადასცა სარეკომენდაციო წერილები რამდენიმე ევროპელი და აზიელი მონარქისათვის წარსადგენად. მათ შორის არის საქართველოს მეფის გიორგი VII-ის სახელზე დაწერილი წერილიც[44].

1410 წელს პაპმა იოანე XXIII იოანე სულთანიელს სამართავად გადასცა პეკინის (ხანბალიკის) საარქიეპისკოპოსო. ამ დროიდან მის

ხელში გაერთიანდა აზიის ორივე კათოლიკური საეპისკოპოსო. ცნობილია, რომ XV საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში იოანე III ყირიმში მოღვაწეობდა. მისი გარდაცვალების დროისა და ადგილის შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

იოანე ჰალიფონტელის "სამყაროს შეცნობის წიგნში" წარმოჩენილია მრავალგვარი ინფორმაცია, რაც ეფუძნება ავტორის მიერ მოგზაურობებისას ნანახსა და ასევე სხვათაგან გაგონილ ამბებს.

საქართველოს შესახებ ცნობები ეხება ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას, ბუნებას, ყოფა-ცხოვრებას, ადათ-წესებს, რელიგიურ შეხედულებებს, მათ თავისებურებებს. ასევე მიმოიხილულია ქვეყნის ტერიტორიულ–ადმინისტრაციული მოწყობა. თხზულებაში აღნიშნულია, რომ ფრანცისკანელებმა და დომინიკანელებმა იოლად მოიკიდეს ფეხი ქვეყანაში[45].

იოანე ჰალიფონტელის თხზულებაში საქართველოში თემურ-ლენგის შემოსევების შესახებ დაცული ინფორმაცია პირობითად შეიძლება ორად გაიყოს.

პირველი ცნობა უფრო ზოგადი ხაიათისაა. ავტორი თვლის, რომ ქართველებსა და მათ მეფეებს თავიანთი ცოდვების გამო ღვთის რისხვად დაატყდათ თემურ-ლენგი,

---

[43]И. Умняков, Из истории международных отношений Средней Азии с Западной Европой в начале XV в., М.,1960, გვ.6.
[44]Иоанн де Галонифонтибус, Сведения о народах Кавказа, გვ. 7.
[45] Иоанн де Галонифонтибус, Сведения о народах Кавказа, გვ. 18-24.

რომელმაც სამჯერ (!) დალაშქრა საქართველო, ააწიოკა და ტყვედ წაასხა უამრავი ხალხი და დაანგრია ეკლესია-მონასტრები.

მეორე ცნობა ეხება თემურ-ლენგის მიერ ბაგრატ V-ის, დედოფლისა და ერთ-ერთი უფლისწულის დატყვევებისა და მათი ტყვეობიდან დახსნის ისტორიას. ასევე მოთხრობილია 100.000 კაცის, მათ შორის ბევრი კათოლიკის დატყვევებისა და სამეფო საგანძურის ნაწილის მიტაცების შესახებაც. ამ ამბების თხრობის შემდეგ ავტორი უმატებს "ეს იმ დროს მოხდა, როცა მან (თემურ-ლენგმა) მესამედ ილაშქრა და დაანგრია ეს ქვეყანა..."[46]

ვფიქრობთ, მესამე შემოსევის პერიოდისათვის ბაგრატ V-ის, ანა დედოფლის, უფლისწულის დატყვევებისა და მათი დახსნის ამბის მიწერა აშკარა შეცდომაა, მაგრამ 100.000 ტყვის წაყვანის შესახებ ცნობა მართლაც შეიძლება 1399-1400 წლების შემოსევას დავუკავშიროთ.

იმ ევროპელ ავტორთა შორის, ვინც თემურ-ლენგის ეპოქის საქართველოსა და სომხეთის შესახებ შემოგვინახა ცნობები, არის ბავარიელი იოჰან შილტბერგერი. იგი რაინდ ლეონჰარდ რიჰარდინგერის საჭურველთმტვირთველი იყო და თან ახლდა მას უნგრეთის მეფის სიგიზმუნდ ლუქსემბურგელის მიერ ოსმალთა წინააღმდეგ მოწყობილ ჯვაროსნულ ლაშქრობაში. 1396 წლის 20 სექტემბერს ნიკოპოლისთან გამართულ ბრძოლაში ჯვაროსნები დამარცხდნენ, იოანანი კი ბაიაზეთის ტყვეობაში აღმოჩნდა. 1402 წელს ანგორის ბრძოლის შემდეგ იგი თემურმა დაატყვევა. მისი სიკვდილის შემდეგ იოჰანი თემურის მემკვიდრეების, შაჰროხის, მირანშაჰისა და აბუბექრის სამსახურში იყო. ამ უკანასკნელის კარზე თავი ჰქონდა შეფარებული ოქროს ურდოს ტახტის პრეტენდენტს ჩეკრეს. როცა იგი ურდოში ტახტის დასაკავებლად გაბრუნდა, იოჰანი მის ამალაში აღმოჩნდა. ჩეკრეს სიკვდილის შემდეგ კი მის მოხელესთან, მანშუკთან, გადაინაცვლა. დევნილი მანშუკი საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში, გამოიქცა. სწორედ აქ დააღწია იოჰანმა 27-წლიან ტყვეობას თავი და მრავალი განსაცდელის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. განთავისუფლების შემდეგ მან დაწერა "მოგზაურობის

[46] Иоанн де Галонифонтибус, Сведения о народах Кавказа, გვ. 23-24.

წიგნი”[47]. აქ მოთხრობილია იმ ქვეყნების, ხალხების, ადათ-წესებისა და ამბების შესახებ, რაც მას ხანგრძლივი ტყვეობისას უნახავს ან გაუგონია. ამ ნაშრომის მთავარი ნაკლი ის არის, რომ იგი ავტორის მეხსიერების ნაყოფია. ამიტომ ხშირია ქრონოლოგიური უზუსტობები და გეოგრაფიულ სახელთა აღრევები ისევე, როგორც ძნელი დასადგენია, თუ რისი თვითმხილველი იყო თვითონ და რა გაუგონია სხვისგან. “მოგზაურობის წიგნში” დაცულია ცნობები საქართველოს შესახებაც და ეხება ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობას XV საუკუნის დასაწყისისთვის და თანადროულ საქორწინო ადათ-წესს, რომელიც სომხეთშიც ყოფილა გავრცელებული. იოჰანი საინტერესო ცნობებს გვაწვდის ალინჯის ციხის შესახებაც.

კიდევ ერთ ევროპელ ავტორს მოეპოვება ცნობები საქართველოში თემურის შემოსევების შესახებ. ეს არის რუი გონსალეს დე კლავიხო (დაბადების თარიღი უცნობია, გარდაიცვალა 1412 წ.). იგი კასტილიის და ლეონის მეფის ენრიკე III დე ტრასტამარას კამერჰერი იყო და მისივე ბრძანებით ჩაუდგა სათავეში თემურთან გაგზავნილ მეორე ესპანურ ელჩობას. მოგზაურობისას იგი დღიურს აწარმოებდა. “სამარყანდში თემურის კარზე მოგზაურობის დღიური” ასახავს 1403-1406 წლებს. მასალის თვალსაზრისით იგი ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს: აქ დეტალურად არის აღწერილი სამარყანდისაკენ მგზავრობა და მოკლედაა გადმოცემული უკან დაბრუნების ამბები. ამ ნაწილში ძირითადად საუბარია იმ სიძნელეებზე, რაც უკან გამობრუნებულ ელჩობას გადახდა თემურ-ლენგის უეცარი სიკვდილის შემდეგ ატეხილი უთანხმოებებისა და ყარა-იუსუფის გააქტიურების გამო[48]. კლავიხოს დღიური მნიშვნელოვანი წყაროა ამ ეპოქის მახლობელი აღმოსავლეთის, შუა აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნების მკვლევართათვის. კლავიხოს ცნობები ძირითადად სანდოა, ვინაიდან იგი მონაწილე იყო მის მიერ აღწერილი ამბებისა, თუმცა სანდოობის ხარისხი ყოველთვის ერთნაირი არ არის და საკმაოდ არის უზუსტობები, განსაკუთრებით სხვათაგან გაგონილი ამბების გადმოცემისას. აღსანიშნავია, რომ ესპანელებს მეგზურობას უწევდა უფრო ადრე

[47] Иоган Шильтбергер, Путешествие по Европе, Азии и Африке, Баку, Элм. 1984. сетевая версия-თჰიეტმარ. 2002. ე. მამისთვალიშვილი, იოჰან შილტბერგერის ცნობები საქართველოს შესახებ, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა შრომები, თბილისი, 1971.

[48] Руи Гонсалес де Клавихо, Дневник путешествия в Самарканд ко двору Тимура (1403-1406), М.,” Наука”, 1990. сетевая версия; ე. მამისთვალიშვილი, რუი გონსალეს დე კლავიხო, ცნობები საქართველოს შესახებ, ჯურნ. «მნათობი» № 8, 1971.

თემურის მიერ ესპანეთში გაგზავნილი ელჩი და სპეციალურად გამოყოფილი გამცილებლები. "დღიურში" საინტერესო ცნობები მოიპოვება საქართველოსა და სომხეთის შესახებ. დღიურში საქართველოს შესახებ არსებული ცნობები ძირითადად გიორგი მეშვიდის მეფობაზე მოდის. საინტერესოა კლავიხოს ცნობა, რომელიც თემურ-ლენგის წინააღმდეგ მეფე გიორგისა და ოქროს ურდოს ყაენის ედიგუის მოკავშირეობაზე მიგვანიშნებს. სამარყანდიდან მობრუნებულ ელჩობას ყარსი-ტრაპიზონის მარშრუტზე 1405 წლის სექტემბერში სამხრეთ საქართველოზე გაუვლია და გზად თორთომის ციხე დაუნახავს. კლავიხოს ცნობით, საქრთველოს კუთვნილი ეს ციხე-სიმაგრე თემურს დაულაშქრავს და გადასახადი დაუკისრებია[49]. ესპანელ დიპლომატის ნაშრომში ალინჯის ციხის შესახებაც არის ცნობები.

თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობების შესახებ ბევრი საინტერესო ცნობა მოიპოვება თემურიანთა ხანის მდიდარსა და მრავალფეროვან სპარსულენოვან ლიტერატურაში. XV საუკუნის დასაწყისიდან ჯერ უშუალოდ თემურ-ლენგის, ხოლო შემდგომ მისი შთამომავლების დაკვეთით იწერებოდა როგორც ორიგინალური, ასევე კომპილაციური ხასიათის საისტორიო თხზულებები: ნიზამ ად-დინ შამის "გამარჯვების წიგნი"; შერეფ ად-დინ ალი იეზდის "გამარჯვების წიგნი"; მუინ ად-დინ ნათანზის `მსოფლიო ისტორიის~ ტიპის ნაშრომი `მოინ [ად-დინ ნათანზის] რჩეული ისტორიათაგანი~; ჰაფეზ-ე აბრუს "მაჯმა" და "მატიანეთა კრებული"; აბდ არ-რეზაყ სამარყანდის "ორი ბედნიერი მნათობის აღმობრწყინებისა და ორი ზღვის შერწყმის ადგილი"; ფასიჰი "ხაფის ფასიჰის კონსპექტი"; მირხონდის "მსოფლიო ისტორიის" ტიპის თხზულება "სიწმინდის ბაღი"; ხონდემირის "ცხოვრებათა აღმწერლობის მეგობარი"; ანონიმის "თემურის ისტორია"[50], რომლებშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თემურ-ლენგის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მის მიერ მოწყობილ დაპყრობით ომებს.

თემურიანთა ხანის ისტორიოგრაფიაში ცენტრალური ადგილი უკავიათ ნიზამ ად-დინ შამისა და შერეფ ად-დინ ალი იეზდის. მათ თხზულებებში დაწვრილებით ყოფილა მოთხრობილი თემურ-ლენგის საქართველოში შემოსევების შესახებ, მაგრამ, როგორც დ. კაციტაძე აღნიშნავს, "ავტორები თემურ-ლენგის ისტორიკოსები არიან და

49. ე. მამისთვალიშვილი, კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ გვ.118-126.

[50] დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით), თბ., 1975, გვ. 9-23; აგრეთვე, კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 6-14.

მათთვის, ბუნებრივია, დამახასიათებელია მეხოტბეობა და ტენდენციურობა”[51].Nნიზამ ად-დინ შამისა და შერეფ ად-დინ ალი იეზდის “გამარჯვების წიგნებს” დიდი გავლენა მოუხდენიათ შემდგომი პერიოდის ზემოჩამოთვლილ ისტორიკოსებზეც[52].

მეხოტბე ისტორიკოსთაგან განსხვავებული სულისკვეთებისაა სამარყანდში მცხოვრები სირიელი არაბის, აჰმედ იბნ არაბშაჰის, არაბულ ენაზე დაწერილი ნაშრომი “ბედისწერის საოცრებანი თემურის ამბებში”[53].

სპარსულენოვანი წყაროები გვერდაუვლელი მასალაა XIV-XV საუკუნეების მიჯნის საქართველოს ისტორიის კვლევისათვის. ისინი შეიცავენ საინტერესო და მრავალფეროვან ინფორმაციას ამ ეპოქის საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ. ჩანს, ქართული მასალის უკიდურესმა სიმწირემ და, ზოგ შემთხვევაში, მისი უქონლობის ფაქტმა განაპირობა ქართველ ისტორიკოსთა დაინტერესება სპასულენოვანი წყაროებით. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ XVII საუკუნის ბოლოს ირანში მოღვაწე ქართველმა ისტორიკოსმა ფარსადან გორგიჯანიძემ პირველმა სცადა, შეედგინა XIV-XVII საუკუნეების საქართველოს “ჯამთა სიავისაგან” აღუწერელი ისტორია[54]. თემურ-ლენგის შემოსევების აღწერისას ის სპარსულენოვან წყაროებს ეყრდნობოდა. ამავე წყაროებით სარგებლობდა ვახტანგ მეექვსის “სწავლულ კაცთა კომისია”, ხოლო უფრო გვიანი ხანის ქართველი ისტორიკოსები კომისიის მიერ შედგენილი “ახალი ქართლის ცხოვრების” საშუალებით იყენებდნენ სპარსულენოვანი წყაროების მონაცემებს. თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ არის შესწავლილი და განხილული როგორც თემურიანთა და უფრო გვიანი ხანის ისტორიკოსთა ცნობები XIV_XV საუკუნეების საქართველოს შესახებ[55], ასევე XVII_XVIII საუკუნეების ქართულ წყაროებთან მათი ურთიერთმიმართების საკითხები[56].

---

[51] იქვე, გვ. 12.
[52] იქვე, გვ. 12.
[53] იქვე, გვ. 22; აგრეთვე, იხ. კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.
[54] ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ამონაბეჭდი „საისტორიო მოამბიდან“, წიგნი II, 1925, ტფ. 1926.
[55] დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრომი. კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი.
[56] დ. კაციტაძე, ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებისა და `ქართლის ცხოვრების~ გაგრძელებების XV საუკუნის სპარსული წყაროები, აღმოსავლური კრებული, I, თბ., 1960, გვ. 149-166; კ. ტაბატაძე, „ახალი ქართლის ცხოვრების“ ზოგი ცნობის წარმომავლობისა და სანდოობის შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971, გვ. 10-11.

“ახალი ქართლის ცხოვრების” შემდგენლებს XIV_XV საუკუნეთა მიჯნის საქართველოს ისტორიის აღსაწერად სპარსული წყაროს გარდა სომხური წყაროთიც უსარგებლიათ[57]. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს სომხური წყაროების შესწავლისა და „ახალი ქართლის ცხოვრების” მათთან დამოკიდებულების დადგენის მნიშვნელობას. სომხური ლიტერატურა, რომელსაც საისტორიო მწერლობის მდიდარი ტრადიციები აქვს, XIV საუკუნიდან დაცემის გზას დაადგა და მთელი სამი საუკუნის განმავლობაში მძიმე კრიზისს განიცდიდა[58]. მიუხედავად ამისა, სომხეთში მაინც იქმნებოდა მცირე ზომის საისტორიო ხასიათის თხზულებები. ისინი ძირითადად ქრონიკებისა და ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების სახით არის დაცული. ამ წერილობით ძეგლებში საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის მეტად მნიშვნელოვანი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ცნობები არის შემონახული.

თანადროული საისტორიო თხზულებების ნაკლებობის ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს XIV-XV საუკუნის სომხურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების ცნობები. აღსანიშნავია, რომ სომხურ მწერლობაში XII საუკუნის მეორე ნახევრიდან ანდერძებს ტრადიციული კოლოფონებისაგან განსხვავებული ფორმა და ხასიათი უყალიბდებათ, რაც მათ ავტორებს საშუალებას აძლევს, ანდერძებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ინფორმაციის გარდა ასახონ თანამედროვე პოლიტიკური მოვლენებიც. ისტორიული პასაჟების გაჩენამ და დამკვიდრებამ, ლევონ ხაჩიკიანის თქმით, ასეთი ანდერძ-მინაწერების კლასიკური ნიმუშები ქრონიკებსა და მცირე ზომის ისტორიული ხასიათის ნაშრომებს მიუახლოვა, ანუ სომხეთში ისტორიოგრაფიის თავისებური ჟანრი შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ ანდერძ-მინაწერები გარკვეული შაბლონის მიხედვით იწერებოდა და ისტორიული მოვლენების ასახვის თვალსაზრისით საკმაოდ შეზღუდულია, მათი ავტორები, როგორც ისტორიული მოვლენების თანამედროვენი და თვითმხილველნი, ქრონოლოგიური თვალსაზ-რისით, სანდონი არიან[59]. აღსანიშნავია ისიც, რომ ანდერძ-მინაწერთა

---

[57] ქართლის ცხოვრება, ტომი II, გვ. 326.

[58] ლ. მელიქსეთ-ბეგი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941, გვ. 161; R. Fwd94fg, Kf4t7 khg s6fufgtyo4fg lfjrtyo4tyg, S. >>, D6., 1946, გვ. 349.

59 Л. С. Хачикян, Памятные записи армянских рукописей как исторический источник, М., 1960, стр. 1-12.

ავტორები მეტად ემოციურად აგვიწერენ თავიანთ გარშემო მიმდინარე პოლიტიკურსა თუ სოციალურ პროცესებს.

ანდერძ-მინაწერთა იმ ცნობებში, რომლებიც თემურ-ლენგის შემოსევებს ეხება, აღწერილია ის საშინელი სისასტიკე და დაუნდობლობა, რითაც გამოირჩეოდა თემურ-ლენგი. მისი ლაშქრობე-ბისას ინგრეოდა, პარტახდებოდა ქვეყანა, სიკვდილსა და ტყვეობას გადარჩენილი მოსახლეობა შიმშილით იხოცებოდა. თავად თემური სისხლისმსმელად, სატანის მოციქულად და უმოწყალო ბარბაროსად, ხოლო ერთ ლექსად დაწერილ ანდერძში ერთდროულად ხორასნელ ძაღლად, ექიდნად, ბასილისკოდ და გველხოკერად არის წოდებული[60].

ჩვენთვის ცნობილი ანდერძ-მინაწერები, რომლებიც ასახავენ თემურ-ლენგის შემოსევებს სომხეთსა და მის მეზობელ ქვეყნებში, 1387-1422 წლებს შორის არის დაწერილი. მათ ავტორთა შორის არიან XIV-XV საუკუნეების მიჯნის სომხეთის თვალსაჩინო სასულიერო მოღვაწეები. ერთ-ერთი ასეთთაგანია გრიგოლ ტათეველი. მისი მამა არჭეშელი იყო დედა კი ფარპელი. იგი დაბადებულა დაახლოებით1346 წელს საქართველოში, თმოგვის ციხეში და დავით მეფის სახლში აღზრდილა[61]. თომა მეწოფელის მიხედვით იგი 28 წლის მანძილზე სწავლობდა იოანე ვოროტნელთან, მისგანვე მიიღო ვარდაპეტის ხარისხი ერზინკაში. ხოლო დიდი ვარდაპეტის კვერთხი მას ასევე იოანე ვოროტნელმა მიანიჭა 1387 წელს აპრაკუნისში. თომას თქმით სიკვდილის წინ იოანემ იგი ყველა თავის მეგობრის თავად და მასწავლებლად დაადგინა. თუმცა გრიგოლი აპრაკუნისში დიდ ხანს არ გაჩერებულა. იოანე ვოროტნელის ძმამ სუმბატ ორბელიანმა იგი ტათევის მონასტერში მიიწვია. სომხეთში თემურ-ლენგის თარეშის შედეგად დაწყებული შიმშილისა და ეკონომიკური გაჭირვების გამო ის და მისი მეგობრები ტათევში გადავიდნენ. 1390-1408 წლებში ტათევის მონასტერში სომხეთის ყველა მხრიდან მიდიოდნენ განათლების მისაღებად. მათ შორის იყო თომა მეწოფელიც. გრიგოლი თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ადამიანი იყო. საეკლესიო და სომხური მწერლობის გარდა სწავლობდა ბერძენ ფილოსოფოსთა

[60]@Z zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, ufcrd7 V.E. Nfxhu4fg, D6., 1950, გვ. 589.
[61] @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, ufcrd7 V.E. Nfxhu4fg, D6., 1955, გვ. 103.

ნაშრომებსა და სომეხ უნიატთა შორის მიღებულ და გავრცელებულ ლიტერატურასაც[62]. მას შემდეგ რაც ყარა-იუსუფმა სუმბატ ორბელიანს ვოროტანი წაართვა გრიგოლ ტათეველიც იძულებული გახდა, მიეტოვებინა ტათევის მონასტერი და მეწოფის მონასტერში გადასულიყო. აქ იგი დიდი პატივით მიიღო მონასტრის წინამძღვარმა იოანე ვარდაპეტმა. ერთი წლის შემდეგ გრიგოლი თავის მოწაფეებთან ერთად აირარატის გავარში, საღმოსავანქში გადავიდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესოა თომა მეწოფელის ცნობა, რომ გრიგოლს თავისმა საყვარელმა მოწაფეებმა ჩამოაკითხეს და ღამით უჩუმრად წაიყვანეს იგი მეწოფის მონასტრიდან. თომა მას აირარატის გავარში დასწევია, მაგრამ ვეღარ მოუბრუნებია[63]. აქ მას ტათევიდან ჩამოაკითხეს მისმა მოწაფეებმა და დიშვილმა ეპისკოპოსმა არაქელ სივნიელმა და კვლავ ტათევის მონასტერში წაიყვანეს. თუმცა ამის შემდეგ გრიგოლი მალე გარდაიცვალა. თომა მეწოფელის მიხედვით ერთგან აღნიშნულია 1410 ხოლო მეორეგან _ 1414 წელი[64].

გრიგოლი ცნობილი იყო არა მხოლოდ სიწმინდითა და პედაგოგიური მოღვაწეობით, არამედ ლიტერატურული მოღვა-წეობითაც. მის კალამს ეკუთვნის მრავალი სასულიერო ხასიათის ნაშრომი. მათ შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა “Bf6tcsh6b“ “ქადაგებანი” და დიდი და მცირე “Kf67rfg7 sh6b “ “კითხვა-მიგებათა წიგნი”. მათი პოპულარობის ხარისხზე ისიც მეტყველებს, რომ ეს თხზულებები უკვე XVIII საუკუნეში გამოიცა[65].

მცირე “კითხვა-მიგებათა წიგნში” გრიგოლი გიორგი ერზინკელის 14 შეკითხვას სცემს დაწვრილებით პასუხს. ეს ნაშრომი 1387 წელს არის დაწერილი.

მცირე “კითხვა-მიგებათა” წიგნს მოსდევს ანდერძ-მინაწერი, ლ. ხაჩიკიანის მიერ გამოცემულ XIV საუკუნის სომხურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების კრებულში შესულია გრიგოლ ტათეველის ეს ანდერძ-მინაწერიც. ის ამოღებულია მატენადარანის №3616 ხელნაწერიდან. გამომცემლის აზრით ხელნაწერის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს გრიგოლ ტათეველის ავტოგრაფს და მხოლოდ რამდენიმე შუა და ბოლო 40 გვერდი არის განახლებული XVI საუკუნის გადამწერის მიერ[66].

---

[62] Fwd94fg R., Kf4t7 khg s6fufgtyo4fg lfjrtyo4tyg, s. II, გვ. 358.
[63] @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, r. F, გვ. 101.
[64] Fwd94fg R., Kf4t7 khg s6fufgtyo4fg lfjrtyo4tyg, გვ. 359.
[65] იქვე, გვ. 360.
[66] @Z zf6h kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, გვ. 567- 568.

ანდერძში გრიგოლ ტათეველი მოგვითხრობს სად, როდის და რა ვითარებაში დასრულდა ეს ნაშრომი. სწორედ აქ არის დაცული ჩვენთვის საინტერესო ცნობები, რომლებიც თემურ ლენგის პირველი შემოსევებისა და მათი ქრონოლოგიის შესახებ გვაძლევს ინფორმაციას[67].

სომხეთსა და საქართველოში თემურის შემოსევების შესახებ საინტერესო ცნობები აქვს შემონახული ცნობილ სასულიერო მოღვაწეს გრიგოლ ხლათელს. იგი დაბადებული უნდა იყოს 1350 წლის ახლო ხანებში ქალაქ ხლათში და ამის გამო იწოდება ხლათელად. თავდაპირველი განათლება მას ციპნის მონასტერში მიუღია ვინმე მეუდაბნოე ვარდანთან. ექვსი წლის თავზე კი სივნიეთში ერნჯაკის გავარის აპრაკუნელთა მონასტერში გააგრძელა სწავლა იოანე ვოროტნელთან. აქვე მასთან ერთად სწავლობდა გრიგოლ ტათეველი. 8 წლის შემდეგ, როდესაც იოანე ვოროტნელი გარდაიცვალა (1386 წ.), გრიგოლ ხლათელი დაბრუნდა თავის მშობლიურ გავარში და მომდევნო 10 წელი სარგის ვარდაპეტის მოწაფე იყო არჭეშის სუხარას მონასტერში. მისგანვე მიიღო ვარდაპეტის ხარისხი. გრიგოლის ბიოგრაფიიდან ცნობილია აგრეთვე, რომ იგი სხვა ვარდაპეტებთან და მოწაფეებთან ერთად გამგზავრებულა იერუსალიმში, სადაც 2 წელი დარჩენილა. ამ პერიოდში გარდაცვლილა სარგის ვარდაპეტი. სუხარას მონასტერში იგი შეცვალა ხლათელის მეგობართაგან ვარდან ვარდაპეტმა. უცხოტომელთაგან დევნილი ვარდანიც მალე გარდაიცვალა და 1406 წელს მისი ადგილი მოკლე ხნით გრიგოლ ხლათელმა დაიკავა. მაგრამ წინამორბედის მსგავსად ისიც იძულებული შეიქნა მიეტოვებინა სუხარას მონასტერი და ბზნუნთა მხარეში ქ. არწკეს ციპნის უდაბნოს სტეფანე პირველმოწამის მონასტერში დამკვიდ-რებულიყო. გრიგოლი მოწამეობრივად აღესრულა 1425 წლის 27 მაისს 75 – 80 წლის ასაკში. იგი ქურთებმა აწამეს. გრიგოლ ხლათელი მრავალი ქადაგების, მარტიროლოგიური ნაშრომისა და გალობის ავტორია. მანვე გაუკეთა რედაქცია ჰაისმავურქს, სადაც მან თავის თანამედროვე მოწამეთა შესახებაც შეიტანა ცნობები[68].

საქართველოს შესახებ ინფორმაცია მოიპოვება მის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ნაშრომების ანდერძ-მინაწერებში. პირველი მათგანი დათარიღებულია 1400

---

[67] @Z zf6h kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, გვ. 567.

[68] $hmfjfuf6fg F98jh7, S6hst6h nvfod7yt4, lfjrfufg ahlfefgtyohyg, k6fjf6fud7 S^. Nfvfodfg7, Af9f6mflfj, 1897, გვ. I-XIV.

წლით. აქ დაცულია მოკლე ცნობა ჰონთა მეფეზე ლაშქრობის შემდეგ თემურის ჯარების ალანთა კარით დაბრუნების შესახებ. შემდეგ ავტორი მოგვითხრობს ქართველთა მეფის გიორგის არნახულ გამარჯვებაზე. კერძოდ ქართველთა მეფის ერნჯაკის ციხეზე ლაშქრობის შესახებ, რასაც თემურის საშინელი რისხვა საქართველოში მისი მორიგი ლაშქრობა გამოუწვევია. ასევე მოკლედ მოგვითხრობს იმ უბედურებაზე, რაც მან საქართველოს დაატეხა თავს ამ შემოსევისას[69]. შემდეგი ანდერძი 1403 წელს არის შესრულებული. გამომცემელს იგი ასე დაუსათაურებია: "თემურ-ლენგის ურდოთა ომებისა და შემოსევების ისტორია, აღწერილი გრიგოლ ხლათელის მიერ". ეს ანდერძი ლექსად არის დაწერილი და მასში ერნჯაკის ციხეზე ლაშქრობის ახალი დეტალებით შევსებული ცნობაც არის დაცული. აქვე მოთხრობილია საქართველოში თემურ-ლენგის 1399-1400 წლებში ლაშქრობის შესახებაც.

თემურიანთა ხანის სომხეთისა და საქართველოს შესწავლისათვის საყურადღებო წყაროა გრიგოლ ხლათელის $hmfjfuf6fg f9djh7.. _ "ჩვენი დროის ვაებათა ხსენება"[70]. გრ. ხალათიანცი მას ისტორიულ სიმღერას უწოდებს[71]. თხზულების მეტრული ფორმისა და გამოხატვის პოეტური საშუალებების მიუხედავად ეს ნაშრომი მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა. აქ მოთხრობილია სომხეთის 1386-1422 წლების ისტორია. აგრეთვე დაცულია ცნობები 1386 წელს თემურის მიერ თბილისის აღებისა და ბაგრატ მეფის დატყვევების შესახებ. მოთხრობილია ქართველთა მეფე გიორგის დიდი გამარჯვების შესახებ, რომელიც მივიდა, გაფანტა ჩაღათა მოალყეები და გაათავისუფლა სულთან თაჰერი. როცა ეს ამბავი თემურს გაუგია, განრისხებულა და ხელახლა გამოულაშქრია საქართველოზე. აქვე გრიგოლი გვაუწყებს, 15 წლიანი ალყის შემდეგ თემურის მიერ ერნჯაკის ციხის აღებას[72]. აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ხლათელის ამ პროზაული თუ პოეტური ნაშრომების ცნობები კარგად ავსებს ერთმანეთს. ნაშრომებში ასახულია ის საერთო განწყობა და სულისკვეთება, ანუ ფსიქო-ემოციური ფონი, რაც სომხეთში სუფევდა ამ ეპოქაში.

1391 წლით დათარიღებულ ლექსად დაწერილ ანდერძში თემურ-ლენგის მიერ სომხებისა და ქართველების უმოწყალო ჟლეტაზე და სასულიერო პირების დახოცვაზეა

[69] @Z zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, გვ. 628.
[70] იქვე, გვ. 272-286.
[71] $hmfjfuf6fg F98jh7, გვ. XII.
[72] @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, r. F, გვ. 274; 277-279.

საუბარი[73]. 1399 წლის ერთ ანდერძში ბაგრატ V და გიორგი VII მოიხსენიებიან. ბაგრატის შესახებ ნათქვამია, რომ ის გამარჯვებული და ძლიერი მეფე იყო და მის დროს ქვეყანაში სრული მშვიდობიანობა სუფევდა საქართველოში[74]. 1400 წლით დათარიღებულ სხვა ანდერძში საუბარია დიდი ხნის განმავლობაში დახშული ალანთა კარის გახსნაზე, თემურ-ლენგის საქართველოში შემოსევასა და მრავალი ტყვის წაყვანაზე[75]. 1401 წელს შესრულებულ ანდერძში კი მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ ბოროტი და წყეული ქართველი დიდებულების წინამძღოლობით თემურ-ლენგს დაულაშქრავს საქართველო, დაუნგრევია ეკლესია-მონასტრები და უამრავი ადამიანი წაუყვანია ტყვედ, რის შედეგადაც 100.000 კაცის დანაკარგი აღუწერიათ[76]. აღსანიშნავია, რომ მოღალატე ქართველი დიდებულების შესახებ ცნობები მოიპოვება სპარსულენოვან[77] და ქართულ წყაროებშიც[78].

საქართველოში თემურ-ლენგის შემოსევების შესახებ ცნობები არის შემონახული იერუსალიმის მატენადარანის №1801 ხელნაწერ კრებულში, კერძოდ მოკლედ არის მოთხრობილი 1386 წელს თემურის მიერ თბილისის აღების და ბაგრატ მეფის დატყვევებისა და ქართველთა მიერ თაჰერ ჯალაირის გათავისუფლებასა და განრისხებული თემურის საქართველოზე გამოლაშქრების შესახებ[79].

საინტერესო ცნობებია შემონახული იერუსალიმის წმ. იაკობის მონასტრის ბიბლიოთეკის №1719 ხელნაწერ კრებულებში, რომელიც XV საუკუნით თარიღდება. აქ თემურ-ლენგის პირველი ლაშქრობა საქართველოში და ბაგრატის დატყვევება ისევე, როგორც თემურის მიერ კეთილი ნების გამოჩენა და ბაგრატ V-ის საქართველოში გამოგზავნა 1384 წლის ქვეშ არის მოთხრობილი. შემდეგი ცნობა ეხება 1399 წელს ქართველების ალინჯაზე ლაშქრობის გარემოებებს, ციხესთან ქართველებსა და ჩაღათას დამხმარე ძალებს შორის ბრძოლასა და თემურის საქართველოზე გამოლაშქრებას,

---

[73] @Z zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, გვ. 589.
[74] @Z zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, გვ. 625-626.
[75] @Z zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, გვ. 630.
[76] @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, r. F, გვ. 5.
[77] დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 145-147.
[78] შ. მესხია, ძეგლი ერისთავთა, გვ. 359.
[79] @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, r. F, გვ. 5.

მოღალატე ქართველი დიდებულების დახმარებით მცხეთის და მთელი ქვეყნის აოხრებას[80].

საქართველოში თემურის შემოსევების შესახებ ცნობები მოიპოვება კირაკოს რშტუნელის მცირე ზომის ქრონიკაშიც. ვარდაპეტი

კირაკოს რშტუნელი, იგივე კირაკოს ფილოლოგი, XV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა. ამ ავტორის ბიოგრაფიიდან ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი. იგი სომეხი სასულიერო პირების იმ გუნდს ეკუთვნოდა, რომელიც საკათალიკოსო ტახტის ეჩმიაძინში დაბრუნების მომხრე იყო. როგორც ჩანს, რშტუნელი ვარდაპეტი 1441 წელს არჩეული კათალიკოსის, კირაკოს ვირაპელის, თანამოაზრე და აქტიური მხარდამჭერი იყო, ვინაიდან მისი ეჩმიაძინიდან გაძევების შემდეგ ახალი კათალიკოსის მომხრეებმა კირაკოს რშტუნელს საურავი დაადეს[81]. დღესდღეობით ჩვენთვის კირაკოს რშტუნელის ორი მცირე ფორმატის ნაშრომია ცნობილი: თომა მეწოფელის ბიოგრაფია[82] და ისტორიული ქრონიკა. ვ. ჰაკობიანის მიერ გამოქვეყნებული ქრონიკა[83] ეხება 1248-1443 წლებს, ხოლო კირაკოს ვარდაპეტის ორიგინალურ ნაშრომად 1381-1443 წლების ქრონიკა ითვლება[84].

საქართველოს შესახებ ცნობები 1392-1440 წლებს შორის არის მოქცეული. პირველი ცნობა გვაუწყებს გიორგი მეშვიდის გალაშქრებას ალინჯის ციხეზე, აჰმად ჯალაირის ვაჟის _ თაჰერის ციხიდან გამოყვანასა და თბილისში წაყვანას. 1400 წლის გასწვრივ აღნიშნულია, რომ, როცა თავის ქვეყანაში მყოფმა თემურ-ლენგმა გიორგის ამ აქციის შესახებ შეიტყო, კვლავ ილაშქრა საქართველოზე და მრავალი ტყვე წაიყვანა. ქრონიკაში დაცული მეორე მოკლე ცნობა ჯაჰან-შაჰის მიერ სამშვილდის აღებას ეხება. აქ ავტორი დაღუპულთა და ტყვედ წაყვანილთა რაოდენობის შესახებაც იტყობინება.

კირაკოს რშტუნელის ამ ქრონიკის ერთი, მოგვიანებით აღმოჩენილი, რედაქცია 1972 წელს გამოაქვეყნა ლ. ხაჩიკიანმა. ქრონიკა ასახავს 1386-1443 წლებს შორის მომხდარ

---

[80] Rf46 7ty7fu 3d5fs6f7 E6wt7 $futwdfg7, VI, ufcrd7 G. Lt9f6dfg, D6tyef98r, 1972, გვ. 27-28.

[81] V. Nfxhu4fg, Kf4 lfjrtyo4fg fgkf4j 81d6h7, Lfjrf-Wfgfeh6fufg Kfgzde, №4, D6., 1972, გვ. 236-237.

[82] Sf6dshg af6zfldj Ktaedq4fg, Otarf Rdptqd7ty U4fgbi, Af9\lfj, 1914.

[83] Rfg6 2frfgfufs6tyotyggd6 XIII-XVIII z. z., ufcrd7 A. F. Kfutw4fg, D6.,1951, Kfj. I, გვ. 118-120.

[84] იქვე, გვ. 114.

ამბებს. აქ მოკლედ არის აღნიშნული 1400 წელს თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობისა და 1440 წელს ჯაჰანშაჰის მიერ სამშვილდის აღების შესახებ[85].

იმ ავტორთა შორის, რომლებიც სომხეთსა და მის მეზობელ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში) თემურ-ლენგის შემოსევების შესახებ მოგვითხრობენ, ყველაზე მნიშვნელოვანია თომა მეწოფელი (1376/1379_1446). იგი ვანის ტბის ჩრდილოეთით მდებარე აღიოვტის გავარში დაიბადა. მისი მშობლები აზნაურთა ფენას ეკუთვნოდნენ. თავდაპირველი განათლება თომამ მეწოფის მონასტერში მიიღო. თემურ-ლენგის შემოსევებისა და შავბატკნიან თურქმანთა თარეშის შედეგად სომხეთში დაწყებული არეულობის გამო თომას ხშირად უწევდა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა. 1395 წელს იგი ქაჯბერუნიქის გავარში სუხარას (ხარაბასტას) მონასტერში ჩავიდა და იმ დროის ცნობილ სომეხ ვარდაპეტებს სარგისსა და ვარდანს დაუმოწაფდა. 1406 წელს თავის თორმეტ მეგობართან ერთად ის ტათევის მონასტერში გადავიდა, რათა სახელგანთქმულ გრიგოლ ტათეველთან გაეღრმავებინა ცოდნა. თუმცა ორი წლის შემდეგ მოძღვარიცა და მოწაფეებიც თურქმანებისაგან თავდასაღწევად იძულებულნი გახდნენ ტათევიდან მეწოფის მონასტერში გადასულიყვნენ. ერთი წლის შემდეგ, როდესაც გრიგოლი აირარატში წავიდა, თომა მეწოფელი დაეწია მას და შეეცადა, დაებრუნებინა მოძღვარი მეწოფში. თუმცა ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა მაგრამ თომას თქმით სწორედ აქ უბოძა გრიგოლმა მას ვარდაპეტის ხარისხი (1410)[86]. თომა მეწოფელის ბიოგრაფის, კირაკოს რშტუნელის ცნობის თანახმად ეს ამბავი ერევანში მომხდარა[87]. გრიგოლ თათეველის გარდაცვალების შემდეგ თომა მეწოფის მონასტერში დამკვიდრდა, სადაც აქტიური ლიტერატურული და ანტიკათოლიკური მოღვაწეობა გააჩაღა. იგი თავისი დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო სასულიერო მოღვაწეა. თომა მეწოფელს ეკუთვნის "მემუარები"[88], რომელიც მოგვითხრობს 1441 წელს კილიკიიდან საკათალიკოსო ტახტის ეჩმიაძინში გადმოტანის პერიპეტიებზე და, რაც მთავარია, თხზულება _ "ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა". ამ მატიანით თომა მეწოფელს XV-XVI საუკუნეების ერთადერთი სომეხი ისტორიკოსის სახელი

---

[85] V. Nfxhu4fg, Kf4 lfjrtyo4fg fgkf4j 81d6h7, გვ. 241-242.
[86] @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, r. F, გვ. 101.
[87] Sf6dshg af6zfldj Ktaedq4fg, Otarf Rdptqd7ty U4fgbi,Af9\lfj, 1914, გვ.
[88] Otarf Rdptqd7ty $hmfjfuf6fg, k6fjf6fud7 hy6 4f6f1fwfgta Uf6fldj Utejfgdfg7, Oh]., 1892.

დაუმკვიდრდა[89]. თხზულებაში აღწერილია XIV საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XV საუკუნის პირველი ნახევრის სომხეთის თავგადასავალი. იგი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს წარმოადგენს ამ პერიოდის ამიერკავკასიის, და კერძოდ საქართველოს, ისტორიის შესასწავლად.

თომას ისტორიაში, ყველა სხვა სომხურ წყაროსთან შედარებით უფრო ვრცლად არის აღწერილი სომხეთში თემურ-ლენგის 1386-1387 წლების ლაშქრობა. სწორედ ამ პირველი შემოსევის შესახებ თხრობისას თომა მეწოფელი მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის საქართველოს შესახებაც. თომას თხზულებაში პირველი ცნობა საქართველოზე ეხება თემურ-ლენგის მიერ თბილისის აღებას, ბაგრატ მეფის დატყვევებას, მის იძულებით გამაჰმადიანებას, რასაც მოჰყვება ბაგრატის მიერ თემურის მოტყუების და ამ გზით 12.000-იანი ლაშქრის წამოყვანისა და მისი სრული განადგურების ამბავი. თომა მეწოფელის ამ ცნობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული წყაროთმცოდნეობისა და ისტორიის თვალსაზრისით, ამიტომ მას ქვემოთ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ.

მეორე ცნობა თემურ-ლენგის 1400 წლის შემოსევის შესახებ იძლევა ინფორმაციას. ისტორიკოსი გვაუწყებს, რომ ილდირიმ ბაიაზეთზე გალაშქრების წინ თემური საქართველოში შემოჭრილა. მეფე გიორგისა და მის ძმებს წინასწარ მიუღიათ ზომები: ლაშქარი შეუყრიათ, ხოლო "ქართველთა და სომეხთა მთელი მოდგმა" გაუხიზნავთ და მიუვალ ადგილებში გამაგრებულან. თომას მიხედვით, ქართველები შინაგამცემლობის გამო დამარცხდნენ. მეფე გიორგის ასი კაცი წაუყვანია, მტრის ჯარში შეჭრილა და მრავალი დაუხოცავს, შემდეგ კი უთანასწორო ბრძოლას გასცლია და გამაგრებული ადგილისათვის შეუფარებია თავი. თემურ-ლენგმა ამ ლაშქრობისას მთელი ქვეყანა მოაოხრა, ეკლესიები დაანგრია და 60.000 ტყვე გაიყოლა სომხეთში, სადაც თომას თავისი თვალით უნახავს მათი უბედურება.

თემურ-ლენგის შემოსევების შემდგომი პერიოდის ამსახველი ცნობები ეხება: შავბატკნიან თურქმანთა მიერ ახალციხის დარბევას (1416), ბეშქენ ორბელიანის საწამლავით მოკვდინებას, რაშიც ავტორი ალექსანდრე ქართველთა მეფეს სდებს ბრალს (1438) და ჯაჰან-შაჰის მიერ სამშვილდისა და თბილისის აოხრებას (1440).

---

[89] ლ. მელიქსეთ-ბეგი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, გვ. 161; Fwd94fg R., Kf4t7 khg s6fufgtyo4fg lfjrtyo4tyg, s. II, გვ. 356.

თომა მეწოფელის საისტორიო თხზულება იმთავითვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა მას თავის წყაროდ იყენებდნენ შუა საუკუნეების სომეხი ისტორიკოსები. XIX საუკუნის შუა ხანებიდან ევროპელმა მკვლევრებმაც მიაქციეს ყურადღება თომა მეწოფელის ნაშრომს.

1860 წელს კ. შაჰნაზარიანმა სომხურად გამოსცა "ისტორია თემურ ლენგისა და მისი შთამომავლებისა აღწერილი თომა მეწოფელის მიერ"[90]. არსებობს ამ პირველი სომხური გამოცემის ფრანგული, აზერბაიჯანული, რუსული, ქართული, ინგლისური, თარგმანები[91]. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანული და რუსული თარგმანები ნაკლულია, ტექსტიდან ამოღებულია რელიგიური შინაარსის მქონე ნაკვეთები. სრული ქართული თარგმანის გარდა ჩვენ ხელთ გვაქვს თომა მეწოფელის ნაშრომში საქართველოს შესახებ დაცული ცნობების სომხური ტექსტები პარალელური ქართული თარგმანითურთ[92]. 1999 წელს ერევანში გამოიცა ლ. ხაჩიკიანის მიერ 21 ნუსხის საფუძველზე დადგენილი თომა მეწოფელის თხზულების კრიტიკული ტექსტი[93], სადაც შესწორებულია კ. შაჰნაზარიანის გამოცემაში არსებული უზუსტობები.

ზემოჩამოთვლილ, არცთუ მრავალრიცხოვან თანადროულ სომხურ წყაროებს, რომლებიც თემურ-ლენგის შემოსევების შესახებ მოგვითხრობენ, შეემატა 1970-იან წლებში გამოვლენილი კიდევ ერთი ისტორიული ქრონიკა. მიუხედავად მცირე ფორმატისა, ეს ქრონიკა მეტად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სომხეთის, არამედ საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის, ვინაიდან მისი ცნობები ეხება თემურ-ლენგის 1386-1387 წლების ლაშქრობას სომხეთსა და საქართველოში. ამ თხზულებამ ჩვენამდე ერთი ხელნაწერით მოაღწია. იგი დაცულია სომხეთის მატენადარანის №9832 ხელნაწერ კრებულში, რომელიც, აღწერილობის თანახმად, XV_XVII საუკუნეებს

---

[90] Lfjrtyo4tyg Vfgu-Ofrty6f4 dy 4f1t6zf7 hy6t7 f6f6dfv Otarf af6zfldjh Rdptqd7t4, Qf6hc, 1860.

[91] Exposé des gerres de Tamerlan et de Sah-rokh dans l'Asie Occidentale d' apré la croniqe armenienne inédite de Thomas de Medzoph, Pars, 1860; Фома Мецопский, История Тимур-Ланка и его преемников, Баку, 1957; თოვმა მეწოფეცი, ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კარლო კუციამ, საქართველოს ისტორიის წყაროები, თბ., 1987; The History of Tamerlane and His Successors, by vardapet T' ovma Metsobets'i, translated by RoberT Bedrosian, New York, 1987.

[92] თომა მეწოფელი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითურთ, გამოსცა შესავალი წერილი და კომენტარი დაურთო პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა, თბ., 1937.

[93] Otarf Rdptqd7h, Lfjrfs6tyo4tyg, fmnfjfeh6tyo4frw Vdatg Nfxhu4fgh, D6. 1999.

ეკუთვნის. იგი მოიცავს კრებულის 19r-22r გვერდებს[94]. ჩვენ მიერ შესრულებული თარგმანი გაკეთებულია ლ. ხაჩიკიანის მიერ 1972 წელს "ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი"-ის №4-ში გამოქვეყნებული ტექსტიდან. სომხურ პუბლიკაციას ერთვის მცირე გამოკვლევა და კომენტარები[95].

ლ. ხაჩიკიანი ქრონიკის ავტორის ვინაობის დადგენისას გადაულახავ პრობლემას აწყდება. კერძოდ, ნაშრომის იმ ნაწილში, სადაც თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს, ავტორად ორი სხვადასხვა პირი ჩანს.ერთ შემთხვევაში ვკითხულობთ: "და მე, სტეფანე მეწოფელმა ვარდაპეტმა და ნერსე ეპისკოპოსმა გამოქცეული ქრისტიანები წავიყვანეთ". უფრო ქვემოთ კი ასეთ ფრაზას ვაწყდებით: "მათ შორის ვიყავი მეც, ნერსე ეპისკოპოსი". იმის გათვალისწინებით, რომ ამ ორ სასულიერო მოღვაწეს შორის რომელიმესათვის უპირატესობის მისანიჭებლად დამატებითი ცნობების მოძიება შეუძლებელი აღმოჩნდა, მკვლევარმა ახლად გამოვლენილ წყაროს უწოდა "თემურ-ლენგის პირველი შემოსევების ისტორია, დაწერილი სტეფანე და ნერსე მეწოფელების მიერ"[96].

აღსანიშნავია, რომ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე მეწოფის მონასტერი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამ დროისათვის მეწოფის საგანმანათლებლო კერას თითქმის საუკუნოვანი ტრადიცია ჰქონდა და თავისი მნიშვნელობით მხოლოდ ტათევის სახელგანთქმულ სკოლას უთმობდა პირველობას. XIV საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული XV საუკუნის 50-იან წლებამდე მეწოფის მონასტერი განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდიდა[97]. ამ დროს აქ სომხეთის ყველაზე გამოჩენილი ვარდაპეტები მოღვაწეობდნენ, მათ შორის: გრიგოლ ტათეველი, გრიგოლ ხლათელი, იაკობ ყირიმელი. ხოლო იმის წარმოსადგენად, თუ როგორი სულისკვეთება სუფევდა ამ სავანეში, საკმარისია გავიხსენოთ თომა მეწოფელი, რომელიც კილიკიიდან საკათალიკოსო ტახტის სომხეთში გადმოტანის აქტიური მომხრე და ამ პროცესის უშუალო მონაწილე იყო. 1386-1387 წლების ქრონიკის ავტორებიც, სტეფანე ვარდაპეტი და ნერსე ეპისკოპოსი, მეწოფის საგანმანათლებლო კერის უფროსი თაობის ცნობილ წარმომადგენლებად გვევლინებიან.

---

[94] &ty7fu 3d5fs6f7 Rfmjt7h fgafg Rfjdgfzf6fgh, Kfj. W, D6., 1970, გვ. 1000.
[95] V. Nfxhu4fg, Kf4 lfjrtyo4fg fgkf4j 81d6h7, გვ. 231-248.
[96] იქვე, გვ. 233.
[97] Kf4 2t9ta6zh lfjrtyo4tyg, Kfj. III, D6., 1972, გვ. 440-441.

წყაროში ნერსე ეპისკოპოსი მეწოფელად არსად არ არის მოხსენიებული. ამდენად, ლ. ხაჩიკიანის მიერ შემოთავაზებული ტექსტის დასათაურებაში ნერსეს მეწოფელად მოხსენიება სპეციალურ დასაბუთებას მოითხოვს. ამ საკითხს ნაწილობრივ ნათელს ჰფენს თომა მეწოფელის თხზულებაში დაცული ცნობა. სიზუსტისათვის ჯერ ტექსტის შესაბამის ციტატას მოვიტანთ: „და მე, სტეფანე მეწოფელმა ვარდაპეტმა, და ნერსე ეპისკოპოსმა გამოქცეული ქრისტიანები წავიყვანეთ წმინდა კარაპეტში, ვინაიდან თემური მოწყალე თვალით უყურებდა აბგარ ეპისკოპოსს. მტკიცედ ნაგები იყო წმინდა კარაპეტის მონასტერი. უფალმა აბგარმა და იაკობ ვარდაპეტმა დაუყოვნებლივ მიგვიღეს ჩვენ და ყოველი ლტოლვილი გაამხნევეს საკვებით, ძღვენითა და თანადგომით“[98]. იმავე ფაქტს, რომელიც ჩვენი წყაროს იდენტურად თემურ-ლენგის 1387 წლის სომხეთში ლაშქრობის შესახებ თხრობაშია ჩართული, თომა მეწოფელი ასე აგვიწერს: “ვინმე სტეფანე ვარდაპეტმა, მეწოფის წმინდა ძმობის ეპისკოპოსმა, სახელად ნერსემ, არჭეშის გავარიდან, მეუდაბნოე იაკობ ვარდაპეტმა და წმინდა სავანის ეპისკოპოსმა აბგარმა გაამხნევეს და შთააგონეს ყველა~[99]. ეს ორი ცნობა ავსებს ერთმანეთს ქრონიკის ავტორის ვინაობის დადგენის თვალსაზრისით. თომასეული “ვინმე სტეფანოს ვარდაპეტი” უეჭველად ჩვენი წყაროს სტეფანე მეწოფელი ვარდაპეტია, ხოლო ნერსე ეპისკოპოსი, თომას მიხედვით, მეწოფის წმინდა ძმობის ეპისკოპოსად გვევლინება. თომა მეწოფელის ამ ცნობის ფონზე თავს იჩენს კითხვა: რამდენად შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს მეწოფის საეპისკოპოსოს არსებობა და, თუ იგი არ არსებობდა, რამ განაპირობა მსგავსი ცნობის გაჩენა. სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში თომას ცნობა ამ თვალსაზრისით არ განუხილავთ. მკვლევრები მხოლოდ ნერსეს სახელისა და წოდების კონსტატაციით შემოიფარგლებიან: კერძოდ კი, მას იხსენიებენ ნერსე მეწოფის ეპისკოპოსად (Gd6e8e Rdptqf4 dlheutlte)[100], ან ნერსე არჭეშელად, მეწოფის მონასტრის ეპისკოპოსად (Gd6e8e F6`hmd7h, dlheutlte Rdptqf4 afgbh)[101]. შესაძლოა, თომა მეწოფელის ეს ცნობა არასანდოდ მიგვეჩნია, ვინაიდან მეწოფის საეპისკოპოსოს არსებობის შესახებ

[98] Nfxhu4fg V., Kf4 lfjrtyo4fg fgkf4j 81d6h7, გვ. 239-240.

[99] Otarf Rdptqd7h, Lfjrfs6tyo4tyg, გვ. 23-24; თოვმა მეწოფეცი, ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა, გვ. 25.

[100] Fcsflfjtyr, Kf4 ty99fqf5 dud9d7yt4 fg7bd6i euhcw8g rhgxdy rd6 [6d6i 4f6fuh7 fcsf4hg lf6fsfgd6ta lfjrtyfp, s6d7 Rf9fbhf f6bdlheutlte {6rfgdfg, L6fu 11, Utejfgzgtyltvhe, 1913, გვ. 1973; 1984.

[101] F`f54fg K6., Kf4t7 fg3gfgtyggd6h wf5f6fg, Kfj. Z, D6., 1948 F`f54fg K6., Kf4t7 fg3gfgtyggd6h wf5f6fg, Kfj. Z, D6., 1948, გვ. 60.

ადრეული წყაროები არაფერს გვატყობინებენ. ავტორი კი მის მიერ აღწერილი ამბების უმცროსი თანამედროვეა. მაგრამ არის ერთი საყურადღებო გარემოება, რასაც ანგარიში უნდა გაეწიოს: თომა მეწოფელი "მემუარებში" სისიდან ეჩმიაძინში საკათალიკოსო ტახტის გადმოტანისა და კათალიკოსის ასარჩევად მოწყობილი კრების მონაწილეების ჩამონათვალში გამოყოფს ოც ეპისკოპოსს, რომელთა შორის მოიხსენიება "უფალი იოანე არჭეშის მეწოფის სავანიდან" (J86 $tkfgg8e F6`hmty Rdptqf4 afgh7)[102]. ამ შემთხვევაში კი ძნელია თომა მეწოფელზე უფრო სარწმუნო და კომპეტენტური ავტორი მოინახოს, ვინაიდან ის თვითონ იყო საკათალიკოსო ტახტის სომხეთში დაბრუნების ერთ-ერთი ინიციატორი და კრების აქტიური მონაწილე. ჩანს, ნერსეს მოხსენიება მეწოფელ ეპისკოპოსად ერთადერთი პრეცენდენტი არ უნდა იყოს სომხურ ისტორიოგრაფიაში.

თომა მეწოფელის ისტორიაში უკვე მოტანილი ცნობის გარდა ნერსეს შესახებ სხვა ინფორმაციაც მოიპოვება. კერძოდ, ნერსე ეპისკოპოსს უკურთხებია მღვდლად შემდგომში თვალსაჩინო მოღვაწე, ზემოხსენებული იოანე მეწოფელი, რომელიც წმინდა ღვთისმშობლის მეწოფის სავანედ წოდებულ "უფლის სადგომ, მშვენივრად ნაგებ წმინდა სავანეში" ეუფლებოდა ცოდნას: "როდესაც ეპისკოპოსმა უფალმა ნერსესმა მისი (იოანეს) სულის სათნოება და წმინდა [ღვთის]მოშიშობა დაინახა, მას მღვდლის ხარისხისაკენ მოუწოდა"[103].

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ქრონიკის აღმოჩენამ შესაძლებელი გახადა, ერთი მხრივ, მისი ერთ-ერთი სავარაუდო ავტორის, სტეფანე მეწოფელი ვარდაპეტისა, და, მეორე მხრივ, თომას "ისტორიაში" 1387 წლის ამბებთან დაკავშირებით ნერსე მეწოფის ეპისკოპოსის გვერდით ხსენებული სტეფანე ვარდაპეტის იდენტიფიკაცია, რასაც გასაგები მიზეზების გამო ვერ ახერხებდნენ წინა თაობების სომეხი მკვლევრები. სტეფანე მეწოფელი ვარდაპეტი მ. ორმანიანთან სტეფანე არჭეშელ ვარდაპეტად (Ejdqfgte F6`hmd7h af6zfldj) მოიხსენიება[104], ხოლო

[102] Otarf Rdptqd7ty $hmfjfuf6fg, გვ. 52.
[103] Otarf Rdptqd7h, Lfjrfs6tyo4tyg, გვ 85; თოვმა მეწოფეცი, ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა, გვ. 42.
[104] Fcsflfjtyr, Kf4 ty99fqf5 dud9d7yt4 fg7bd6i euhcw8g rhgxdy rd6 [6d6i 4f6fuh7 fcsf4hg lf6fsfgd6ta lfjrtyfp, გვ. 1873.

ჰრ. აჭარიანის სომხურ საკუთარ სახელთა ლექსიკონში მისი არჭეშელობა კითხვის ნიშნის ქვეშ არის დაყენებული[105]. თომა მეწოფელთან სტეფანეს შესახებ არსებული მოკლე ცნობებიდან ირკვევა, რომ იგი მეწოფის მონასტრის მღვდელი ყოფილა. იოანეს მღვდლად კურთხევის (დაახლოებით 1374 წ.) შემდეგ ისინი დამეგობრებულან და ერთად წასულან იოანე ვოროტნელთან ცოდნის გასაღრმავებლად და ვარდაპეტობის მისაღებად, "[იგი] (იოანე) დაუმეგობრდა ერთ უბიწო და კეთილბუნებოვან მღვდელს, სახელად სტეფანეს, რომელიც იმავე უდაბნოში, იგივე მოსე ვარდაპეტის ნამოწაფარი იყო. ისინი წავიდნენ დიდ მოძღვართან, იოანესთან, მეტსახელად დაკიდებულთან, სიუნიქის ქვეყანაში, ვოროტანის გავარში"[106]. სტეფანე ვარდაპეტი სოფელ დარაში გარდაცვლილა 1395 წელს სომხეთში თემურ-ლენგის მეორე შემოსევისას: "შემდეგ ჩვენ მივედით და მივაღწიეთ სოფელ დარას კოგოვიტის გავარში. იქ აღესრულა წმინდა ვარდაპეტი სტეფანე, დიდი იოანე ვოროტნელის მოწაფე, წმინდა ვარდაპეტის იოანე მეწოფელის მეგობარი~[107]. ცნობის თანახმად, თომა მეწოფელი თავად ყოფილა ამ ამბის მომსწრე.

სტეფანე ვარდაპეტისა და ნერსე ეპისკოპოსის ქრონიკა მცირე ზომისაა და დროის ხანმოკლე პერიოდს ასახავს. ამის მიუხედავად შინაარსობრივად იგი საკმაოდ ტევადია. თავდაპირველად ავტორი მოკლედ მოგვითხრობს თემურ-ლენგის ვინაობისა და მის მიერ შუა

აზიისა და ხორასნის დაპყრობის შესახებ. ჩვენი ქრონიკის მოკლე და თომა მეწოფელის უფრო ვრცელი ცნობების თანახმად, თემურ-ლენგი თავდაპირველად ყაჩაღი და ავაზაკი ყოფილა, შემდეგ კი მზაკვრობისა და მოხერხებულობის წყალობით დაუპყრია სამარყანდი, ბუხარა და მთელი ხორასანი. სომეხი ავტორების ცნობებს დამაჯერებლობას მატებს კასტილიის ელჩის, კლავიხოსა და სამარყანდში მცხოვრები არაბი ისტორიკოსის იბნ არაბშაჰის ცნობებიც, რომელთა მიხედვით თემური მოღვაწეობის დასაწყისში ყაჩაღთა წინამძღოლი იყო[108].

---

[105] F`f54fg K6., Kf4t7 fg3gfgtyggd6h wf5f6fg, Kfj. Z, გვ. 646.

[106] Otarf Rdptqd7h, Lfjrfs6tyo4tyg, გვ. 85-86; თოვმა მეწოფეცი, ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა, გვ. 42.

[107] თოვმა მეწოფეცი, ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა, გვ. 25; 38.

[108] Бартольд В.В., Сочинения, т. II, ч. 2, М., 1964, გვ. 38.

ქრონიკის ყველაზე ვრცელი ნაწილი, რომელიც უშუალოდ 1386-1387 წლებს ეხება, შეიცავს ცნობებს სომხეთსა და საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ. თავდაპირველად მოკლედ არის მოთხრობილი თემურ-ლენგის მიერ 1386 წელს სივნიეთში ლაშქრობისა და ქალაქ სურმარის დანგრევის შესახებ. აქვეა მოთხრობილი კოღბის მამასახლისის გმირობის შესახებ, რომელმაც თაქალთუს მთაზე აიყვანა თანასოფლელები და თემურ-ლენგის ტყვეობიდან იხსნა ისინი.

ამის შემდგომ მოთხრობილია 1386 წელს თემურ-ლენგის მიერ თბილისის აღებისა და ბაგრატ მეფის დატყვევების შემდეგ განვითარებული მოვლენების თაობაზე. კერძოდ კი, საუბარია ბაგრატ V-ის მოჩვენებითი გამაჰმადიანების, თემურ-ლენგისგან ჯარის მოტყუებით გამორიდებისა და ამ ლაშქრის ქართველთაგან განადგურების შესახებ. ამ ცნობაში ჩართულია სხვა საინტერესო ინფორმაციაც, რომელიც ეხება ქართული სამეფო საგვარეულოს წარმოშობისა და საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე.

საქართველოს შესახებ ცნობებს უშუალოდ მოსდევს ინფორმაცია განრისხებული თემურის სომხეთის სამხრეთში გაბატონებული შავბატკნიანი თურქმანების წინააღმდეგ ლაშქრობაზე. ამჯერად სტეფანე და ნერსე მეწოფელები აღწერილი მოვლენების მხოლოდ თანამედროვენი კი არა, უშუალო მონაწილენიც არიან. ისინი თემურ-ლენგისა და ყარა-მაჰმადის შეტაკების შედეგად სომხეთის სხვადასხვა გავარიდან ლტოლვილ მოსახლეობას მუშის გავარში ხვდებიან და წმინდა კარაპეტის მონასტერში მიჰყავთ. იქ ადგილობრივი ეპისკოპოსის, აბგარისა და იაკობ ვარდაპეტის დახმარებით საკვებით ამარაგებენ და ლოცვით ამხნევებენ მათ. მონასტრიდან წამოსვლის შემდეგ კი გეზი არჭეშისაკენ უჭირავთ.გზაში ისინი ჩაღათაელთა ლაშქრის ტყვეობაში ვარდებიან, მაგრამ ერთ-ერთ თურქმან ბელადთან მოულოდნელი შეჯახებისას ჩაღათაელები მარცხდებიან, ტყვეები კი თავისუფლდებიან და მადლობას სწირავენ უფალს. ამის შემდეგ თემურ-ლენგი ჩანს მუშში, არწკესა და ბაღეშში. ბოლოს კი იგი ქალაქ ვანზე ლაშქრობს და მისი აღების შემდეგ უმოწყალოდ ხოცავს მოსახლეობას. ქრონიკაში ამ ცნობით სრულდება 1386-1387 წლების ამბების თხრობა.

ქრონიკის ბოლოს მოკლე ცნობა მოიპოვება თემურ-ლენგის მიერ სებასტიის დაპყრობის და სულთან ბაიაზეთის დატყვევების შესახებ. ლ. ხაჩიკიანი აღნიშნავს, რომ

1401-1402 წლების მოვლენების ამსახველი ეს მოკლე ცნობა არ არის ქრონიკის ორგანული ნაწილი და უფრო გვიანდელ, გადამწერის მიერ დამატებულ ცნობად მიაჩნია[109].

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ცნობები შემონახულია XII საუკუნის ცნობილი სომეხი ისტორიკოსის სამუელ ანელის "ქრონოგრაფიის" გამგრძელებელთა ნაშრომებში. პირველი გაგრძელება მოიცავს 1257-1424 წლებს[110]. აქ დაცული ინფორმაცია თითქმის იდენტურია იერუსალიმის ზემოხსენებული ხელნაწერის ცნობისა. მეორე გამგრძელებლის ნაშრომი მოიცავს 1392-1665 წლებს[111]. ეს გაგრძელება დასაწყისიდან 1443 წლის ჩათვლით თითქმის ემთხვევა კირაკოს რშტუნელის ქრონიკის შესაბამის მონაკვეთს.

კიდევ ერთი ავტორი, ვისაც თავის თხზულებაში მოეპოვება ცნობები თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობების შესახებ, არის XVII საუკუნის ისტორიკოსი არაქელ თავრიზელი. ის XVI საუკუნის ბოლოს დაიბადა თავრიზში. არაქელის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები მხოლოდ მისი ეჩმიაწინში დამკვიდრების შემდეგ მოგვეპოვება. იგი ფილიპე კათალიკოსის მოწაფე გამხდარა. მასვე გაუგზავნია არაქელი სხვადასხვა ქვეყნებში დიპლომატიური მისიით. ამავე კათალიკოსის ბრძანებით მას ისტორიული თხზულების წერა დაუწყია 1651 წელს და 1662 წელს დაუსრულებია[112]. არაქელ თავრიზელის "ისტორია" ძირითადად 1602-1662 წლებს მოიცავს და მოგვითხრობს შაჰ-აბასის შემოსევების შესახებ სომხეთსა და მის მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ საქართველოში. ამ ძირითადი ნაწილის გარდა არაქელს თხზულების ბოლო ნაწილში მოუთავსებია მის ხელთ არსებული სხვადასხვა დროს დაწერილი მოკლე ქრონიკები. მათ შორის წიგნის 57-ე თავში არის კირაკოს რშტუნელის ქრონიკის ნაწილიც[113].

შემდეგი ისტორიკოსი, რომელიც მოგვითხრობს თემურ-ლენგის შემოსევების შესახებ სომხეთსა და მის მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ საქართველოში, არის დავით ბაღეშელი. იგი 1610-1620 წლებს შორის დაიბადა და მოღვაწეობდა ბაღეშში. მისი ქრონიკიდან ირკვევა, რომ დავითი ბაღეშის წინამძღვარის მესროპ ვარდაპეტის მოწაფე

---

[109] V. Nfxhu4fg, Kf4 lfjrtyo4fg fgkf4j 81d6h7, გვ. 232.
[110] Efrty8vh Bfkfgf4h Fgd7yt4 Kfyfbrtygb h S6t7 Lfjrfs6f7, 4f5f1fwfgta, kfrdrfjtyo4frw, 4fydvafpgd6ta dy pfgtotyohyggd6ta F6mfu J86\rhbdvdfgh, Af9f6mflfj, 1893, გვ. 161-174.
[111] იქვე, გვ. 175-180.
[112] F5fbdv Zfa6h2d7h, Lfjrtyo4tyg, Of6srfgtyo4tyg, f5f1fwfgi dy pfgtofs6tyo4tyggd6i Af6fs F5fbdv4fgh, D6., 1988, გვ. 3-4.
[113] F5fbdv Zfa6h2d7h, Lfjrtyo4tyg, გვ. 490-491.

ყოფილა და 1641 წელს მასვე უკურთხებია იგი მღვდლად. 1647 წელს მან ვარდაპეტის ხარისხი მიიღო, ხოლო 1651 წლიდან ბაღეშის ერთ-ერთი მონასტრის – ხნდრაკატარის მოძღვრად ჩანს. 1671 წელს დაწერილი ერთი ანდერძის თანახმად კი დავით ბაღეშელი წმ. ლაზარეს (მოციქულთა) მონასტრის წინამძღოლად გვევლინება. 1673 წელს იგი ლიმის უდაბნოში გარდაცვლილა.

თანამედროვეები დავით ბაღეშელს დიდ ფილოსოფოსად (bf1f4f9o qhvtetqf) მოიხსენიებენ[114], თუმცა მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ვერ ადასტურებს ამ შეფასებას.

დავით ბაღეშელის მთავარი ნაშრომია ქრონიკა. ეს ნაშრომი დიდი ხანია ცნობილია მკვლევართათვის. 1888 წელს ღ. ფირღალემიანმა გამოსცა ამ ქრონიკის ოთხი მოკლე ნაკვეთი, რომელიც მან ვარაგის წმ. ნიშნის მონასტრის ერთ-ერთი ხელნაწერში მიაგნო. 1898 წელს ”F6f6fj”-ში ჰ. თოფჩიანმა გამოაქვეყნა სტატია ქრონიკისა და მისი ავტორის შესახებ. ხოლო თვით ქრონიკის რამდენიმე ვრცელი ნაკვეთი დაბეჭდა ხ. დადეანის ხელნაწერთა აღწერილობაში. დავით ბაღეშელის შესახებ ყველაზე მნიშვნელოვანი გამოკვლევის ავტორია აშოტ აბრაჰამიანი[115].

დავით ბაღეშელის ქრონიკამ ჩვენამდე სამი ნუსხით მოაღწია. ორი მათგანი მატენადარანის №7589 და №4044 ხელნაწერშია დაცული. პირველი მათგანი XVIII საუკუნეში არის გადაწერილი, მეორე კი XVII საუკუნეში. ყველაზე უფრო ადრეულია ის ნუსხა, რომელიც ბაქოს სახელმწიფო ბიბლიოთეკაში არის დაცული. ის დავითის სიცოცხლეშივე და შესაძლოა ავტოგრაფიდან 1667 წელს ბაღეშში გადაუწერია ვინმე მიქაელს. ეს ნუსხა ყველაზე უკეთ არის შემონახული[116].

ხელნაწერს საკმაოდ ვრცელი სათაური აქვს. ’Zfyoh Wfgfeh6h Wf9hmd7yt4 pf9ufbf9 f6f6df h wfctyr lfjrfs6f7 [cfc]sg $fwdoh dy ety9 hgx cEdr[f4] dy cBfrf4 iejt4s sjfufy wfctyr fmnfjtyodfrw igj6dvta cvfyg dy lhjfghg fgenfvfl8e mgt6k[b B6hejteh Fejpt4 rd6tyr’. ქრონიკა მოიცავს პერიოდს სომეხთა ბიბლიური წინაპრიდან - იაფეტიდან

[114] Rfg6 2frfgfufs6tyotyggd6 XIII-XVIII z. z., ufcrd7 A. F. Kfutw4fg, Kfj. II, D6.,1951, გვ. 287-288.
[115] Fm. Fw6fkfr4fg, Zfaho Wf9hmd7ty jf6ds6tyo4tyg dy g6f f62dbi kf4 rfjdgfs6tyo4g rd1, *1rhfphg, 1946, VIII–X, გვ. 55-59, XI–XII, გვ. 35-42.
[116] Rfg6 2frfgfufs6tyotyggd6 XIII-XVIII z. z., Kfj. II, გვ. 288-1289.

მოყოლებული 1662 წლამდე. აღსანიშნავია, რომ ავტორის თანადროული ამბები აქ მეტად მწირად არის აღწერილი. ნაშრომი ძირითადად წინამორბედ ისტორიკოსთა თხზულებების კომპილაციას წარმოადგენს. დავით ბაღეშელის ქრონიკის კრიტიკული ტექსტი ვ. ჰაკობიანის გამოკვლევითურთ დაბეჭდილია მოკლე ქრონიკების II ტომში[117].

ჩვენთვის საინტერესო ეპოქის აღწერისას დავით ბაღეშელი თომა მეწოფელსა და კირაკოს რშტუნელს იყენებს თავის წყაროდ. თხზულებაში მოკლედ არის მოთხრობილი თემურ-ლენგის გამოჩენასა და მის პირველ 1386-1387 წლის ლაშქრობაზე ამიერკავკასიაში. საქართველოს შესახებ ცნობა ეხება თბილისის აღებას და ბაგრატ V დატყვევების შემდეგ განვითარებულ მოვლენებს.

იმ ავტორთა გარდა, რომლებიც მეტნაკლებად ვრცლად მოგ-ვითხრობენ თემურის შემოსევების შესახებ სომხეთსა და მის მეზობელ ქვეყნებში, გამოიყოფა ერთი ჯგუფი ქრონიკებისა, სადაც მეტად მოკლედ ერთი თარიღის ქვეშ არის აღნიშნული თემურის შემოსევების შესახებ. წერილობთი წყაროების სპექტრის სისრულისათვის მოკლედ ჩამოვთვლით ამ ნიშნით გამორჩეულ ნაშრომებსაც.

XVI საუკუნის ანონიმური ქრონოგრაფია ”Zty6e sfvg ofof6f4’’ “თათართა გამოსვლა” მოიცავს პერიოდს 1221-1549 წლებს შორის. ჩვენამდე შემორჩენილ ორივე ვარიანტში 1386 წლის ქვეშ მითითებულია: “835 წელს თემურ ხანი დაჯდა, დემიშხამდე მიაღწია და იქ მრავალი დახოცა და იქიდან სომხეთში წამოვიდა და 17 წელი დარჩა”[118].

XVI საუკუნეშია დაწერილი აგრეთვე ანონიმი სებასტიელის ქრონიკაც სათაურით “Dy Kt5rf7 ofsfyt6f7 uf6sg f4e 8 ct6 terfg7hb ad6f4utxdg gt7f4 fgtyg. f4e 8 lt6j8 lt6j fcs gt7f rhgxd rdc , h rd6tyr 2frfgfuhe’’. ეს მოკლე ქრონიკა მოიცავს პერიოდს 1384-1596 წლებს შორის. ქრონიკაში ხშირად არის საუბარი სებასტიაში მომხდარ ამბებზე, რაც გვავარაუდებინებს, რომ ავტორი სებასტიის მკვიდრი უნდა იყოს.

თემურ-ლენგის შესახებ ქრონიკაში ორი ცნობა მოიპოვება: დასაწყისში ავტორი ოსმანიდან მოყოლებული ჩამოთვლის თურქ-ოსმალთა მბრძანებლებს. ილდირიმ ბაიაზეთთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ის თემურმა რკინის გალიაში ჩასვაო. უფრო ქვემოთ კი ვკითხულობთ: “1387 წელს გამოვიდა თემურ-ლენგი აურაცხელი ჯარით

[117] Rfg6 2frfgfufs6tyotyggd6 XIII-XVIII z. z., Kfj. II, გვ. 287-1288.
[118] Rfg6 2frfgfufs6tyotyggd6 XIII-XVIII z. z., Kfj. I, გვ. 140-149.

აღმოსავლეთიდან, სამარყანდიდან და მოვიდა, მრავალი მოაოხრა. ააოხრა სევასტი და მივიდა ანკარამდე და გალიაში ჩასვა ხონთქრის ვაჟი ილდირიმ ბაიაზეთი. და მივიდა შამბამდე”[119].

მატენადარანის №3527 ხელნაწერ კრებულში სხვადასხვა შინაარსის თხზულებებთან ერთად შენახულია ანონიმური ქრონიკა. იგი მეტად მოკლეა, მაგრამ ქრონოლოგიურად საკმაოდ ვრცელ პერიოდს _ 721-1652 წლებს _ მოიცავს. აქ თემურ-ლენგის შესახებ ნათქვამია “1381 წელს გამოვიდა თემურ-ლენგი”[120].

თემურ-ლენგის შესახებ მოკლე ცნობა მოიპოვება მატენადარანის №1786 და №82 ხელნაწერ კრებულებში დაცულ ქრონიკაში. გამომცემლის ვ. ჰაკობიანის აზრით ქრონიკის ავტორი უნდა იყოს XVII საუკუნის მეორე ნახევარში ლივორნოში მოღვაწე კათოლიკე სომეხი ავტორი. ნაშრომი მეტედ მცირე ზომის არის, მაგრამ ქრონოლოგიურად უზარმაზარ პერიოდს მოიცავს _ ადამიდან 1582 წლამდე. ქრონიკაში 1397 წლის გასწვრივ აღნიშნულია, რომ სულთან ბაიაზეთი შეპყრობილ იქნა თემურ ლენგის მიერ[121].

კიდევ ერთი ქრონიკა, რომელმაც შემოინახა ცნობა თემურ-ლენგის შემოსევის შესახებ არის გრიგოლ კამახელის მიერ რედაქტირებული ნაშრომი. ეს ქრონიკა მატენადარანის №№3376, 3078, 1151, 7273, 678, 605, 4998, 1771, 2383 ხელნაწერ კრებულებშია დაცული. გრიგოლის თქმით, მას ხელთ ჰქონია სამი ხელნაწერი, რომლებიც მას გადაუმუშავებია, ქრონოლოგიურად დაულაგებია და მოკლე ისტორია დაუწერია. სადღეისოდ გამორკვეულია, კომპილაციური ნაშრომის წყაროდ გამოყენებულია ორი ნაშრომი. პირველი ნაწილისათვის (1008-1291 წწ.) გრიგოლ კამახელი იყენებს XIII საუკუნის ანონიმი სებასტიელს, მეორე ნაწილისათვის კი 1384 წლიდან მოყოლებული 1594 წლამდე _ XVI საუკუნის ანონიმ სებასტიელს.

ჩვენთვის საინტერესო ცნობა ასეთია: “1387 წელს გამოვიდა ლანგ თემური დიდი ჯარით სამარყანდიდან, მოვიდა ააოხრა სებასტია და წავიდა ანკარაში, ხონთქრის [ძმა] ილდირიმ ბაიაზეთი ჩასვა გალიაში”[122].

---

[119] იქვე, გვ. 165; 167.
[120] იქვე, გვ. 201; 203.
[121] Rfg6 2frfgfufs6tyotyggd6 XIII-XVIII z. z, Kfj. I, გვ. 262; 271.
[122] Rfg6 2frfgfufs6tyotyggd6 XIII-XVIII z. z., Kfj. II, გვ. 256-257.

ბ) ლიტერატურა

თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში კარგა ხანია გახდა ქართველ ისტორიკოსთა ინტერესისა და კვლევის საგანი. ჯერ კიდევ 1800 წელს დავით ბაგრატიონმა (1767-1819) გამოსცა ნაშრომი _ "ისტორია რომელსა ეწოდების ნარკუßვი"[123]. ეს თხზულება ისტორიოგრაფიული ტიპის ნაშრომია და მასში მცირეოდენი ადგილი თემურ-ლენგის საქართველოში შემოსევების აღწერასაც ეთმობა. იგი თავის წყაროდ ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებას იყენებდა.

თემურ-ლენგის შემოსევების ისტორიას მოგვითხრობს თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე, განმანათლებელი, მწერალი და მეცნიერი იოანე ბაგრატიონი (1768-1830) ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომში "ხუმარსწავლა" (კალმასობა)[124], რომელიც 1813-1830 წლებში არის დაწერილი. ამ ნაშრომს დიდი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან საკმარისი სისრულით ასახავს XVIII_XIX საუკუნის მიჯნის ცოდნის დონეს. აქ აკუმულირებულია თანადროული მეცნიერული ცოდნა როგორც საბუნებისმეტყველო, ასევე თითქმის ყველა ჰუმანიტარული დარგის შესახებ. იოანე ბაგრატიონის ნაფიქრ-ნააზრევი, მისი დაკვირვებები უხვად არის გაჯერებული როგორც ქართული, ასევე რუსული ან რუსულის გზით შემოსული უცხოური წყაროებიდან მოპოვებული მასალით[125]. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ წინამორბედისაგან განსხვავებით იოანე ბაგრატიონი გაცილებით უფრო ვრცლად და საინტერესოდ მოგვითხრობს თემურ-ლენგის შემოსევების შესახებ. XIV-XV საუკუ-ნეების მიჯნის საქართველოს ისტორიის აღწერისას იგი ძირითადად ვახუშტი ბატონიშვილის "საქართველოს ისტორიას" ეყრდნობა, თუმცა იყენებს ზეპირ გადმოცემებსაც და უცხოენოვან წყაროებსაც. ეს ნათლად ჩანს "ხუმარსწავლის" ერთ-ერთ ავტოგრაფშიც[126]. ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ხელნაწერის აშიებზე, ავტორი უთითებს:

---

[123] დავით ბატონიშვილი, ისტორია რომელსა ეწოდების ნარკუÀვი, დაიბეჭდა წიგნი ესე ნარკუÀვი ტფილისს, 1800.

[124] იოანე ბაგრატიონი, ხუმარსწავლა, კალმასობა, წიგნი I, თბ., 1990.

[125] იქვე, გვ. 5-12.

[126] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის H-2134ხელნაწერი.

“ამასა სწერენ მონღოლთა ისტორიაში და ყალმუხნი და ჩერქეზნიც ემოწმებიან...”, “იხილე თურქესტანის ისტორიაში”[127], “სომეხთ მეისტორიენიცა ახსენებენ ესრეთ”[128].

თემურ-ლენგის შემოსევების შესახებ მოკლედ მოგვითხრობს ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ნიკო დადიანი (1780-1834), “ქართველთ ცხოვრებაში”[129]. ეს თხზულება დაწერილია 1823-1824 წლებში და წარმოადგენს სასწავლო სახელმძღვანელოს საქართველოს ისტორიაში. ნაშრომის ერთი ნაწილი ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების შემოკლებული რედაქციაა, ხოლო მეორე ორიგინალურია და შეიცავს 1740-1820 წლების ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური ისტორიას.

XIX საუკუნის მკვლევართა შორის ჩვენთვის საინტერესო ეპოქის შესწავლას განსაკუთრებული ღვაწლი დასდო მარი ბროსემ. მან იმდროისათვის ყველაზე ვრცლად და დაწვრილებით მიმოიხილა ჩვენთვის საინტერესო ეპოქა. ნაშრომებში “Historie de la Géorgie depuis l’antiquité jusqu’en 1469 de J.C.”[130] da “Additions et éclaircissements à l’historie de la Géorgie depuis l’antiquité jusqu’en 1469 de J.C.“[131] საქართველოში თემურ-ლენგის შემოსევების ისტორიის აღწერის გარდა იგი შეეცადა გაერკვია მთელი რიგი კონკრეტული საკითხები. კერძოდ, მარი ბროსე ცდილობს გამოყენებულ წყაროებში დაცულ ზოგი ტოპონიმისა და ისტორიული პირის იდენტიფიკაციას, აზუსტებს თემურ-ლენგის შემოსევების ქრონოლოგიას. მარი ბროსეს დიდი დამსახურებაა, რომ მან ამ ნაშრომებით პირველმა შემოიტანა ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში XIV-XV საუკუნეების უცხოელი ისტორიკოსების ნაშრომები. კერძოდ, გამოიყენა თომა მეწოფელის, შერეფ ად-დინ ალი იეზდის, მიქაელ პანარეტოსისა და კლავიხოს ცნობები.

1858 წელს მარი ბროსემ ზემოხსენებული ნაშრომის შემოკლებული რუსული ვარიანტი წარუდგინა რუსეთის საიმპერატორო აკადემიას. სიმონ ღოღობერიძემ 1895 წელს ეს ნაშრომი ქართულად თარგმნა და კომენტარებითურთ გამოსცა[132]. ამ ნაშრომის

---

[127] იქვე, გვ. 714r.

[128] იქვე, გვ. 727v.

[129] ნიკო დადიანი, გვ. 118-120, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962.

[130] M. Brosset, Historie de la Géorgie depuis l’antiquité jusqu’en 1469 de J.C., 1Re Partie, St. Petersbourg, 1849, გვ. 650-677.

[131] M. Brosset, Additions et éclaircissements à l’historie de la Géorgie depuis l’antiquité jusqu’en 1469 de J.C., St. Petersbourg, 1851, გვ. 386-397.

[132] მარი ბროსსე, საქართველოს ისტორია, მეფეთა და მთავართა გენიალოგიით და ხრონოლოგიით, ნათარგმნი და განმარტებული სიმ. ღოღობერიძის მიერ, გამოცემული ნიკ. ღოღობერიძის მიერ, თბ., 1895, გვ. 221-225.

შესახებ უნდა ითქვას, რომ კომენტირებისას ს. ღოღობერიძე ფრანგულ (ვრცელ) ნაშრომს უთითებს.

1885 წელს დიმიტრი ბაქრაძემ გამოსცა ვახუშტი ბატონიშვილის "საქართველოს ისტორია, განმარტებული, და შეკრებილი ახლად შეძენილის არხეოლოგიური და ისტორიული მასალით"[133]. თემურ-ლენგის შემოსევების კომენტირებისას ის მარი ბროსეს ფრანგულენოვან ნაშრომებში დაცული სომხური, კერძოდ თომა მეწოფელის, და სხვა უცხოენოვანი წყაროების ცნობებით სარგებლობდა. აღსანიშნავია, რომ დიმ. ბაქრაძემ პირველმა მიაქცია ყურადღება და მოკლედ შეეხო ქართული წყაროებისა და თომა მეწოფელის თხზულების ურთიერთმიმართების საკითხს[134].

ძალიან მოკლედ არის მოთხრობილი თემურ-ლენგის შემოსევების შესახებ ვ. პოტოს ნაშრომში "საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო", რომელიც ქართულად თარგმნა და 1894 წელს გამოსცა ი. ბაქრაძემ. ნაშრომში მხოლოდ თემურ-ლენგის პირველ შემოსევასა და ბაგრატ V-ის დატყვევებისა და ამის შემდგომ განვითარებულ მოვლენებსა და თემურის მიერ სხვადასხვა ადგილებში ჩადენილ ბარბაროსობაზე არის გაკეთებული აქცენტი, ხოლო გიორგი VII და თემურ-ლენგის შემდგომ შემოსევებზე ორიოდე სიტყვაა ნათქვამი[135].

XIV_XV საუკუნეების საქართველოს ისტორიას მოგვითხრობს მოსე ჯანაშვილი, ნაშრომში "საქართველოს ისტორია". ეს ნაშრომი "სწავლულ კაცთა კომისიის" მიერ შედგენილ "ქართლის ცხოვრების" საფუძველზეა დაწერილი და თემურ-ლენგის შემოსევებს საქართველოში მართლაც მოკლედ აგვიწერს [136].

1908 წელს გამოიცა დავით კარიჭაშვილის "საქართველოს მოკლე ისტორია". ეს მცირე ზომის ნაშრომიც XVIII საუკუნის ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომების საფუძველზეა დაწერილი და მოკლედ მოგვითხრობს თემურის ლაშქრობების შესახებ[137]. ეს ავტორიც შემოსევების ქრონოლოგიაზე ამახვილებს ყურადღებას. იგი თვლის რომ

---

[133] ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიური და ისტორიული ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ, ნაწ. I, ტფ., 1908.
[134]იქვე, გვ. 283.
[135] ვ. პოტტო, საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, თარგმანი ი. ბაქრაძისა, ტფ., 1894, გვ. 23-25.
[136] საქართველოს ისტორია შედგენილი მოსე ჯანაშვილისგან, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, ტფ., 1894, გვ. 213-224.
[137] საქართველოს მოკლე ისტორია დ. კარიჭაშვილის მიერ, პირველი ნაწილი, ტფ., 1908, გვ. 152-160.

პირველი შემოსევა მოხდა 1387 წ., მეორე 1388 წ., მესამე და მეოთხე 1394 წ. მეხუთე შემოსევა მას დათარიღებული არ აქვს, ხოლო მეექვსე შემოსევა სამცხეში 1395 წ. ყოფილა, მეშვიდე კი 1400 წ.[138].

ზემოხსენებული ნაშრომების შეფასებისას შეიძლება ითქვას, რომ ყველა მათგანი მოგვითხრობს თემურ-ლენგის შემოსევე-ბისდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას. ყოველ მათგანში პრაქტიკულად უგულვებელყოფილია თანადროული ეპოქის საზოგადოების, ეკონომიკისა და კულტურის ისტორია; ავტორები კრიტიკულად არ აფასებენ მათ მიერ გამოყენებულ საისტორიო წყაროებს.

მომდევნო პერიოდში ქართველი მეცნიერები უფრო აფართოებენ კვლევის დიაპაზონს და XIV-XV საუკუნეების პოლიტიკურ ისტორიასთან ერთად ყურადღებას აქცევენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურული მდგომარეობის შესწავლასაც. ამ მხრივ აღსანიშნავია სარგის კაკაბაძის რუსულენოვანი ნაშრომი[139], რომელშიც განხილულია შუა საუკუნეების საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური საკითხები და თემურ-ლენგის შემოსევები შეფასებულია როგორც საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის ერთგვარი მიჯნა, რომლის შემდეგ იწყება ქვეყნის თანდათანობითი დაკნინებისა და მზარდი დეკადანსის ეპოქა[140].

თემურ-ლენგის შემოსევების ისტორიას ს. კაკაბაძე შეეხო ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიისათვის წამძღვარებულ გამოკვლევაშიც[141]. იქ, სადაც მიმოხილულია ფარსადან გორგიჯანიძის თხზულება და ვახტანგ VI-ის "სწავლულ კაცთა" კომისიის მიერ შედგენილი "ქართლის ცხოვრების" წყაროები. მკვლევარი ეხება ქართლის ცხოვრებისა და სომხური წყაროს, კერძოდ თომა მეწოფელის თხზულების, ურთიერთმიმართების საკითხსაც. მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სომხური მასალა, რომლითაც "ქართლის ცხოვრების" გამგრძელებლები სარგებლობდნენ, თომა მეწოფელის შრომა უნდა იყოს[142].

---

[138] იქვე, გვ. 157-158.

[139] С. Какабадзе, Черты феодального строя и крестьянские повинности в Грузии в конце средних веков (Пробная лекция прочитанная на Тифлисских курссах 23 марта 1911 г. для занятия кафедры истории Грузии), Тифлис, 1912.

[140] იქვე, გვ. 7.

[141] ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ამონაბეჭდი "საისტორიო მოამბიდან", წ. II, 1925 წ., ტფ. 1926.

[142] ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. XII.

XIV-XV საუკუნეების მიჯნის საქართველოს ისტორია, კერძოდ თემურ-ლენგის შემოსევების ხანა, ყველაზე საფუძვლიანად და ვრცლად გამოიკვლია და აღწერა ივანე ჯავახიშვილმა ნაშრომში "ქართველი ერის ისტორია"[143]. მან კრიტიკულად შეაფასა იმ დროისათვის ხელმისაწვდომი ყველა ქართული, სომხური, სპარსული, ბერძნული და ევროპული წყარო. პრაქტიკულად იგი შეეხო ჩვენთვის საინტერესო ეპოქის ამსახველ ყველა სეგმენტს: საქართველოს მდგომარეობას უშუალოდ თემურის შემოსევების წინ, მისი საზღვრების დადგენას, თემურის შემოსევების მიზეზებსა და მიზნებს, ქართველი მეფეების, ბაგრატ V და გიორგი VII, ბრძოლას დამპყრობლის წინააღმდეგ და მათ მიერ წარმოებულ პოლიტიკას, იმდროინდელი ქართული საზოგადოების არაერთგვაროვან დამოკი-დებულებას მტრის მიმართ, რაც შინაგამცემლობაში გამოიხატა, თემურის შემოსევების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ შედეგებს. ასევე გაამახვილა ყურადღება იმ ცვლილე-ბაზე, რაც თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად განვითარდა საქართველოს ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხებში _ დაიწყო მათი გამაჰმადიანება, რამაც დროთა განმავლობაში კიდევ უფრო დაამძიმა ქვეყნის საგარეო მდგომარეობა. ივ. ჯავახიშვილმა გამოყენებული წყაროების საფუძველზე გარკვეული კორექტივები შეიტანა თემურ-ლენგის შემოსევების მანამდე მიღებულ ქრონოლოგიაშიც[144].

წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით ივანე ჯავახიშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ფარსადან გორგიჯანიძის "ისტორიის",ვახტანგ VI-ის მიერ შეკრებილი "სწავლულ კაცთა" კომისიის მიერ შედგენილი "ქართლის ცხოვრებისა" და ვახუშტი ბატონიშვილისეული "საქართველოს ისტორიის" XIV-XV საუკუნეების ისტორიის ამსახველი მასალის ქართული და უცხოენოვანი წყაროების გამოვლენისა და დადგენის მიმართულებით წარმოებულ მუშაობას.

"ძველ ქართულ საისტორიო მწერლობასა" და "ქართველი ერის ისტორიაში" ივ. ჯავახიშვილი შეეხო "სწავლულ კაცთა კომისიის" მიერ შედგენილი "ქართლის ცხოვრების" და XIV_XV საუკუნის სომეხი ისტორიკოსის თომა მეწოფელის თხზულების ურთიერთმიმარ-თებისა და ამ ნაშრომებში დაცული ცნობების სანდოობის ხარისხს. პირველ ეტაპზე მკვლევარი თვლიდა, რომ გამოსარკვევი იყო, რომელი სომხური

[143] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III.
[144] ივ. ჯავახიშვილი ტ. III, გვ. 180-231.

წყაროთი სარგებლობდა კომისია. თუმცა შემდგომ მან ამ წყაროდ თომა მეწოფელის ნაშრომი მიიჩნია[145]. ივ ჯავახიშვილი პირველი იყო იმ მკვლევართა შორის, ვინც თემურ-ლენგის ისტორიკოსის შერეფ ად-დინ ალი იეზდის, ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებისა და "ქართლის ცხოვრების" ურთიერთდამოკიდებულებას შეეხო[146].

1930 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში "ალინჯის ციხე და ხიმშიას ხეობა" ვლადიმერ მინორსკი სპეციალურად აღნიშნავდა, რომ თემურის შემოსევები საქართველოში საგანგებო ყურადღების ღირსია[147].

თემურიანთა ხანის ისტორიოგრაფიის ორი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, შარაფ ად-დინ ალი იეზდისა და იბნ არაბშაჰის, ცნობების საფუძველზე მკვლევარი აღადგენს ალინჯის ციხის ალყის პერიპეტიებს. იგი მიმოიხილავს თემურის მიერ ალინჯის ციხის ალყის შემორტყმისა და ქართველთა მიერ მისი დებლოკაციის მიზეზებსა და შედეგებს. მხედველობაში გვაქვს თემურის ლაშქრობა ხიმშიას ხეობაში 1399 წელსა და მისი შემოსევა საქართველოში 1400 წელს. აქვე მკვლევარი ცდილობს წარმოაჩინოს ქართველი დიდებულის ხიმშიას როლი ალინჯის ციხის აღებაში და მოახდინოს მისი სამფლობელოს _ ხიმშიას ხეობის _ ლოკალიზაცია[148].

საქართველოში თემურ-ლენგის შემოსევების შესახებ მოთხრობილია დევიდ ალენის ნაშრომში "A History of the Georgian People" 1318-1443 წლების საქართველოს ისტორიის ზოგადი დახასიათებისას იგი აღნიშნავდა, რომ ბექა ათაბაგის და სხვა

ქართველ დიდებულთა განდგომამ, აჯანყებებმა იმერეთში, რასაც თემურ-ლენგის შემოსევები მოჰყვა, გამოამჯღავნა, რომ ბაგრატ V-ის დროს სამეფო ხელისუფლება ისეთი ეფექტური აღარ იყო, როგორც გიორგი ბრწყინვალეს ეპოქაში. თუმცა თემურს მოულოდნელი მიზანსწრაფულობით რომ არ აღედგინა მონღოლთა ძალაუფლება დასავლეთ აზიაში, სავარაუდოა, რომ საქართველოს სამეფო მოახერხებდა, დაეძლია პოლიტიკური და ეკონომიკური სისუსტე, რომელმაც თავი იჩინა შავი ჭირის ეპიდემიის შემდეგ[149]. დ. ალენი მოკლედ მოგვითხრობს თემურის საქართველოში შემოსევებსა და მათ მიზეზებზე. იგი მიიჩნევდა, რომ საქართველოს მცდელობები, თავი დაეღწია

---

[145] ივ. ჯავახიშვილი ტ. VIII, გვ. 320; ივ. ჯავახიშვილი ტ. III, გვ. 188-190.
[146] ივ. ჯავახიშვილი ტ. VIII, გვ. 191-192.
[147] V. Minorsky, Transcaucasica, Journal Asiatique, Juillet-Septembre 1930, გვ. 91.
[148] V. Minorsky, Transcaucasica, გვ. 91-107.
[149] Allen W. E. D. A History of the Georgian People, London, 1932, გვ. 123.

თემურიანთა შემოსევებით მიყენებული ზიანისაგან, ნელი ტემპითა და სუსტად მიმდინარეობდა. ხოლო შედარებით მშვიდობიანი პერიოდი, რომელიც ალექსანდრე დიდის მეფობაზე (1413-1443) მოდის, უფრო ირანში დაწყებული შინააშლილობით იყო გაპირობებული, ვიდრე საქართველოს სამეფო ხელისუფლების გაძლიერებით[150].

ლეონ მელიქსეთ-ბეგი პირველი იყო ქართველ არმენისტთა შორის, ვინც საგანგებო ყურადღება მიაქცია საქართველოს შესახებ დაცულ ინფორმაციას XIV-XV საუკუნეების მემატიანის თომა მეწოფელის საისტორიო თხზულებაში _ "ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა" და მისივე "მემუარებში". მან ამოკრიბა ეს ცნობები და სომხური ტექსტი პარალელური ქართული თარგმანითა და კომენტარებით გამოსცა[151]. შესავალ წერილში მკვლევარი გვაცნობს თომა მეწოფელის ბიოგრაფიას, მსჯელობს მისი განათლების, რელიგიური ორიენტაციის, საქართველოსა და ქართველების მიმართ თომას დამოკიდებულების შესახებ, მიმოიხილავს

მეწოფელისეული თხზულებების ენობრივ თავისებურებებს და ხაზს უსვამს ზემოხსენებული ორივე ნაშრომის წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობას. ამ ნაშრომში ლ. მელიქსეთ-ბეგი საგანგებოდ შეეხო "ქართლის ცხოვრების" გაგრძელებებისა და თომა მეწოფელის ისტორიის ურთიერთმიმართების საკითხს. იგი უარყოფითად აფასებდა "ქართლის ცხოვრების" გამგრძელებელთა მიერ სომეხი მემატიანის ისტორიის წყაროდ გამოყენების შესაძლებლობას[152].

თემურ-ლენგის საქართველოში შემოსევების სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ შედეგებზე ამახვილებს ყურადღებას ნიკო ბერძენიშვილი. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს შედეგები იმდენად მძიმე იყო, რომ ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარება შენელდა, შედგა – "ჩიხში" მოექცა. "სამწუხაროდ, საქართველოს განვითარების საშინაო და საგარეო პირობები XV საუკუნეში სწორედ ვერ იყო ისეთი, რომელიც ამ "ჩიხიდან" საზოგადოების გამოსვლას ხელს შეუწყობდა"[153]. ნ. ბერძენიშვილი მოკლედ, მაგრამ საგანგებოდ აღნიშნავდა ხოლმე სომხეთში მიმდინარე

---

[150] იქვე, გვ. 126-127.

[151] თომა მეწოფელი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარი დაურთო ლ. მელიქსეთ-ბეგმა, ტფ. 1937.

[152] იქვე, გვ. 3-16.

[153] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, საქართველოს ისტორია XIII-XIV სს., კონსპექტი, თბ. 1965, გვ. 167.

პროცესების გავლენას ჩვენთვის საინტერესო ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ ვითარებაზე. მაგ. მკვლევარი საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის გამომწვევ საგარეო მიზეზებს შორის თემურ-ლენგის უმაგალითო თარეშთან ერთად სომხეთის დაცემასაც მიიჩნევს სხვაგან იგი აღნიშნავს: “17 წლის მანძილზე (1386-1403) თემურ-ლენგის რვაგზისმა შემოსევამ ამიერკავკასია მძიმედ დააზიანა. თემურთან ომის შედეგად საქართველოს საბოლოოდ ჩამოსცილდა მისი სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილები (მომმე სომხეთი), სადაც ადგილობრივ მიწისმფლობელთა კლასი უმთავრესად თათარ-მონღოლ-თურქმან მომთაბარეთა არისტოკრატიამ შეცვალა”[154].

ნ. ბერძენიშვილს ეკუთვნის აგრეთვე საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის ამსახველი ნაშრომი, რომელიც საბჭოთა კავშირის ისტორიის ნარკვევებში შევიდა. ამ ნაშრომში თემურ-ლენგის შემოსევებისდროინდელი საქართველოს საერთო სურათია მოცემული და იგი მრავალ საინტერესო სამეცნიერო მოსაზრებას შეიცავს[155].

თემურ-ლენგის მახლობელ აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში, შემოსევების შესახებ მოგვითხრობს ვალერიან გაბაშვილი[156]. ის არამხოლოდ გვიხატავს სასტიკი დამპყრობლისა და მოქნილი პოლიტიკოსის სახეს, არამედ ყურადღებას ამახვილებს მისი დაპყრობითი ომების მიზეზებსა და მიზნებზე. მკვლევარი აღნიშნავს, რომ თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობების მიზეზი ქართველების ოქროს ურდოსთან კავშირი, სავაჭრო ინტერესები ან მხოლოდ სამხედრო ნადავლისა და ალაფის მოპოვება არ იყო. თემურ-ლენგს უფრო შორსმიმავალი გეგმები ჰქონდა. კერძოდ, მისი მთავარი მიზანი შუა აზიის ცენტრმსრბოლელი ძალებისაგან განტვირთვა და მათი მოქმედების მეზობელ ქვეყნებში გადატანა იყო. საქართველოში მისი რვაგზისი შემოსევის მთავარ მიზანსაც აქაური მიწების მიტაცება-დასაკუთრება წარმოადგენდა, რაც ადგილობრივი მიწისმფლობელობის სისტემის გაუქმების გზით იქნებოდა შესაძლებელი, ეს საკითხი კი მაჰმადიანობის გავრცელებას უკავშირდებოდა. ვ. გაბაშვილის აზრით “XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე ამიერკავკასიის პოლიტიკური

[154] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ., 1966, გვ. 260.
[155] Очерк истории СССР, XIV-XVвв., Москва, 1953.
[156] ვ. გაბაშვილი, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 215-225.

ვითარება შეიცვალა. მომთაბარეთა წინააღმდეგ სამასწლოვანი ბრძოლა საქართველოს (კავკასიის) დამარცხებით დამთავრდა”[157].

XIV-XV საუკუნეების მიჯნის საქართველოს სოციალური, ეკონო-მიკური და პოლიტიკური ისტორიისა და თემურიანთა ხანის სპარსულენოვან ისტორიოგრაფიაში საქართველოს შესახებ დაცული ცნობების შესწავლასა და XVII-XVIII საუკუნეების ქართულ ნარატიულ წყაროებთან მათი ურთიერთმიმართების საკითხების კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დავით კაციტაძემ. მისი ამ მრავალმხრივი კვლევის შედეგები აისახა მონოგრაფიულ ნაშრომში “საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით”[158]. ავტორმა ვრცლად და საფუძვლიანად მიმოიხილა საქართველოს მდგომარეობა თემურ-ლენგის შემოსევების წინა პერიოდში; თემურ-ლენგის დაპყრობების პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მიზეზები; სპარსულ-ენოვანი, ქართული და უცხოენოვანი წყაროების საფუძველზე აღადგინა საქართველოში თემურის ექვსი ლაშქრობის ამსახველი ისტორია, მოგვცა ამ შემოსევების მისეული ქრონოლოგია და მოახდინა შემოსევების ლოკალიზაცია. ზემოაღნიშნული საკითხების შესწავლასა და ანალიზზე დაყრდნობით მკვლევარმა წარმოაჩინა თემურ-ლენგის შემოსევების შედეგები, რომელიც XIV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XV საუკუნის დასაწყისის საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში აისახა. ნაშრომში დ. კაციტაძე მოკლედ შეეხო სომხურ საისტორიო წყაროებში დაცულ იმ ცნობებს, რომლებშიც თემურის საქართველოში ლაშქრობებია ასახული. უფრო კონკრეტულად, იგი ეხება თომა მეწოფელის იმ ცნობას რომელიც თემურის მიერ თბილისის აღებასა და ბაგრატ V-ის დატყვევებას უკავშირდება. დ. კაციტაძე იზიარებს ივ. ჯავახიშვილის სკეპტიციზმს ამ ცნობის სანდოობასთან დაკავ-შირებით, თუმცა მიიჩნევს, რომ “სწავლულ კაცთა კომისიის” მიერ შედგენილ ქართლის ცხოვრებაში არსებული მსგავსი ინფორმაცია თომა მეწოფელის ცნობას უნდა ემყარებოდეს[159].

---

[157] ვ. გაბაშვილი, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან გვ. 225.

[158] დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით), თბ. 1975.

[159] დავით კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 138.

1974 წელს გამოვიდა კარლო ტაბატაძის მონოგრაფიული ნაშრომი "ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე"[160]. ნაშრომში თემურ-ლენგის საქართველოში შემოსევების ამსახველი სპარსული, ქართული, ბერძნული ევროპული წყაროების ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ასახულია თემურ-ლენგის წინააღმდეგ ქართველი ხალხის უმაგალითო და თავგანწირული ბრძოლის ისტორია. დაწვრილებით არის მოთხრობილი თემურის საქართველოში რვაგზისი შემოსევის შესახებ დიდი დამპყრობლის მიერ მახლობელ აღმოსავლეთში წარმოებული სამწლიანი, ხუთწლიანი და შვიდწლიანი ომების დროს. განხილულია თემურის შემოსევების მიზეზები და მიზნები. ნაშრომში ყურადღება ექცევა ამ ეპოქის სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებსაც, თუმცა ავტორი ძირითადად მაინც პოლიტიკური ისტორიის აღწერაზეა ორიენტირებული.

კ. ტაბატაძე სომხური წყაროების, კერძოდ თომა მეწოფელის ცნობებითაც სარგებლობს. იგი მიიჩნევს რომ თომა მეწოფელის ცნობა ბაგრატის დატყვევებისა და ამის შემდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ სანდოა და სწორედ ამ მოვლენებმა განაპირობეს თემურის მეორე ლაშქრობა საქართველოზე 1387 წელს[161]. მკვლევარი თომას ცნობებს იმოწმებს საქართველოში თემურის 1400 წლის ლაშქრობასთან დაკავშირებითაც[162].

კ. ტაბატაძის შეხედულებები საქართველოს ისტორიის ამ პერიოდზე აისახა საქართველოს ისტორიის ნარკვევების შესაბამის თავშიც[163].

გურამ მაისურაძე მონოგრაფიულ ნაშრომში "ქართველი და სომეხი ხალხის ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში" მოკლედ ეხება თემურ-ლენგის შემოსევებს. წიგნში მკვლევარი აღნიშნავდა, რომ ამ პერიოდისათვის ქართველები იდგნენ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში. რიცხვმცირე და მამულდამცრობილ სომხეთის ფეოდალებს უკვე აღარ შეეძლოთ ქართული ლაშქრის შევსება და "საქრისტიანოს" მტრისაგან ერთობლივი დაცვა. თუმცა მოხალისე სომეხ მეომართა მცირე ჯგუფები და ადგილობრივი მოსახლეობა მაინც იღებდა მონაწილეობას ქართველ

[160] კარლო ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ. 1974.
[161] კარლო ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 82-83.
[162] იქვე, გვ. 149.
[163] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 670-717.

მეფეთა მიერ მოწყობილ ლაშქრობებში, რასაც გიორგი VII-ის ალინჯაზე ლაშქრობაც მოწმობს[164]. მკვლევარი, მიმოიხილავს რა ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობის ხასიათს XIII-XIV საუკუნეებში, აღნიშნავს, რომ ის "განსაზღვრული იყო საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებით, რომელიც თანაბრად პასუხობდა ორივე ხალხის მისწრაფებას, დაეცვა საერთოკავკასიური ფეოდალური სამყაროს არსებობა, მისთვის დამახასიათებელი პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური წყობით, რაც წინა თაობათა ხანგრძლივი შრომა-გარჯისა და მწვავე კლასობრივი ბრძოლის შედეგად იყო მიღწეული"[165].

XVII_XVIII საუკუნეების ქართული ნარატიული წყაროებიდან და ზემოთ მიმოხილული სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, რომ სომხური წყაროების გამოყენებას XIV-XV საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესწავლა-აღწერისათვის საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. პირველ ეტაპზე ეს ფაქტი დასტურდება მეცნიერთა ზოგადი მითითებით რომელიღაც "სომეხთა ცხოვრებასა" თუ "სომეხთა მეისტორიეებზე". მარი ბროსედან მოყოლებული ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოდის XIV_XV საუკუნეების მიჯნის სომეხი ისტორიკოსის თომა მეწოფელის თხზულება "ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა". თომა მეწოფელის ცნობების მონაცემები ფართოდ აისახა მომდევნო ხანის ქართველ მკვლევართა ნაშრომებში. დიმიტრი ბაქრაძე პირველი იყო, ვინც ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების შესაბამისი მონაკვეთის კომენტირებისას ყურადღება მიაქცია თომა მეწოფელის თემურ-ლენგის პირველი შემოსევისას ბაგრატ V დატყვევებასთან დაკავშერებული ცნობის წარმომავლობას. იგი მიიჩნევდა, რომ სომეხი ავტორი თანამედროვე არ იყო ამ მოვლენისა და მას მხოლოდ ქართული საისტორიო წყაროდან შეეძლო მოეპოვებინა ასეთი ინფორმაცია. ივ ჯავახიშვილმა თომა მეწოფელის ეს ცნობა განიხილა და ავტორის "ტენდენციურ შენათხზად" ჩათვალა. თუმცა, იგი მიიჩნევდა, რომ "ქართლის ცხოვრების" შესაბამისი ცნობის წყარო თომა მეწოფელის ნაშრომი იყო. ასეთივე მოსაზრება გამოთქვა ს. კაკაბაძემ ქართულ და სომხურ საისტორიო თხზულებებში დაცული ცნობების ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე. ლ.

---

[164] გურამ მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბ. 1982, გვ. 110-111.
[165] იქვე, გვ. 113.

მელიქსეთ-ბეგი კი უარყოფდა ზემოხსენებულ ქართულ და სომხურ წყაროებს შორის რაიმე კავშირს.

ივ. ჯავახიშვილის სკეპტიკურმა მიდგომამ თომას ცნობის მიმართ, ერთის მხრივ, ხოლო, მეორეს მხრივ, თემურ-ლენგის შემოსევების შესახებ სხვა სომხური წყაროების უქონლობამ ერთგვარად განსაზღვრა ქართველ მკვლევართა დამოკიდებულება XVII-XVIII საუკუნეების ქართული საისტორიო თხზულებებისა და მათი შესაძლო სომხური წყაროების მოძიებისა და კვლევის მიმართულებით. დღემდე ეს საკითხი განხილვის საგანი არ გამხდარა.

ქართველ არმენოლოგთა მუშაობა ჩვენთვის საინტერესო ეპოქის შესწავლის ჭრილში XIV_XV საუკუნეების სომხური წყაროების თარგმნისა და კომენტირების მიმართულებით წარიმართა.

1959 წელს ნიკოლოზ ჯანაშიამ და ელენე ცაგარეიშვილმა ქართულად თარგმნეს და გამოსცეს ვ. ნალბანდიანის ნაშრომი "თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში"[166]. ეს ნაშრომი თბილისის დაარსების 1500 წლისთავს ეძღვნება და წარმოაჩენს თბილისის შესახებ არსებულ ცნობებს, რომლებიც დაცულია სომხურ მწერლობაში ძველი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. თარგმანი ძირითადად სომხური გამოცემის მიხედვით არის შესრულებული, თუმცა მთარგმნელებმა გაითვა-ლისწინეს ყველა ის შენიშვნა (შესწორება-დამატებანი) რომელიც ავტორმა მიაწოდა.

ნაშრომში თემურ-ლენგის საქართველოში შემოსევებისა და თანადროული თბილისის ისტორიის აღწერისას ავტორი იყენებს არამხოლოდ თომა მეწოფელის, სამუელ ანელის ქრონიკის გამგრძელებლის, გრიგოლ ხლათელისა და სომხურ ანდერძ-მინაწერთა ცნობებს, არამედ მიქაელ პანარეტოსის თარიღიან ცნობასაც, რომლის თანახმად თემურს საქართველოს დედაქალაქი პირველად 1386 წლის 21 ნოემბერს აუღია და პლ. იოსელიანის ნაშრომში დაფიქსირებულ

ლეგენდას, რომელიც თბილისში კალოუბნის ტერიტორიაზე თემურის ცხენოსანი ჯარის მიერ ბავშვების გათელვის შესახებ მოგვითხრობს.

ამ ნაშრომის ქართული თარგმანის დიდი ღირსებაა, რომ ცნობების ქართულ თარგმანს პარალელური სომხური ტექსტიც ახლავს.

---

[166] ვ. ნალბანდიანი, თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე, თბ. 1959.

1978 წელს ალექსანდრე აბდალაძემ გამოსცა "სომხურ ხელნა-წერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV_XV ს.ს.)"[167]. მათ შორის არის ის ანდერძებიც, რომლებშიც ასახულია თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში. მკვლევარი საინტერესო და საგულისხმო მოსაზრებებს გამოთქვამს შესაბამისი ადგილების კომენტირებისას.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კარლო კუციას მიერ შესრულებული თომა მეწოფელის ნაშრომის _ "ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა" _ ქართული თარგმანი, რომელსაც ახლავს შესავალი და ერთვის კომენტარები[168]. ამ ნაშრომის მნიშვნელობა მეტად დიდია, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა თომა მეწოფელის თხზულების სრული ქართული ტექსტი, რაც საშუალებას იძლევა უფრო სრული წარმოდგენა ვიქონიოთ როგორც თომა მეწოფელის ვინაობაზე, განათლებასა და მსოფლმხედველობაზე, ასევე იმ მეთოდოლოგიასა და წყაროების წარმომავლობაზე, რითაც იგი სარგებლობდა თხზულების წერისას. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ XIV-XV საუკუნეების მიჯნის საქართველოს ისტორიის მკვლევარებს შესაძლებლობა მიეცათ ამ პერიოდში ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების უფრო სრულყოფილად შესწავლისა და ზოგი საკითხის დაზუსტებისათვის. კ. კუციას მიერ შესრულებული თარგმანის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ზოგ შემთხვევაში თარგმანი უფრო ზუსტია ვიდრე ლ. მელიქსეთ-ბეგისეული შესაბამისი მონაკვეთის თარგმანი. თარგმანისათვის დართულ შესავალსა და კომენტარებში კი გათვალისწინებულია ის მეცნიერული ცოდნა, რაც XX საუკუნის ოთხმოციანი წლებისათვის დაგროვდა ჩვენთვის საინტერესო ეპოქის შესწავლის თვალსაზრისით.

უკანასკნელ ათწლეულში XIV-XV საუკუნის საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ მეტად საინტერესო ნაშრომები გამოაქვეყნა დავით ნინიძემ. 1995 წელს გამოიცა მისი ნაშრომი _ "პროვინციის მეფეები" XIV-XV საუკუნეების

---

[167] სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბ. 1978.

[168] თოვმა მეწოფეცი "ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა", ძველი სომხურიდან თარგმნა შესავალი და კომენტარები დაურთო კარლო კუციამ, თბ. 1987.

საქართველოში”[169]. ამ ნაშრომში მკვლევარი მიმოიხილავს XIV-XV საკუნეებში საქართველოში გამწვავებულ შინაპოლიტიკურ ვითარებას, რომელიც გაპირობებული იყო ბატონიშვილთა ინსტიტუტის ერთ-ერთი გამოვლინების _ “პროვინციის მეფეთა” საკითხის აქტუალიზაციით. დ. ნინიძე ეხება ჩვენთვის საინტერესო ეპოქის ანუ თემურ-ლენგის შემოსევების პერიოდში საქართველოში შექმნილ საშინაო მდგომარეობასაც.

1998 წელს გამოცემულ ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების I ტომში კი დ. ნინიძე მიმოიხილავს საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობას XIV საუკუნის მეორე ნახევარსა და XV საუკუნის დამდეგს. ეს ნაშრომი აშუქებს საქართველოს მესვეურთა მიერ თემურ-ლენგის წინააღმდეგ გამართულ საგარეო დიპლომატიურ ურთიერთობებს და ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობის შედეგებს, რაც კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებში გამოვლინდა[170].

თემურ-ლენგის შემოსევებსა და XIV-XV საუკუნეების საქარ-თველოს ისტორიის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს ეხებიან სხვა ქართველი მეცნიერებიც. მათ შორის აღსანიშნავია დ. გვრიტიშვილი, ვ. კიკნაძე, ჯ. ოდიშელი და სხვანი[171].

თემურიანთა ხანისა და კერძოდ თემურ-ლენგის საქართველოში შემოსევების შესახებ მსჯელობისას შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ რუსი მეცნიერების ვ. ბარტოლდის, ვ. ტიზენგაუზენის, ა. იაკუბოვსკის ა. ნოვოსელცევის ნაშრომები[172]. ამ ავტორთა ნაშრომები არ არის ფოკუსირებული უშუალოდ საქართველოსა და თემურ-ლენგის ურთიერთობაზე, მაგრამ მნიშვნელოვნად აფართოებს ზოგად წარმოდგენას თემურ-ლენგის, როგორც შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური

---

[169] დავით ნინიძე, ”პროვინციის მეფეები” XIV-XV საუკუნეების საქართველოში, (ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიიდან), თბ. 1995.

[170] დავით ნინიძე, საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგს, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, თბ. 1998.

[171] დავით გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1965; ჯ. ოდიშელი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის, (XIV-XVII სს.), კრ., თბ., 1964. XIV-XVIII საუკუნეების რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი; თბ., 1964. ვასილ კიკნაძე, საქართველო XIV საუკუნეში, თბ., 1989.

[172] Бартольд В.В., Сочинения, т. 1, М.,1963, т. 11 ч. 2, М., 1964, т. 7, М., 1971; Тизегаузен В. Г., Сборник материялов, относящихся к истории Золотой Орды, т. 2, М.-Л. 1941.Якубовский А. Ю., Тимур, Вопросы истории, №8-9, 1946; Тимур и его время, История народов Узбекистана, т. 1, Ташкент, 1960; Петрушевский И. П. Великий патриот ширваншах Ибрагим, Баку, 1942; Движение сербедаров в Хорасане, Ученые записки Института востоковедения, XIV, М., 1956; Новосельцев А.П., Об исторической оценке Тимура, Вопросы истории, №2, 1973.

პიროვნებისა და პოლიტიკური მოღვაწის შესახებ და თემურიანთა ხანის პოლიტიკურსა თუ კულტურულ მემკვიდრეობაზე.

თემურ-ლენგის შესახებ თანამედროვე დასავლეთევროპულსა და ამერიკულ სამეცნიერო გამოკვლევებს შორის აღსანიშნავია, რობერტ ბედროსიანის მიერ კოლუმბიის უნივერსიტეტში (აშშ) 1979 წელს დაცული სადოქტორო დისერტაცია "The Turco-Mongol Invasions and the Lords of Armenia in the 13-14th Centuries"[173]. ავტორის მიზანი იყო, მიმოეხილა თურქულ-მონღოლურ შემოსევებთან დაკავშირებით სომხეთში განვითარებული პოლიტიკური და სამხედრო მოვლენები; წარმოეჩინა, თუ კონკრეტულად რა ძალებს მოიაზრებს იგი თურქ-მონღოლ დამპყრობლებში, რა ჰქონდათ ამ დამპყრობლებს საერთო, რით განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისაგან და როგორი იყო მათი გავლენა სომხეთის მმართველ ზედაფენებზე. თემურ-ლენგის შემოსევების დახა-სიათებისას იგი აღნიშნავდა: "1386-87, 1394-96, 1399-1403 წლებში სომხეთი მანმადე ჯერ არნახული სისასტიკის შემოსევების ობიექტი გახდა. მათ კოჭლი სარდალი თემური (თემურ-ლენგი) ხელმძღვანელობდა, ამავდროულად ეს იყო უკანასკნელი შემოსევები, რომელიც ცენტრალური აზიიდან განხორციელდა სომხეთზე"[174] თემურ-ლენგის სომხეთში შემოსევების აღწერისას რ. ბედროსიანი ეხება საქართველოში განვითარებულ მოვლენებსაც. კერძოდ 1386 წელს თბილისის აღებას; 1400 წლისა და 1403 წლების შემოსევებს. ამიერკავკასიაში თემურის შემოსევების შედეგად შექმნილი უმძიმესი ვითარების გათვალისწინებით მკვლევარი აღნიშნავს: "განსაცვიფრებელია, მაგრამ თემურიანელებმა მაინც ვერ შეძლეს სრულებით ჩაეხშოთ დაპყრობილი ხალხების წინააღმდეგობა"[175]. ამ წინააღმდეგობის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად კი იგი 1399 წელს გიორგი VII-ის მიერ ერ-ნჯაკის 13 წლიანი ალყის მოხსნასა და თემურის მოალყეთა დამარცხებას განიხილავს. უფრო ქვემოთ თურქ-მონღოლ დამპყრობთა წინააღმდეგ ადგილობრივ ხელისუფალთა ბრძოლის მეთოდებისა და ხერხების შესახებ მსჯელობისას რ. ბედროსიანი აღნიშნავს რომ კავკასიაში "თემურის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლაში ყველაზე უფრო ღირშესანიშნავ წარმატებებს ქართველმა მეფემ მიაღწია. XV საუკუნის დასაწყისში გიორგი VII-მ ლაშქრობა მოაწყო და

[173] Robert Bedrosian, "The Turco-Mongol Invasions and the Lords of Armenia in the 13-14th Centuries", 1996. http://www.virtualscape.com/rbedrosian/dissert.html
[174] იქვე, თავი მეორე, ინტერნეტ ვერსია გვ. 73.
[175] იქვე, თავი მესამე, ინტერნეტ ვერსია გვ. 73.

შური იძია მუსლიმ მოსახლეობაზე. ეს იყო ამირსპასალარ ზაქარიას უკანასკნელი 1211-1212 წლების ლაშქრობის რემინისცენცია”[176]. ვფიქრობთ ასეთი შეფასება რამდენადმე გადაჭარბებულია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მეფეებს მართლაც არდაუშურებიათ ძალა და ენერგია მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში არც თემურ-ლენგის სიცოცხლეში, არც მისი სიკვდილის შემდეგ, რასაც შეეწირნენ კიდეც გიორგი VII და მისი ძმა კონსტანტინე I.

ბეატრის ფორბს მენცი ნაშრომებში “The Rize and Rule of Tamerlane” და “Temur and the Problem of the Conquerer’s Legacy”[177] იკვლევს თემურ-ლენგის ბიოგრაფიასა და მისი დაპყრობითი ომების ხასიათს. დევიდ ნიკოლი თემურ-ლენგის ეპოქისათვის მიძღვნილ წიგნში მიმოიხილავს თემურ-ლენგისა და თემურიანთა ხანაში წარმოებული ომების თავისებურებებს[178].

XIV-XV საუკუნეების სომხეთის ისტორიას ეხება ვენეციელი მხითარისტი მიქაელ ჩამჩიანი (1736-1823) ცნობილი პედაგოგი და ისტორიკოსი პირველი იყო, ვინც დაინტერესდა XIV-XV საუკუნეების სომხეთის ისტორიით. მისი ნაშრომი “სომხეთის ისტორია” 1780-1784 წლებში დაიწერა და 1784-1786 წლებში გამოიცა[179]. ეს ფუნდამენტური ნაშრომი სამი ტომისაგან შედგება და მოგვითხრობს სომხეთის ისტორიას უძველესი დროიდან 1780 წლამდე. მ. ჩამჩიანმა თავის ნაშრომში 23 სომხური და 70-ზე მეტი უცხოური წყარო გამოიყენა, მათ შორის არა მხოლოდ საკუთრივ საისტორიო ნაშრომები, არამედ ანდერძ-მინაწერები და სხვადასხვა სახის რელიგიური ხასიათის თხზულებები. ავტორი ცდილობდა კრიტიკულად შეეფასებინა მის ხელთ არსებული მასალა და მხოლოდ ამის შემდეგ აღეწერა ისტორიული მოვლენები. ნაშრომი ძირითადად სომხეთის პოლიტიკურსა და ეკლესიის ისტორიას ასახავს.[180]

მ. ჩამჩიანი მოკლედ მოგვითხრობს ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შესახებ. თემურ-ლენგის შემოსევების აღწერისას მისი ძირითადი წყაროა თომა მეწოფელის საისტორიო ნაშრომი: “ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა”. ამას გარდა

---

[176] Robert Bedrosian, “The Turco-Mongol Invasions and the Lords of Armenia in the 13-14th Centuries”, თავი მეორე, ინტერნეტ ვერსია გვ. 161.

[177] Beatrice Forbes Manz, “The Rize and Rule of Tamerlane”, Cambridge University Press, 1999; “Temur and the Problem of the Conquerer’s Legacy”, Journal of the Royal Asiatic Society 8 pt. I, April 1998, pp. 21-41.

[178] David Nicolle,The Adge of Tamerlane, Ferst published in GB, in 1990 Osprey Publishing.

[179] Rhbf4dv Xfrx4fg7, Kf4t7 Lfjrtyohyg, K. F. D6. 1985.

[180] იქვე, გვ. V.

ისტორიკოსი იყენებდა ბერძენი ისტორიკოსის დუკას ნაშრომსა და ანდერძ-მინაწერებსაც[181].

აღსანიშნავია, რომ მ. ჩამჩიანს ყურადღება მიუქცევია თომას თხზულებაში ქრონოლოგიური მონაცემების სიმცირისათვის და ამ ნაკლის შევსება უცდია. მაგ. ის ამბები, რაც თომას 1387 წლის ქვეშ აქვს მოთხრობილი, ჩამჩიანთან 1387-1393 წლებს შორის არის გაწერილი. რეალურად კი მისი წყარო უფრო ახლოს იყო სიმართლესთან, ვინაიდან ეს ამბები 1386-1387 წლებში მომხდარ მოვლენებს ასახავს.[182] მიუხედავად მ. ჩამჩიანის "სომხეთის ისტორიის" დიდი მნიშვნელობისა, უნდა ითქვას, რომ ნაშრომში ჩვენთვის საინტერესო პერიოდის, კერძოდ თემურ-ლენგის შემოსევების, შესახებ მოკლედ არის მოთხრობილი და ხშირია ქრონოლოგიური აღრევები.

XIX საუკუნის 90-ან წლებში ჩვენთვის საინტერესო პერიოდით დაინტერესდა ცნობილი არმენისტი ღევონდ ალიშანი. მის ნაშრომებში "აირარატი", "სისაკანი",[183] წარმოჩენილია XIV-XV საუკუნეების სომხეთის ისტორიის სხვადასხვა საკითხი. მათ შორის მოკლედ არის მოთხრობილი თემურ-ლენგის შემოსევების შესახებაც. ალიშანის ისტორიულ-გეოგრაფიული თხზულებები საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ავტორი ცდილობს ყოველ ტოპონიმთან მიმართებაში მაქსიმალურად ზედმიწევნით ასახოს ამ პუნქტის როგორც პოლიტიკური, ასევე საეკლესიო და კულტურის ისტორია.

XX საუკუნის სომეხ მკვლევართაგან ჩვენთვის საინტერესო ეპოქის შესწავლას დიდი ღვაწლი დასდო ჰ. მანანდიანმა. "სომხეთის ისტორიის კრიტიკული მიმოხილვის" III ტომი ეთმობა XI-XV საუკუნე-ების ისტორიას[184]. ამ ტომის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავდა, რომ შეუძლებელი იქნებოდა ამ პერიოდის სომხეთის ისტორიის სრულფასოვანი შესწავლა, ვიდრე ხელმისაწვდომი არ გახდებოდა ამ პერიოდის ყველა ლაპიდარული წარწერა, ანდერძ-მინაწერი, სომხური და უცხოენოვანი საისტორიო წყარო, აგრეთვე მატერიალური კულტურის აქამდე უცნობი ძეგლი. იგი განსაკუთრებულ სიძნელეებს აწყდებოდა XV საუკუნის ისტორიის გაშუქებისას. ჰ.მანანდიანის თქმით, "წყაროებისა და მასალის უკმარისობის გამო მესამე ტომში აღწერილი XV საუკუნის ისტორია უკიდურესად მოკლე და მხოლოდ ქრონოლოგიური

[181] Rhbf4dv Xfrx4fg7, Kf4t7 Lfjrtyohyg, K. S, გვ. 419-427.
[182] იქვე, გვ. 421-425.
[183] F46f6fj, Adgdjhu, 1890; Ehefufg, Adgdjhu, 1893, გვ. 363-390.
[184] K. Rfgfgz4fg, Bggfufg jdetyo4tyg kf4 2t9ta6zh lfjetyo4fg, k. S. D6., 1977.

ჩანაწერის (ესკიზის) ხასიათს ატარებს”[185]. საკუთარი ნაშრომისადმი ასეთი კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ჰ. მანანდიანის ნაშრომში წინამორბედებთან შედარებით ყველაზე უფრო ზედმიწევნითა და საფუძვლიანად არის ასახული და განხილული თემურ-ლენგის შემოსევების ისტორია და XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე სომხეთში შექმნილი ვითარება. მკვლევარი მოკლედ მოგვითხრობს თემურის საქართველოში შემოსევების შესახებაც. ყურადღება გამახვილებულია 1386 წელს თბილისის აღებაზე, ბაგრატ V-ის დატყვევებაზე, 1399-1400 წლების შემოსევასა და მის გამომწვევ მიზეზებზე.

XIV-XV საუკუნეების სომხეთის ისტორიის გაშუქებასა და კვლევაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ლ. ხაჩიკიანმა. მან შეადგინა და გამოსცა XIV და XV საუკუნეების სომხურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები. ამ ნაშრომების წინასიტყვაობებში მკვლევარი ჩვენთვის საინტერესო ეპოქის სომხეთის ისტორიის არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ სოციალურ, ეკონომიკურ, რელიგიურ და კულტურულ ასპექტებსაც განიხილავს. ამ ნაშრომში იგი მოკლედ წერს თემურ-ლენგის 1399-1400 წლების შემოსევებზე საქართველოში. ლ. ხაჩიკიანი თემურ-ლენგის 1386-1387 წლების შემოსევებს ეხება მის მიერ აღმოჩენილი და გამოქვეყნებული XIV საუკუნის მიწურულის ერთი მცირე ზომის ქრონიკისათვის წამძღვარებულ გამოკვლევაში. აქვე იგი აღნიშნავს, რომ ეს ქრონიკა თომა მეწოფელის “ისტორიის” ერთ-ერთი წყარო უნდა იყოს. მკვლევრის გარდაცვალების შემდეგ წიგნად გამოიცა მის მიერ მომზადებული თომა მეწოფელის საისტორიო თხზულების კრიტიკული ტექსტი. რომელსაც წამძღვარებული აქვს არა მხოლოდ ტექსტის მეცნიერული აპარატი, არამედ ლ. ხაჩიკიანის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი გამოკვლევები, რომლებიც XIV-XV საუკუნეების მიჯნის სომხეთის ისტორიასა და ამ ეპოქის ერთადერთი მნიშვნელოვანი ისტორიკოსის, თომა მეწოფელის, ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება. ეპოქის ისტორიული მიმოხილვისას იგი ცალკე თავს უთმობს თემურ-ლენგის სომხეთში ბატონობის პერიოდს. აქ იგი თემურის საქართველოში შემოსევების შესახებაც მოგვითხრობს. კერძოდ კი პირველ შემოსევაზე 1386 წელს, 1395 წელს თოხთამიშის დამარცხების შემდეგ ალანთა კარით დაბრუნებაზე,

[185] K. Rfgfgz4fg, Bggfufg jdetyo4tyg kf4 2t9ta6zh lfjetyo4fg,, გვ. 12.

გიორგი VII-ის მიერ ერნჯაკის ციხის აღებაზე, თემურის 1399-1400, 1403 წლების შემოსევებზე[186].

“სომეხი ხალხის ისტორიის” IV ტომში ცალკე თავი ეთმობა თემურ-ლენგის შემოსევებს სომხეთში. აქვე მოკლედ არის მოთხრობილი საქართველოში შემოსევების შესახებაც[187].

1997 წელს გამოიცა გ. კირაკოსიანის მონოგრაფიული ნაშრომი “სომხეთი ლანგ–თემურისა და თურქმანული ტომების შემოსევების ხანაში (1386-1500)”[188]. ნაშრომში სომხური ნარატიული წყაროების, ლაპიდარული წარწერების, ანდერძ-მინაწერების, მოკლე ქრონიკებისა და უცხოენოვანი წყაროების მონაცემთა საფუძველზე მოთხრობილია სომხეთში თემურ-ლენგის, თურქმენების შემოსევებისა და ამ ეპოქის სომხური ფეოდალური საგვარეულოების: დოფიანთა, ჰასან-ჯალალიანთა, ორბელიანთა, პროშიანთა და აზიზბეკიანთა ისტორია. ავტორი საგანგებო ყურადღებას აქცევს თემურის, შავბატკნიანი და თეთრბატკნიანი თურქმენების შემოსევების შედეგად სომხეთში შექმნილ უმძიმეს სოციალურ, ეკონომიკურ მდგომარეობას.

ნაშრომში მოთხრობილია თემურის საქართველოში ლაშქრობების შესახებაც. ძალიან მოკლედ არის აღნიშნული თბილისის აღებისა და ბაგრატ V-ის დატყვევების შესახებ. თემურის სომხეთის ტერიტორიაზე 1400 წელს გამოჩენასთან დაკავშირებით გ. კირაკოსიანი აღნიშნავს, რომ თემურის ეს შემოსევა ძირითადად საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული. ხოლო ამ შემოსევის მიზეზებად მკვლევარი ორ ფაქტს მოიაზრებს: 1) 1386 წელს ბაგრატ V-ის და მისი ვაჟების გიორგის, კონსტანტინესა და დავითის მიერ თემურის თორმეტათასიანი ლაშქრის ამოხოცვა; 2) 1399 წელს გიორგი VII-ის მიერ ერნჯაკის ციხიდან თაჰერ ჯალაირის გათავისუფლება. საქართველოს შემდეგი მოხსენიება ნაშრომში თემურის 1403 წლის შემოსევას უკაშირდება. აქ მოკლედ არის აღნიშნული დასავლეთ საქართველოში თემურის ლაშქრობასა და გიორგი VII-სა და თემურ-ლენგს შორის ზავის დადებაზე[189].

---

[186] იხ. @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, გვ. VII; Kf4 lfjrtyo4fg fgkf4j 81d6h7, გვ. 233; Otarf Rdptqd7h, Lfjrfs6tyo4tyg, გვ. VIII-XVIII.

[187] Kf4 2t9ta6zh lfjrtyo4tyg, kfj. IV, D6. 1972 გვ. 23-32.

[188] S. D. Uh6fute4fg, Kf4fejfgi Vfgu-Ofrty6h da oty6brdg 7d9d6h f6mfafgbgd6h m61fgtyr, D6. 1997.

[189] S. D. Uh6fute4fg, Kf4fejfgi Vfgu-Ofrty6h da oty6brdg 7d9d6h f6mfafgbgd6h m61fgtyr, 52-69.

თ ა ვ ი II

თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში სომხური წყაროების მიხედვით

მკვლევართა აზრით, თემურ-ლენგის ამიერკავკასიაში პირველი გამოჩენა ოქროს ურდოს ყაენ თოხთამიშთან მის ბრძოლას უკავშირდება[190]. როგორც ცნობილია, 1385 წელს თოხთამიშის ურდოები აზერბაიჯანში შეიჭრნენ აიღეს თავრიზი და მისი მფლობელი აჰმად ჯალაირი ქვეყნიდან განდევნეს[191]. თომა მეწოფელის ინფორმაციის თანახმად თოხთამიშის ლაშქარი ალანთა კარითა და დარუბანდით გადმოვიდა და შეესია აჰმად ჯალაირის სამფლობელოს. ამის შემდეგ მონღოლებმა სივნიეთი მოარბიეს და უკან გაბრუნდნენ[192].

მონღოლებს ფეხდაფეხ მოჰყვა თემურ-ლენგი. 1386 წლის გაზაფხულზე მან თავრიზი აიღო. გადმოლახა არაქსი და სომხეთში, კერძოდ, სივნიეთში შეიჭრა. აიღო ნახიჯევანი და ერნჯაკის ციხეს ალყა შემოარტყა. შემდეგ ჭაკატუს მხარეში ილაშქრა, აიღო და მიწასთან გაასწორა ქალაქი სურმარი, შეიჭრა აირარატში, კარბში და აქედან კოტაიქში გადავიდა. ალყა შემოარტყა, აიღო ბიჯნისი და მოკლა მისი საერო და სასულიერო ხელისუფალი ვანაკან ეპისკოპოსი (გრიგოლ ხლათელს ეს ფაქტი 1387 წლით აქვს დათარიღებული). დამპყრობლისათვის დიდი წინააღმდეგობა გაუწევია სოფელ კოღბის მოსახლეობას. სოფლის მამასახლისმა ხალხი თაქალთუს მთაზე აიყვანა და მტრის ხელიდან იხსნა[193]. სამუელ ანელის გამგრძელებლის ცნობიდან ჩანს, რომ თემურის ლაშქარმა ძალიან სწრაფად მოარბია სომხეთის ეს ნაწილი. „ერთ დღეში მიაღწია კარბამდე, ბიჯნისამდე, გარნისამდე სურმარიმდე და კოღბამდე“[194].

---

[190] Бартольд В.В., Сочинения, т. II, ч. 1, გვ. 158; т. II, ч. 2, გვ. 46; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III გვ. 185.

[191] Али- заде А.А., Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII-XIVвв., Баку, 1956, გვ. 387.

[192] Otarf Rdptqd7h, Lfjrfs6tyo4tyg, გვ. 9-10.

[193] იქვე, გვ. 16-18 ; V. Nfxhu4fg, Kf4 lfjrtyo4fg fgkf4j 81d6h7, გვ. 239.

[194] Efrty8vh Bfkfgf4h Fgd7yt4 Kfyfbrtygb h S6t7 Lfjrfs6f7, გვ. 171.

თემურ-ლენგის ამ პირველი ლაშქრობის შედეგის შესახებ სტეფანე და ნერსე მეწოფელების ქრონიკაში ლაკონიურადაა აღნიშნული: “და მოაოხრა ქვეყნის მაოხრებელმა თემურმა ყველა ქვეყანა და სომხეთი ყველაზე მეტად დაანგრია”[195]. თემურმა სომხეთი ააოხრა დიდი ალაფი და ურიცხვი ტყვე იგდო ხელთ და საქართველოში შემოიჭრა.

ჩვენს ხელთ არსებულ სომხურ წყაროებს შორის თემურ-ლენგის მიერ 1386 წელს თბილისის აღების, ბაგრატ V-ის დატყვევებისა და ამის შემდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ ყველაზე უფრო ვრცლად სტეფანე და ნერსე მეწოფელების ქრონიკასა და თომა მეწოფელის ისტორიაში არის მოთხრობილი.

ვიდრე სპეციალური შესწავლის საგანი გახდებოდა, სტეფანე და ნერსე მეწოფელების ქრონიკა თომა მეწოფელის თხზულების ნაკვეთად იყო მიჩნეული[196]. მართლაც, თომა მეწოფელის ისტორიაში მოთხრობილი ამბები, რომლებიც 1386-1387 წლების სომხეთისა და მისი მეზობელი ქვეყნების თავგდასავალს შეიცავს, დიდ მსგავსებას ამჟღავნებს სტეფანე და ნერსე მეწოფელების ქრონიკაში აღწერილ მოვლენებთან. ამდენად, მეტად საინტერესოა ამ ორ სომხურ წყაროს შორის ურთიერთმიმართების დადგენა.

საზოგადოდ მიჩნეულია, რომ თომა მეწოფელი უაღრესად სანდო ავტორია, ვინაიდან იგი თანამედროვე და ხშირ შემთხვევაში მონაწილე იყო მის მიერ აღწერილი ამბებისა. ხაზგასასმელია ისიც, რომ მისი ცნობები დასტურდება სპარსულენოვანი წყაროების მონაცემებითაც. “ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა” ძირითადად ავტორის მეხსიერებაში აღბეჭდილ მოვლენებს ასახავს, ამასთანავე თომა ხშირად იმოწმებს ამა თუ იმ მოვლენის უშუალო მონაწილის ან თვითმხილველისაგან შეტყობილ ამბებსაც. იმის მიუხედავად, რომ ავტორი თავისი დროის მოვლენების შესახებ გვიამბობს, თხრობის თანამიმდევრობა ხშირად არეულია და იმისათვის, რომ თავდაპირველ თემას დაუბრუნდეს, თომა აღნიშნავს ხოლმე: “კვლავ დავუბრუნდეთ ჩვენს უწინდელ მოთხრობას”, ან “ისევ დავუბრუნდეთ უწინდელი თხრობის ქარგას“[197]. უზუსტობებსა და აღრევების მიზეზს ავტორი თვითონვე განმარტავს. მაგალითად, ოთხი

---

[195] V. Nfxhu4fg, Kf4 lfjrtyo4fg fgkf4j 81d6h7, გვ. 239.
[196] &ty7fu 3d5fs6f7 Rfmjt7h fgafg Rfjdgfzf6fgh, , Kfj. W, D6., 1970, გვ. 1000.
[197] თოვმა მეწოფეცი, გვ. 29; 32.

ვარდაპეტის წამების შესახებ თხრობისას იგი ამბობს: “ეს მოხდა 1425 წელზე გვიან ან ადრე, მოწყალე იყავ, ვინაიდან მოხუცებული ვიყავი, 50 წელზე მეტისა, როცა [წერა] დავიწყე, ამის გამო გვიანდელი უწინ დავწერე”[198]. მოხუცებულობის გამო თომას გაცილებით მეტი პრობლემა უნდა ჰქონოდა 1386-1387 წლების მოვლენების მეხსიერებით აღდგენის თვალსაზრისით.

ამ მნიშვნელოვან მომენტს პირველად ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება. იგი სკეპტიკურად უყურებდა იმ დროისათვის თერთმეტი წლის ბავშვის (ივ. ჯავახშვილის ვარაუდით, თომა მეწოფელის ასაკი 1386-1387 წლებისათვის) მიერ ნახევარი საუკუნის შემდეგ მოვლენებისა და ფაქტების მართლად აღწერის შესაძლებლობას[199]. სტეფანე და ნერსე მეწოფელების ქრონიკისათვის დართულ გამოკვლევაში მსგავსი აზრი ლ. ხაჩიკიანმაც გამოთქვა: “ძნელია იმის დაჯერება, რომ მომავალი ისტორიკოსი, სულ რაღაც ცხრა წლის ბავშვი, შეძლებდა მეხსიერებაში შემოენახა ადრეული ბავშვობის წლებში მომხდარი მღელვარე და რთული მოვლენების ხსოვნა, რათა ათწლეულების შემდეგ დაწვრილებით მოეთხრო მათ შესახებ~[200]. მკვლევარს მიაჩნია, რომ თომა მეწოფელი 1386-1387 წლების სომხეთის ისტორიის აღწერისას სარგებლობდა წერილობითი წყაროთი და რომ ეს წყარო სტეფანე და ნერსე მეწოფელების ქრონიკაა. იგი აღნიშნავდა: “ეს ნაშრომი თითქმის მთლიანად არის შესული თომა მეწოფელის “ისტორიაში”. თომა შე-ეცადა, დამატებითი ცნობებით გაემდიდრებინა მის მიერ გამოყენებული პირველწყარო, თვითმხილველთა და თანადამხდურთაგან შეგროვებული დამატებითი ცნობებით შეესწორებინა და სრული სახე მიეცა მასში აღწერილი მოვლენებისათვის”[201].

ქართული ისტორიოგრაფიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სომეხი მემატიანეების, სტეფანე და ნერსე მეწოფელების, მონათხრობი თემურ-ლენგის მიერ თბილისის აღებისა და ქართველთა მეფე ბაგრატის დატყვევების შემდგომ განვითარებული მოვლენების თაობაზე. კერძოდ, ქრონიკაში აღნიშნულია, რომ მამაცმა ბაგრატ მეფემ თემური მოატყუა და მრავალრიცხოვან ლაშქარს წამოუძღვა, თითქოსდა მთელი თავისი სამეფოს გასათათრებლად. მეფემ ჩაღათაელთა ეს ლაშქარი სრულად

[198] ლ. მელიქსეთ-ბეგი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, გვ. 165.
[199] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 190.
[200] V. Nfxhu4fg, Kf4 lfjrtyo4fg fgkf4j 81d6h7, გვ. 231.
[201] იქვე, გვ. 233.

გაანადგურა. ამის შემდგომ წყარო იუწყება თემურის წინააღმდეგ ქართველი უფლისწულების გამოსვლისა და თემურის გაწბილების შესახებ.

თომა მეწოფელის თხზულების მიხედვით იგივე მოვლენები ასე განვითარებულა: თემურ-ლენგმა აიღო თბილისი (ფაიტაკარანი), დაატყვევა ბაგრატ მეფე და ყარაბაღში წაიყვანა. მან იძულებით გაამუსლიმა ქართველი მეფე, მაგრამ "სულიწმიდის სიბრძნით" აღვსილმა ბაგრატმა ხერხი იხმარა: თემურს ჯარი გამოართვა და თითქოს საქართველოს მოსახლეობის გასათათრებლად წამოვიდა. ბაგრატისა და მისი ვაჟების (გიორგი, კონსტანტინე, დავითი) წინასწარი შეთანხმების

თანახმად, მეფემ ჯარი ვიწრო და გაუვალ ადგილზე მიიყვანა, სადაც უფლისწულებმა გზა გადაუჭრეს ჯარს და 12.000-იანი ჩაღათას ლაშქარი ამოხოცეს, მამა გაათავისუფლეს და თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ[202].

თომა მეწოფელის ამ ცნობის მსგავსი, უფრო ვრცელი ინფორმაცია მოიპოვება ბერი ეგნატაშვილისეულ "ახალ ქართლის ცხოვრებაში"[203]. XVIII-XIX საუკუნეებში ისტორიკოსები სანდოდ მიიჩნევდენ მის მონაცემებს და თემურ-ლენგის შემოსევების აღწერისას ძირითადად ამ ქართული წყაროს ცნობებს ეყრდნობოდენ. 1386-1387 წლებში საქართველოში თემურ-ლენგის შემოსევები ბერი ეგნატაშვილის "ქართლის ცხოვრების" მიხედვით აღწერილია "ახალი ქართლის ცხოვრების" მეორე ტექსტში[204], ვახუშტი ბატონიშვილის "აღწერა სამეფოსა საქართველოსაში"[205], ნ. დადიანის "ქართველთ ცხოვრებაში"[206], მ. ჯანაშვილის[207], ვ. პოტტოს[208], დ. კარიჭაშვილის[209] სამეცნიერო ნაშრომებში. მარი ბროსე იცნობდა თომა მეწოფელის თხზულებასაც და სანდოდ მიიჩნევდა როგორც ქართული, ასევე სომხური წყაროს მონაცემებს, რომლებიც თემურ-ლენგის მიერ ბაგრატ V-ის დატყვევებასა და ამის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს ეხებოდა[210].

---

[202] თომა მეწოფელი, გვ. 19-20.
[203] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 328-330.
[204] იქვე, ტ. II, გვ. 450-457.
[205] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 204-267.
[206] ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 118-119.
[207] მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, გვ. 213-216.
[208] ვ. პოტტო, საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, გვ. 23-24.
[209] დ. კარიჭაშვილი, საქართველოს მოკლე ისტორია, გვ. 153-156.
[210] მ. ბროსსე, საქართველოს ისტორია გვ. 219-220.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში თომა მეწოფელის ცნობის სანდოობის მიმართ უარყოფითი შეფასება პირველად ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა. თემურ-ლენგის საქართველოში პირველი შემოსევის მიზეზთა და გარემოებათა განხილვისას მკვლევარი აღნიშნავდა: "უცილობლად ტენდენციურივე და მთლიანად შეთხზული ამბავია თომა მეწოფელის საისტორიო ნაშრომში მოყვანილი შემდეგი ცნობა, ვითომცდა ბაგრატ V-ისგან გამოყენებული ცბიერების შესახებაც. მისს აქ გამეორებას არც კი ექნებოდა მნიშვნელობა, იგი რომ ამ უმცროსი თანამედროვის მიერ არ იყოს დაწერილი და ამის მსგავსივე ცნობა ქართულ საისტორიო მწერლობაში, სახელდობრ, ეგნატაშვილის ბერის "ახალს ქართლის ცხოვრებაშიც" არ გვხვდებოდეს და საქართველოს ისტორიაშიც დღევანდლამდე სრულ ჭეშმარიტებად არ ითვლებოდეს"[211]. უშუალოდ სომეხი ისტორიკოსის ცნობის განხილვისას ივ. ჯავახიშვილი წერდა: "იმისდა მიუხედავად, რომ თომა მეწოფელი ბაგრატ V-ის უმცროსი თანამედროვე იყო, მაინც მთელი ზემომოთხრობილი ამბავი თავითგან ბოლომდე შეთხზულია და არაფერი ამის მსგავსი არც შეიძლება მომხდარიყო და არც მომხდარა. თემურ-ლენგი ისეთი ცბიერი და ჭკვიანი კაცი იყო, მისი ასე სულელურად მოტყუება არავის შეეძლო. სრულებით დაუჯერებელია მით უმეტეს, რომ ბაგრატ V-ისათვის, ამ გუშინდელი მოწინააღმდეგისთვის, თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქარი მიეცა და სარდლობაც მისთვისვე ჩაებარებინა. ამას გარდა თემურ-ლენგს თავის ბანაკში, როგორც მისი სამხედრო მოქმედებითგანაც ცხადად ჩანს, საქართველოს გზების კარგი მცოდნენი საკმაოდ ჰყოლია და თავის ლაშქარს რომელსამე მათგანს, რა თქმა უნდა, მაინც გააყოლებდა. ასეთ პირობებში, ცხადია ბაგრატ V-ეს მონღოლთა მბრძანებლის ლაშქრის მისი ნებით ვიწროებსა და გაუვალ ადგილებში შემწყვდევის არც უფლებას და არც საშუალებას არავინ მისცემდა... თომა მეწოფელის მონათხრობი რომ დაუჯერებელია, ამას თვით თემურ-ლენგის მოქმედებაც ცხადჰყოფს: 1387 წლის შემდეგ, როდესაც მან ბაგრატ V განათავისუფლა და ისევე საქართველოში დაბრუნების უფლება მისცა, 1393 წლამდე მას საქართველოს წინააღმდეგ აღარ უომნია. განა დასაჯერებელია, რომ თემურ-ლენგს, რომლის მრისხანე ხასიათი და შურისმაძიებლობა კარგად არის ცნობილი, ან ბაგრატ V-ისა და მისი შვილებისათვის, ან და თვით საქართველოსთვის თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქრის ასე ვერაგულად

[211] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 188.

გაწყვეტა ეპატიებინოს და ამის ოდნავ მაინც მაგვარი თავისი მარცხი ქართველებისთვის შეენარჩუნებინოს?... ბაგრატ V-ესა და ქართველებს რომ ამის მსგავსი რამე ჩაედინათ, თემურ-ლენგი უეჭველია, უმალ მრისხანებით სავსე თავის ჩვეულებრივს შურისძიებას შეუდგებოდა და არასგზით საქართველოთგან ისე არ წავიდოდა, რომ სამაგიეროს გადახდა არ ეცადნა მაინც. ამიტომ თომა მეწოფელის მონათხრობი ნახევარი საუკუნის შემდეგ სახელოვანი მებრძოლის ბაგრატ V-ის მოულოდნელი, ხალხისთვის ძნელად დასაჯერებელი და თავმოყვარეობისთვისაც უსიამოვნო მარცხის შესაფერადებლად გაჩენილი თქმულებაა... იმ დროს, როდესაც ეს ამბავი ვითომცდა უნდა იყოს მომხდარი თომა მეწოფელი 11 წლის ბავშვი თუ იქნებოდა, ამიტომ, თემურ-ლენგის ამბების ნახევარ საუკუნის შემდეგ აღწერის დროს მას ზემომოთხრობილი შემთხვევა, უეჭველია ზეპირი გადმოცემით ექმნებოდა გაგონილი. ამ მონათხრობს ზეპირსიტყვაობის კვალი ემჩნევა კიდეც, თუნდაც იქ, სადაც ქართველებისაგან თემურის 12.000 მოლაშქრის ვითომცდა გაწყვეტაზე აქვს საუბარი ავტორსავე აქვს დამატებული: "როგორც იტყვიან" ამბობენო"[212]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარი "ახალ ქართლის ცხოვრებაში" მსგავსი ცნობის გაჩენას თომა მეწოფელის თხზულების საშუალებით ხსნიდა. მის ხელთ არსებულ სპარსულენოვან წყაროში კი ამგვარი ცნობა არ მოიპოვებოდა, ხოლო რაიმე სხვა წყარო, რომელიც მეტ სიცხადეს შეიტანდა აღნიშნული საკითხის გასარკვევად, იმ დროისათვის გამჟღავნებული არ ყოფილა. ჩვენ მიერ ივ. ჯავახიშვილის ასეთი ვრცელი ციტატის მოხმობა იმით არის გამოწვეული, რომ მომდევნო თაობის მკვლევრები, რომლებიც სპეციალურად შეჰხებიან თემურ-ლენგის საქართველოში პირველი ლაშქრობის საკითხს, ან მთლიანად იზიარებდნენ დიდი მეცნიერის მოსაზრებას, ან სწორედ აქ ჩამოყალიბებული დებულებების კონტრარგუმენტებზე აგებნდენ თავიანთ მსჯელობას.

ივ. ჯავახიშვილის ზემომოყვანილი არგუმენტაცია სრულად გაიზიარა დ. კაციტაძემ. თავის მონოგრაფიულ ნაშრომში _ "საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე" _ იგი მოკლედ აღნიშნავდა: "ჩვენი აზრით, ივ. ჯავახიშვილმა საფუძვლიანად

[212] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 189-190.

დაასაბუთა თომა მეწოფელის ამ ცნობის საეჭვოობა, ასე რომ აქ ამაზე აღარ გავაგრძელებთ სიტყვას”[213].

სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში აღნიშნული საკითხის შესახებ საპირისპირო აზრი აქვთ გამოთქმული ვ. გაბაშვილს[214], კ. გრიგოლიას[215]. მათი შეხედულებით “ახალი ქართლის ცხოვრების” მონაცემები ისტორიულ სინამდვილეს შეესაბამება. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისის მართებულობა მითითებულ ლიტერატურაში დასაბუთებული არ ყოფილა და არც სხვა ნაშრომებში გამხდარა სპეციალური შესწავლის საგანი.

კ. კუცია თვლის, რომ თომა მეწოფელის ცნობა სანდოა, ხოლო ივ. ჯავახიშვილის იმ მოსაზრების საპირისპიროდ, რომ “1387 წ. შემდეგ, როდესაც მან (თემურმა) ბაგრატ V განათავისუფლა და საქართველოში დაბრუნების საშუალება მისცა, 1393 წ.-მდე მას საქართველოს წინააღმდეგ აღარ ულაშქრია”, მკვლევარი აღნიშნავს: “1387 წლის შემდეგ თემური საერთოდ აღარ გამოჩენილა ამიერკავკასიაში, და ამდენად, მას არ შეეძლო ქართლის ურჩი მეფის სათანადოდ დასჯა. ომების ახალი, ე. წ. ხუთწლიანი ციკლი ირანის წინააღმდეგ, რომელიც ამიერკავკასიის რეგიონის წინააღმდეგაც იყო მიმართული, იწყება მხოლოდ 1392 წელს და უკვე მომდევნო 1393 წელს თემურ-ლენგი ქართლსაც ლაშქრავს. როგორც ჩანს, 1387 წელს თემურს არ ჰქონდა შესაძლებლობა, საკადრისი პასუხი გაეცა ქართველი მეფისათვის”[216].

კ. ტაბატაძემ დეტალურად განიხილა და შეადარა სომეხ და ქართველ მემატიანეთა ცნობები მის მიერ სპარსულენოვან წყაროებში მოძიებულ მასალებს. თომა მეწოფელის ცნობის სანდოობის შესახებ მსჯელობისას იგი იმ წინაპირობიდან გამოდის, რომ მძარცველური ლაშქრობების გარდა, თემურ-ლენგი მიზნად ისახავდა დაპყრობილ ქვეყნებში თავისი ერთგული ხელისუფლების დამყარებას. მიწისმფლობელობის სამხედრო-ლენური წესის მქონე მუსლიმური ქვეყნებისგან განსხვავებით საქართველო, როგორც ქრისტიანული სახელმწიფო, ტრადიციულად ჩამოყალიბებული სამამულო მიწათმფლობელობის სისტემით განსაკუთრებულ დაბრკოლებას უქმნიდა დამპყრობლის პოლიტიკის განხორციელებას. პრობლემის მოგვარების გზად თემურ-

[213] დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე გვ. 138.
[214] ვ. გაბაშვილი, თათართა შემოსევები საქართველოში, თბ. 1943, გვ. 17.
[215] კ. გრიგოლია, პასუხი რეცენზენტს, გაზ. “წიგნის სამყარო”, №1, 1973.
[216] თოვმა მეწოფეცი, გვ. 88.

ლენგს საქართველოს გამუსლიმება ესახებოდა, რაც, ბუნებრივია, ქვეყნის ხელისუფალთა ისლამის რჯულზე მოქცევით უნდა დაწყებულიყო. სწორედ ამიტომ დატოვა თემურმა ცოცხლად ტყვედჩავარდნილი ბაგრატ V და თან წაიყვანა ყარაბაღში[217].

ქართველთა მეფის გამუსლიმების არაერთი მცდელობის შედეგად თემურ-ლენგმა მიზანს მიაღწია და, სათანადო იარლიყის თანახმად რჯულგამოცვლილ ბაგრატს დაუბრუნა ტახტი, დაუმტკიცა სამფლობელო და დიდი საჩუქრებით გამოუშვა საქართველოში. ასეთ შემთხვევაში თემურ-ლენგის მიერ ბაგრატისათვის ჯარის გამოყოლებას რამდენიმე სერიოზული მიზეზი ჰქონდა: 1) ცბიერსა და ჭკვიან თემურს გარანტია უნდა ჰქონოდა, რომ ბაგრატი სამშობლოში დაბრუნებისთანავე არ უარყოფდა ისლამს და არ დაუბრუნდებოდა ქრისტიანულ სარწმუნოებას; 2) ქვეყნის გამაჰმადიანების მიზნით თემურს ბაგრატთან ერთად საქართველოში ისლამის წეს-მეცნიერები და სასულიერო პირთა დასნი უნდა გამოეყოლებინა. მათ კი საგანგებო დაცვა სჭირდებოდათ როგორც გზაში, ასევე რელიგიური მოღვაწეობის დროს; 3) გამუსლიმებულმა ბაგრატმა (მითუმეტეს თემურმა) არ იცოდა, მიიღებდა თუ არა მას ქართველი საზოგადოება. არც იმის გარანტია არსებობდა, რომ იგი წინააღმდეგობის გარეშე დაიბრუნებდა ტახტს და რომ კანონიერი მემკვიდრე, გიორგი ბაგრატის ძე, არ ეკურთხებოდა მეფედ უმეფობის ჟამს. ამდენად, მკვლევარი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ცნობები თემურ-ლენგის მიერ გამაჰმადიანებული ბაგრატ მეფისათვის ლაშქრის ნდობის შესახებ მართებული უნდა იყოს. ხოლო თემურ-ლენგის ასეთი საქციელი კი მისი დაპყრობითი პოლიტიკის განხორციელებისათვის იყო მიზანშეწონილი და ბაგრატის მოხერხებულობას ან თემურ-ლენგის გულუბრყვილობას არ შეიძლება მიეწეროს[218].

კ. ტაბატაძის თვალსაზრისით, სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს ქართველების მიერ ამ ლაშქრის ამოხოცვის ამბავიც. თომა მეწოფელის ცნობის მიხედვით, ბაგრატსა და მის ვაჟებს შორის წინასწარი შეთანხმების თანახმად, უფლისწულები მამას გაქცევაში უნდა დახმარებოდნენ. ქართველთა მიერ ამ 12.000-იანი ლაშქრის განადგურება ბაგრატ მეხუთის ტყვეობიდან განთავისუფლების წარმატებული მცდელობის შედეგი იყო[219].

---

[217] კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 71-73.
[218] იქვე, გვ. 79-80.
[219] კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 80-81.

ხოლო სპარსულენოვან წყაროებში მსგავსი ცნობის არარსებობა და ბაგრატ მეფის საქართველოსაკენ გამობრუნების შემდეგ მისი მოუხსენიებლობა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ "სპარსელი ისტორიკოსები რაღაცას გვიმალავენ და განზრახ ერიდებიან უსიამოვნო ამბების თხრობას"[220].

მოვლენათა განვითარების ასეთ შემთხვევაში თემურ-ლენგს მართლაც უნდა მიეღო სათანადო ზომები და საქართველოს წინააღმდეგ ელაშქრა. სპარსულენოვანი წყაროების უჩვეულოდ სიტყვაძუნწი მონაცემების თანახმად, 1387 წლის გაზაფხულის დამდეგს თემურ-ლენგს საქართველო მეორედ დაულაშქრავს[221].

სპარსი ისტორიკოსების ცნობებით, ყარაბაღში გამოზამთრების შემდეგ თემურ-ლენგი თავისი ლაშქრით ბარდავისაკენ დაიძრა[222]. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას ამჯერადაც საქართველოსაკენ ეჭირა გეზი, რადგან 1400 წელსაც ყარაბაღში გამოზამთრებისა და საქართველოზე გალაშქრების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იგი სწორედ ბარდავის გავლით მოდის საქართველოში[223]. უფრო მოგვიანებით კი იგი გოგჩის მიდამოებში ჩანს, საიდანაც დერბენდის გზით შემოჭრილი ოქროს ურდოს მბრძანებლის, თოხთამიშის, წინააღმდეგ გზავნის სარდლებს, ხოლო თვითონ ყარა-მაჰმადზე სალაშქროდ მიდის[224]. თემურ-ლენგის მარშრუტის შესახებ უფრო ზუსტი ინფორმაცია მოიპოვება ფასიჰი ხაფის "კონსპექტში". ნაშრომში ქრონოლოგიური რიგით არის აღნუსხული მოვლენები. 1387 წელს თავდაპირველად დასახელებულია "თემურის გალაშქრება არანის ყარაბაღიდან საქართველოსკენ", ხოლო შემდეგ თოხთამიშის წინააღმდეგ ლაშქრის გაგზავნა, თავად თემურის გოგჩის ტბისაკენ წასვლა და მისი გალაშქრება ყარა-მაჰმად თურქმანის წინააღმდეგ[225].

კ. ტაბატაძეს ფასიჰი ხაფის ზემოხსენებული ცნობის გარდა თომა მეწოფელის თხზულების იმ დროისათვის არსებული ერთადერთი ლ. მელიქსეთ-ბეგისეული თარგმანიდანაც მოაქვს ციტატა, რომელიც თარგმანში ასე იკითხება: "და მან (თემურმა) გახარებულმა დაასაჩუქრა იგი (ქართველთა მეფე) მრავალი პატივითა და მისცა მას

[220] იქვე, გვ. 81.
[221] იქვე, გვ. 81.
[222] იქვე, გვ. 82.
[223] დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 91.
[224] კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 82.
[225] იქვე, გვ. 83.

დიდი ჯარი. და თ ვ ი თ ო ნ ა ც (თემურ) ურიცხვი ჯარითა წარმოემართა ქართლზე”[226]. ხოლო პარალელურ სომხურ ტექსტში კი იკითხება: “და მან (თემურმა) გახარებულმა დაასაჩუქრა იგი (ქართველთა მეფე) მრავალი პატივითა და მისცა მას დიდი ჯარი. და ი გ ი ურიცხვი ჯარითა წარმოემართა ქართლზე”[227]. აშკარაა, რომ აქ ქართველთა მეფე ბაგრატისა და თემურისგან მიღებული ლაშქრის საქართველოში წამოსვლის შესახებ არის საუბარი. კ. კუციას მიერ შესრულებულ თომა მეწოფელის თხზულების თარგმანში ეს ადგილი ასე იკითხება: “მას გაუხარდა, დიდი პატივით ხალათი უბოძა და დიდძალი ჯარი მისცა. იგი (ბაგრატი) აურაცხელი ჯარით დაიძრა და მივიდა ქართველთა ქვეყანაში”[228]. ამდენად, სინამდვილეში ეს ციტატა არ იძლევა ცნობას თემურ-ლენგის საქართველოზე გამოლაშქრების შესახებ.

სტეფანე და ნერსე მეწოფელების ქრონიკაში 1387 წელს თემურ-ლენგის ლაშქრის ქართველთაგან განადგურების ასეთი ინტერპრეტაცია გვაქვს: თემურ-ლენგის ნდობით აღჭურვილი ბაგრატ მეფე საქართველოში მოდის და თან მოჰყავს ჩაღათაელთა დიდძალი ჯარი, რომელსაც იგი მთლიანად ღუპავს. შემდეგ წყარო გვაუწყებს რომ ბაგრატის ძენი _ გიორგი, კონსტანტინე და დავითი _ თემურ-ლენგის წინააღმდეგ გამოვიდნენ და თემური გაწბილებულ იქნა, რის შემდეგაც იგი განრისხებული მიდის ყარა-მაჰმად თურქმანის წინააღმდეგ სალაშქროდ[229].

თომას ცნობის მიხედვით კი ბაგრატი, რომელსაც თემურ-ლენგის ლაშქარი საქართველოში მოჰყავს, წინასწარ აფრთხილებს თავის ვაჟებს, რომ დახვდნენ მას და გაათავისუფლონ ჩაღათაელთა ხელიდან. უფლისწულები ვიწრო და გაუვალ ადგილზე უსაფრდებიან საქართველოში მომავალ ლაშქარს, რომელსაც მეფე ბაგრატი მოუძღვის. თომას ცნობით, ქართველები 12.000-იან ჩაღათას ლაშქარს ამოხოცავენ, მეფეს ათავისუფლებენ და თავის ქვეყანაში ბრუნდებიან. ამას თემურ-ლენგის ყარა-მაჰმადის წინააღმდეგ იდუმალი გალაშქრება მოჰყვება[230].

ამ ორი ცნობის მსგავსების მიუხედავად მათ შორის გარკვეული

---

[226] კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 82.
[227] თომა მეწოფელი, გვ. 20.
[228] თოვმა მეწოფეცი, გვ. 24-25.
[229] V. Nfxhu4fg, Kf4 lfjrtyo4fg fgkf4j 81d6h7, გვ. 239.
[230] თომა მეწოფელი, გვ. 20.

განსხვავებაც თვალსაჩინოა. პირველი მათგანიდან არა ჩანს ჩაღათას ლაშქრის დაღუპვის გარემოებები. საფიქრებელია, ეს მართლაც უფლისწულების დახმარებით უნდა მომხდარიყო, მაგრამ თომა მეწოფელთან ხსენებული დავით უფლისწული, მიქაელ პანარეტოსის ცნობით, ბაგრატ მეფესთან და დედოფალ ანასთან ერთად ტყვედ ჰყავდა თემურს[231] და საუკეთესო შემთხვევაში იგი მამასთან ერთად დაბრუნდებოდა სამშობლოში. სტეფანე და ნერსე მეწოფელების ქრონიკიდან კი ისე ჩანს, რომ ბაგრატ მეფის მიერ ჯარის გაწყვეტა და გიორგის, კონსტანტინესა და დავითის თემურ-ლენგის წინააღმდეგ გამოსვლა თანადროული ქმედება კი არ არის, არამედ თანმიმდევრობით მომხდარი ფაქტებია: ჯერ ბაგრატ მეფე ხოცავს ჩაღათას მრავალრიცხოვან ლაშქარს, შემდეგ კი უფლისწულები გამოდიან თემურ-ლენგის წინააღმდეგ და ეს ამბავი ქართველთა მეფის ტყვეობიდან განთავისუფლებას არ უკავშირდება. მაშასადამე, გამოდის, რომ ბაგრატისათვის გამოყოლებული ჯარის ამოხოცვის შემდეგ თემური და ქართველი უფლისწულები პირისპირ შეჰყრიან ერთმანეთს. ამ შემთხვევაში დავით უფლისწულის მოხსენიება გიორგისა და კონსტანტინეს გვერდით უფრო ბუნებრივი ჩანს. ცნობაში რომ უშუალოდ თემურზეა ლაპარაკი, ამას ჩვენი წყაროს სხვა მონაცემებიც უჭერს მხარს. აქ დაცული ცნობები ყოველთვის განასხვავებენ იმას, თუ რომელი ძალა მოქმედებს _ თემური, თემურის ლაშქარი თუ ჩაღათაელთა ლაშქარი. მითუმეტეს, როგორც ზემოთ ვნახეთ, სპარსულენოვანი წყაროების ცნობებიც ადასტურებენ თემურ-ლენგის საქართველოზე ლაშქრობას.

რაც შეეხება თემურ-ლენგის მიერ ბაგრატისათვის საქართველოში გამოყოლებული და შემდეგ დაღუპული ლაშქრის რაოდენობას, სტეფანე და ნერსე მეწოფელების ქრონიკაში აღნიშნულია მხოლოდ, რომ ბაგრატი თემურს „მრავალრიცხოვან ჯარს“ სთხოვს თავისი ქვეყნის მაჰმადიანობაზე მოსაქცევად. ხოლო შემდეგ, როდესაც ამ ჯარის განადგურებაზე უთითებენ, აღნიშნულია, რომ „მთლიანად დაღუპაო“[232]. როგორც ვნახეთ, აქ არ ჩანს დაღუპული ლაშქრის რაოდენობა. თომა მეწოფელთან კი აღნიშნულია, რომ 12.000 ჩაღათა დაიღუპა, თუმცა ავტორი იქვე

[231] გეორგიკა, ტ. VII, გვ. 212. ამ ცნობას მხარს უჭერს იოანე ჰალიფონტელის ცნობაც. იგი მოგვითხრობს, რომ მეფე-დედოფალთან ერთად ტყვეობაში იყო ერთ-ერთი უფლისწული. (იხ. Иоанн де Галонифонтибус, Сведения о народах Кавказа, გვ. 23).

[232] V. Nfxhu4fg, Kf4 lfjrtyo4fg fgkf4j 81d6h7, გვ. 239.

უმატებს „როგორც ამბობენ“-ო[233]. ჩანს, ეს ინფორმაცია თომას სხვათაგან ჰქონია გაგონილი, სარწმუნოდ მიუჩნევია და თხზულებაში შეუტანია. შესაძლოა, დაღუპული ლაშქრის რაოდენობა რამდენადმე გაზვიადებულიც იყოს, მაგრამ იმ ფაქტის უარყოფა, რომ თემურ-ლენგს ბაგრატისათვის მართლაც გამოუყოლებია ჯარი და იგი ქართველებს ამოუწყვეტიათ, ვფიქრობთ, ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს.

ბაგრატ V-ის ტყვეობიდან გათავისუფლების შესახებ ორიგინა

ლური ინფორმაციაა დაცული იოანე ჰალიფონტელის თხზულებაში. ამ

ცნობის მიხედვით თემურ-ლენგმა იცოდა რა, რომ ქართველი მეფის საგანძურში ინახებოდა “ყველაზე მშვენიერი, ძვირფასი და მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული მარგალიტები”, ყველა საშუალებით ცდილობდა მათ ხელში ჩაგდებას. ამიტომაც მეფე-დედოფლის გათავისუფლების სანაცვლოდ მან ეს მარგალიტები მოითხოვა. როდესაც უფლისწულებს ეს ამბავი გაუგიათ, შეშფოთებულან, მარგალიტები ღვთისმშობლის ხატის მოსაკაზმავად ყოფილა განკუთვნილი და მათი ხელყოფა აკრძალული იყო. მაგრამ უფლისწულებმა განჭვრიტეს, რომ უარის თქმას დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა, და იძულებული შეიქნენ მარგალიტები თემურისათვის გაეგზავნათ. მან კი მეფე-დედოფალი გაათავისუფლა[234].

სხვა სომხური თანადროული წყაროები გაცილებით უფრო მოკლედ მოგვითხრობენ თემურ-ლენგის გამოჩენისა და 1386-1387 წელს საქართველოში მისი პირველი ლაშქრობების შესახებ. გრიგოლ ტათეველი 1387 წლით დათარიღებულ ანდერძში ზოგადად აღნიშნავს: “კვლავ წარმოემართა ხორაზმად წოდებული ტომი, რომელმაც აურაცხელი ჯარით მოითარეშა და ააოხრა სომეხთა, სპარსთა, ქართველთა ქვეყნები და მთელი აღმოსავლეთი”[235]. შემდეგ კი მოთხრობილია იმ საშინელებებსა და უბედურებაზე, რაც ამ ლაშქრობის დროს დაატრიალა თემურ-ლენგის ჯარმა. ავტორი ამ დროს შაჰაპონქის გამაგრებულ ციხეს აფარებდა თავს. როდესაც თემურ-ლენგი ამ გამაგრებულ ადგილს მოულოდნელად დასხმია თავს, აღდგომის მეორე კვირიაკე ყოფილა, რომელსაც “აღდგომის განახლებას უწოდებენ”[236]. 1391 წლით დათარიღებული ლექსად ნაწერი ანდერძიც მოწმობს: ხორასნიდან მოსულმა ძაღლმა, რომელსაც თემური

[233] თომა მეწოფელი, გვ. 20.
[234] Иоанн де Галонифонтибус, Сведения о народах Кавказа, გვ. 24.
[235] @Z zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, გვ. 567.
[236] იქვე, გვ. 568.

ერქვა, “უმოწყალოდ მოსრა სომეხი და ქართველი ხალხი” და მრავალი კეთილშობილი მღვდელი, თავმდაბალი დიაკვანი და მეუდაბნოე განდეგილი ხმლით აკუწეს[237]. უფრო კონკრეტული ცნობებია შემონახული იერუსალიმის მატენადარანის №1801 ხელნაწერ კრებულში, რომელიც იუწყება, რომ 1386 წელს თემური სომხეთის აოხრების შემდეგ საქართველოში შეჭრილა, აუღია თბილისი და ტყვედჩავარდნილი ბაგრატ მეფე გაუთათრებია. მუღანში გამოზამთრების შემდეგ, ვიდრე თურქმანებზე გაილაშქრებდა, თემური სივნიეთს შესევია. ამ ცნობაში საინტერესო ის არის, რომ თემური სივნიეთში აღდგომის მთავარ დღეებში” გამოჩენილა[238]. ამის მსგავსი ცნობა მოიპოვება სამუელ ანელის პირველ გამგრძელებელთანაც[239]. 1386 წელს თბილისის აღების, ბაგრატ მეფის გათათრების შესახებ ცნობა მოიპოვება გრიგოლ ხლათელის ლექსად ნაწერ ანდერძშიც. მუღანში გამოზამთრების შემდეგ კი თემური სივნიეთში ჩანს[240]. როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, თემურ-ლენგი სივნიეთში აღდგომის შემდეგ მოდის, თანაც, როგორც ზემოხსენებული ანდერძიდან ჩანს, მისი გამოჩენა სრულიად მოულოდნელია იქ მცხოვრებთათვის. მთვარის კალენდრით 1387 წელს აღდგომა 6-7 აპრილს უწევდა, ხოლო მეორე კვირიაკე აპრილის 14-15 რიცხვებია. სპარსულენოვანი წყაროების თანახმად, თემურის მეორე 1387 წლის ლაშქრობა გაზაფხულის დამდეგს ივარაუდება ყარაბაღში გამოზამთრებისა და გოგჩის ტბის მიდამოებიდან თოხთამიშის წინააღმდეგ ლაშქრის გაგზავნასა და თავად თემურის ყარა-მაჰმად თურქმანის წინააღმდეგ წასვლას შორის. “ახალი ქართლის ცხოვრების” ცნობით, დროის ეს მონაკვეთი უფრო კონკრეტულად არის განსაზღვრული: “და ვითარცა მოიწივა თუე მარტისა, შემოიკრიბა სიმრავლე ლანგ-თემურ

და წარმოემართა კუალად ქართლად, განძჳნებული ფრიად. და დაუტევა შაქისი და მოიწივა ბარდავს, და მუნ დაუტევა ბარგი სამძიმარი, რომელი არა ეჴმარებოდა. და დაარჩივა მეომარი სპა, და თჳთ წარმოემართა სიმრავლითა ურიცხჳთა სპათათა, და მოიწივა მდინარესა ზედა მტკუარსა. და მტკუარსა ზედა გასდვა ჴიდი ნავებითა და განვლეს მას ზედა. მოვიდა შირვანშა, და შემოერტყა ჯარითა ლანგ-თემურს, და წარმოემართა საქართველოსა ზედა. მას ჟამსა იყო გაზაფხულის პირი, და ციოდა დიდად,

[237] იქვე, გვ. 589.
[238] @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, გვ. 5.
[239] Efrty8vh bfkfgf4 Fgd7yt4 Kfyfbrtygb h s6t7 lfjrfs6f7, გვ. 171.
[240] @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, გვ. 275.

და მოსწჯმდა, და სთოვდა”[241]. გამოდის, რომ 1387 წელს თემურ-ლენგს საკმაო დრო ჰქონდა საქართველოზე სალაშქროდ და ეს ლაშქრობა მარტსა და აპრილის დასაწყისში უნდა ვივარაუდოთ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ თანადროული სომხური წყაროების ცნობები ერთგვარად ამაგრებს კ. ტაბატაძის მოსაზრებებს 1387 წლის გაზაფხულზე თემურ-ლენგის მეორე შემოსევის შესახებ და ამ ლაშქრობის ქრონოლოგიური ლოკალიზაცია შესაძლებელია 1387 წლის მარტის თვეში.

სტეფანე და ნერსე მეწოფელების ქრონიკის ჩვენთვის საინტერესო ძირითადი ცნობა, რომელიც თემურ-ლენგის საქართველოში შემოსევებს უკავშირდება, სხვა საინტერესო ინფორმაციასაც შეიცავს საქართველოსა და ქართველების შესახებ. კერძოდ, თემურ-ლენგის მიერ დატყვევებულ ქართველთა მეფე ბაგრატზე თხრობის დასაწყისში ავტორი მოკლე ისტორიულ ექსკურსს აკეთებს და ქართული სამეფო საგვარეულოს წარმოშობის შესახებ მოგვითხრობს[242]. ერთი მხრივ, ცნობა ემყარება ბაგრატუნთა ებრაული წარმოშობის შესახებ სომხეთში გავრცელებულ ლეგენდას, რომელიც პირველად მოსე ხორენელის თხზულებაში დამუშავდა[243] და შემდეგ ფართოდ გავრცელდა სომხურ საისტორიო მწერლობაში. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წყაროს მიხედვით ქართველი ბაგრატიონები უშუალოდ სომეხ ბაგრატუნთა შთამომავლებად არიან გამოცხადებული. მათი საქართველოში მოსვლა დაკავშირებულია სომხეთში ანისის ბაგრატუნთა სამეფოს დაცემასთან, რასაც ბაგრატუნთა საგვარეულოს წარმომადგენელთა საქართველოში გადმოხვეწა, აქ გამეფება და გაქალკედონიტება მოჰყვა. იმის მიუხედავად, რომ ეს ცნობა არც ფაქტობრივი მონაცემებით, არც ქრონოლოგიური თვალსაზრისით არ ასახავს ისტორიულ რეალობას, იგი საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ საქართველოში ბაგრატიონთა დამკვიდრების დროისა და გარემოებათა შესახებ XIV-XV საუკუნეებში სომხეთის გარკვეულ წრეებში გავრცელებულ წარმოდგენას.

ქართველთა გამაჰმადიანებული მეფე ბაგრატი ჯარს სთხოვს თემურ-ლენგს, რათა დაბრუნდეს საქართველოში და თავისი ერი მუსლიმანობაზე მოაქციოს. წყაროს

---

[241] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 330.
[242] V. Nfxhu4fg, Kf4 lfjrtyo4fg fgkf4j 81d6h7, გვ. 239.
[243] E6wt4 K[6g rd6t4 Rtae8eh Nt6dgf7yt4 Lfjrtyohyg Kf4t7, Jqn., 1881, გვ. 71-72.

თანახმად, ესენი არიან: “დვალი, ოსეთი, იმერელი, მ[ე]გრელი, აფხაზი, სონები, ქართველი, მ[ე]სხი”[244].

თომა მეწოფელის ანალოგიური ცნობის ამ მონაკვეთს ყურადღება მიაქცია ლ. მელიქსეთ-ბეგმა, იგი აღნიშნავდა: “სომეხი ისტორიკოსის ნაამბობიდან უაღრესად საინტერესოა მითითება იმდროინდელი საქართველოს ეთნიურ შემადგენლობაზე: დვალნი, ოსნი, იმერნი, მეგრელნი, აფხაზნი, სვანნი, ქართველნი და მესხნი _ აი ის რვა ენა, რომლისგანაც მისი სიტყვით შესდგებოდა “სახლი ქართლისა” ე.ი. საქართველოს სახელმწიფო”[245]. თუმცა, მკვლევარი მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით შემოიფარგლა და საკითხი უფრო ვრცლად აღარ განუხილავს.

მართლაც, ცნობა მრავალმხრივ არის საინტერესო, მაგრამ აქ მხოლოდ რამდენსამე მომენტზე შევჩერდებით. უპირველეს ყოვლისა, ამ ჩამონათვალში ყურადღებას იპყრობს ტერმინი “ოსეთი”. იგი გარკვეული ტერიტორიული ერთეულის აღმნიშვნელია და განსხვავდება ეთნონიმებით ჩამოთვლილი საქართველოს მკვიდრი მოსახლეობისაგან. ჩანს, ქრონიკის ავტორს მისი ქართულ ეთნონიმთა შორის დასახელებისათვის გარკვეული საფუძველი ჰქონია. შესაძლოა გვევარაუდა, რომ ეს შემთხვევითი მოვლენაა და სხვა ეთნონიმთა შორის ოსი ან ოსნი უნდა ყოფილიყო. ასეთი დაშვება შესაძლებელია, თუ გავითვალისწინებთ XIII-XIV საუკუნეების განმავლობაში მთის მოძალებას ბარზე და ამ პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს, კერძოდ, მონღოლთა ხელშეწყობით დაწყებულ ოსების მიგრაციას ჩრდილო კავკასიიდან და მათ ჩამოსახლებას საქართველოს სხვადასხვა მხარეში, რასაც მათი მხრიდან ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებებიც მოჰყვებოდა-ხოლმე[246]. მაგრამ აქ რომ სწორედ ოსეთზეა საუბარი, ამას მხარს უჭერს თომა მეწოფელიც, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იგი სტეფანე და ნერსე მეწოფელების ქრონიკით სარგებლობდა თავისი თხზულების წერისას და, როგორც ზემოთ ვნახეთ, ხშირ შემთხვევაში განავრცობდა ან ცვლიდა თავისი წყაროს მონაცემებს. თავის დროზე ივ. ჯავახიშვილი თომა მეწოფელის ამ ცნობასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: “საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი ბაგრატ V-ის დროს ჩრდილოეთით კავკასიონის ქედს იქითაც-კი გადადიოდა და,

[244] V. Nfxhu4fg, Kf4 lfjrtyo4fg fgkf4j 81d6h7, გვ. 239.

[245]თომა მეწოფელი, გვ. 12. აქვე აღვნიშნავთ რომ თარგმანის პარალელურ სომხურ დედანში იკითხება: „დვალი, ოსეთი, იმერელი, მეგრელი, აფხაზი, სვანები, ქართველი, მესხი“.

[246] საქართველოს ისტრიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 581-582; გვ. 612-613.

როგორც თომა მეწოფელის ცნობითგან ჩანს, დვალეთი და ჩრდილოეთით ოსეთიც საქართველოს ჰკუთვნებია”[247]. შესაძლოა, ოსეთის დასახელება ამ ჩამონათვალში გაპირობებული იყოს არა

საქართველოზე გარკვეული სახის პოლიტიკური დამოკიდებულებით XIV საუკუნეში, არამედ იმ ძლიერი კულტურული ზეგავლენით, რომელსაც ქრისტიანობის დამკვიდრების ხანიდან განიცდიდა ოსეთი საქართველოს მხრიდან[248]. შესაძლოა, სწორედ ამ ტრადიციის ძალით უნდა გაემაჰმადიანებინა ქართველ მეფეს არა მხოლოდ თავისი ქვეყანა, არამედ ოსეთიც.

ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ სომეხი ავტორისათვის დვალი ისეთივე ქართველია, როგორც სვანი, აფხაზი, ქართველი ან მესხი. ისევე როგორც “ძეგლი ერისთავთას” ავტორი, იგი ერთმანეთისაგან მკაფიოდ განასხვავებს დვალსა და ოსს[249]. ეს კი იმის ნიშანია, რომ XIII საუკუნის 70-იანი წლებიდან ოსების საქართველოში ჩამოსახლების პროცესი, რომელიც დვალეთის გზითაც ხორციელდებოდა, და საბოლოო ჯამში მკვიდრი მოსახლეობის ნაწილობრივ ბარად ჩამოსვლას, ან ოსთაგან მათ ასიმილაციას იწვევდა, ამ პერიოდისათვის აქტიური არ ყოფილა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩამონათვალში ეთნონიმ “იმერელის” არსებობა, ვინაიდან ამ შემთხვევაში იგი არ გულისხმობს ზოგადად დასავლეთ საქართველოს მკვიდრს, რადგანაც მისგან განცალკევებით მოიხსენიებიან აფხაზი, მეგრელი, სვანი. ეს “იმერელი” საქართველოს ერთი კონკრეტული, კუთხის _ იმერეთის წარმომადგენელია. გამოდის, რომ XIV საუკუნის ბოლოს სომეხი ავტორი იცნობს დასავლეთ საქართველოს ისეთ მხარეს რომელსაც იმერეთი ჰქვია. ამ კონკრეტული მნიშვნელობით ტერმინ “იმერეთის” დამკვიდრების დროის შესახებ ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: “იმერეთი”, როგორც ქვეყანა “გაერთიანების შემდგომი ხანის წარმონაქმნია (არგვეთისა, ოკრიბისა, რაჭა-ლეჩხუმისა, ვაკე-სამოქალაქოსა და ფერსათისგან შემდგარი ქვეყანა).”[250]. ნ. ბერძნიშვილი კი ტერმინ “იმერეთის” ამ გაგებით დამკვიდრებას XII საუკუნიდან

[247] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 181.
[248] გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV საუკუნის დამლევამდე), სტალინირი, 1958, გვ. 226.
[249] შ. მესხია, ძეგლი ერისთავთა, გვ. 345.
[250] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 639.

ვარაუდობს[251]. ჩანს, XIV საუკუნის ბოლოსათვის დასავლეთ საქართველოს გარკვეული ტერიტორია უკვე გაფორმებულია იმერეთის სახელწოდებით.

განსხვავებით იმერლისგან, რომელიც არ მოიცავს ლიხთ-იმერეთის ანუ მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას, ტერმინი "ქართველი" (a6f7h) მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას აღნიშნავს. იგი არ გულისხმობს ქართლელს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ავტორი, რომელიც მშვენივრად იცნობს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას, სავარაუდოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთ კიდევ უფრო კარგად იცნობდეს. როგორც ვნახეთ, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა საკმაოდ დიფერენცირებულია ეთნონიმთა დონეზე, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის აღსანიშნავად კი ავტორი მხოლოდ ერთ ტერმინს "ქართველი" (a6f7h)-ს იყენებს.

აქვე მოკლედ შევეხებით თომა მეწოფელის თხზულებაში დაცული მსგავსი ცნობის რუსულ თარგმანს. ტ. ტერ-გრიგორიანის მიერ შესრულებული თარგმანი ასე იკითხება "**Царь Иберии** преисполненный мудрости святого духа, обманул его и сказал: Дай мне большое войско и я пойду. и захвачу всю страну, затем заставлю их [жителей] обратиться **в нашу веру**, ибо то **племя** состоит из восьми языков; я их всех подчиню **тебе** и обращу в твою веру. Они следующие: Драл, Осед, Имерел, Мекрел, Абхаз, Сонк, Иберы, Месхи"[252]. მოტანილ ფრაგმენტშიც და თარგმანის სხვა ნაკვეთებშიც სომხურ ორიგინალში დადასტურებულ ტერმინები: ofsfyt6 a6f7, a6f7h, jtyg a6f7 ნათარგმნია როგორც царь Иберии ან царь иберский, Иберы, Иберия (იბერიის მეფე ან იბერთა მეფე, იბერიელი, იბერი, ან იბერია).

ამ ტერმინების ასე თარგმნა ჩვენი აზრით სრულებით გაუმართლებელია, თომას საისტორიო ნაშრომში აღწერილი პეროდისა და ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაშიც კი თუ მივიჩნევთ, რომ მთარგმნელი ცდილობდა მაინცდამაინც XV საუკუნეში რუსულ წყაროებში დადასტურებული "საქართველოსა" და "ქართველების" აღმნიშვნელი ტერმინი დაეფიქსირებინა თარგმანში, ვინაიდან XIV საუკუნის რუსულ წყაროებში " ივერსკაია" და "ივერი"-ს პარალელურად იხმარება "გურზიისკაია" და

[251] საქართველოს ისტრიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 70.
[252] Фома Мецопский, История Тимур-Ланка и его преемников, გვ. 58.

“გურზი” საიდანაც წარმოიშვა ტერმინი “Грузия”[253]. ვფიქრობთ ზემოთგამოთქმულის გათვალისწინებით და ტერმინოლოგიური აღრევების თავიდან ასაცილებლად უფრო მართებული იქნებოდა თარგმანში ტერმინ “Грузия”-სა და მისგან ნაწარმოები შესაბამისი ტერმინების გამოყენება. ერთადერთი შემთხვევა, სადაც, ჩვენი აზრით კორექტული იქნებოდა რუსულ თარგმანში a6f7h ტერმინით Иберы თარგმნა არის ზემოთმოყვანილი ეთნონიმთა ჩამონათვალი, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ აქ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაზეა საუბარი და ანტიკური ტრადიციით სწორედ აღმოსავლეთ საქართველო მოიაზრებოდა ტერმინ “იბერია”-ში[254]. მოტანილ თარგმანში კიდევ რამდენიმე უზუსტობა იჩენს თავს. კერძოდ: უნდა იყოს 1). h u6[ge 3d6 - **в вашу веру;** 2) ა. ხუდაბაშიანის სომხურ-რუსული ლექსიკონით სიტყვა ფცს-ის პირველი მნიშვნელობებია народ, нация. შემდეგ მოდის ისეთი მნიშვნელობები როგორიცაა: поколение, колено, **племя**[255]**.** 3) მრავალწერტილით აღნიშნულია თარგმანში გამოტოვებული სიტყვები h jtyg a6f7. 4). **тебе**-ს ნაცვლად უნდა იყოს **вам.**

ჩვენი ვარაუდით, სტეფანე და ნერსე მეწოფელების ქრონიკასა და თომა მეწოფელის ისტორიაში დაფიქსირებული ასეთი სურათი ერთგვარად ასახავს XIV საუკუნის მიწურულს ქვეყნის საშინაო მდგომარეობას: საქართველოში თავს იჩენს ერთიანი სამეფოს დეცენტრალიზაციისა და მეფის ხელისუფლებისაგან განდგომის მცდელობები. ეს კი ერთიანი სამეფოს დაშლის პროცესის ახალ ეტაპს წარმოადგენს, რომელსაც თემურ-ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობები ერთვის თან და დიდწილად უწყობს ხელს საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლას.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სტეფანე და ნერსე მეწოფელების ქრონიკა მეტად საინტერესო მასალას გვთავაზობს XIV-XV საუკუნეების მიჯნის საქართველოს ისტორიის კვლევისათვის. ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია იმ სომხურ წყაროებს შორის, რომლებიც თემურ-ლენგის 1386-

---

[253] გ. პაიჭაძე, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინებირუსულ წყაროებში, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993, გვ. 288-289.

[254] ვ. ვაშაკიძე, ტერმინები “იბერია” და “იბერები” ანტიკურ წყაროებში, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, გვ. 56-57.

[255] Fvdbefgz6 Ntyzfwfm4fg, Kf4-%tyed6dg wf5f6fg, D6., 1986, გვ. 5.

1387 წლების ლაშქრობების შესახებ შეიცავენ ცნობებს და საქართველოს ისტორიაში ამ ძალზე მნიშვნელოვანი და რთული მომენტის ნათლად წარმოსახვაში გვიწყობენ ხელს.

ყარა-მაჰმად თურქმანზე გალაშქრების შემდეგ 1387 წლის ბოლოს თემურ-ლენგი ამიერკავკასიას გაეცალა და სამარყანდში დაბრუნდა. სომხური წყაროები მოგვითხრობენ, რომ სომხეთში თემურის ორწლიანი თარეშის შედეგად ქვეყანაში სასტიკი შიმშილი დაიწყო[256]. ასე დამთავრდა ამიერკავკასიისათვის თემურ-ლენგის "სამწლიანი ლაშქრობის" ციკლი.

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთ-ქმული იმის შესახებ, თუ როდის მოხდა თემურ-ლენგის მომდევნო შემოსევა საქართველოში. ქართული და სპარსული წყაროების საფუძველზე მკვლევართა ერთი ნაწილი (მ. ბროსე, დიმ. ბაქრაძე, დ. ალენი) მიიჩნევს, რომ ეს ამბავი 1393 წელს უნდა მომხდარიყო, სხვანი (დ. კარიჭაშვილი[257], კ. ტაბატაძე, დ. კაციტაძე) 1394 წელს მიიჩნევენ. ზოგი მკვლევარი (ივ. ჯავახიშვილი, დ. გვრიტიშვილი) კი თვლის, რომ თემურმა ორივე წელს (1393 და 1394 წლები) დალაშქრა საქართველო.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია აზრი რომ თემურის საქართველოში შემოსევა 1394 წლის ზაფხულში დაიწყო. მან ამჯერად სამცხე ააოხრებინა თავის სარდლებს, და როცა ისინი უკან დაბრუნდნენ მტკიცე ციხეების აღების შემდეგ თავად თემურ-ლენგმა გაილაშქრა არაგვის ხეობისაკენ, რადგან იქ ბევრი მტერი ეგულებოდა. მათი დამორჩილებისა და დახოცვის შემდეგ თბილისში წამოვიდა, საიდანაც ჯარის ნაწილი შაქის ასაოხრებლად გაგზავნა. ამ დროს თემურს აუწყეს, რომ დერბენდით თოხთამიში გადმოსულიყო და შირვანს აოხრებდა. თემურ-ლენგი სასწრაფოდ იქით გაეშურა. მაგრამ თოხთამიში გაეცალა და ბრძოლის ველმა კავკასიონის ჩრდილოეთით გადაინაცვლა[258]. თემურ-ლენგსა და ოქროს ურდოს ყაენ თოხთამიშს შორის გადამწყვეტი ბრძოლა 1395 წლის ზაფხულში მდინარე თერგის პირას მოხდა. თემურმა სასტიკად დაამარცხა თოხთამიში და მისი სამფლობელოც ააოხრა: დაანგრია ოქროს ურდოს დედაქალაქი სარაი-ბერქე, სამხრეთ რუსეთის სავაჭრო-სატრანზიტო

[256] @Z zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, გვ. 599; Otarf Rdptqd7h, Lfjrfs6tyo4tyg, გვ. 42.

[257] დ. კარიჭაშვილი მიიჩნევს, რომ 1394 წელს საქართველში თემურ-ლენგმა ორჯერ ილაშქრა. ეს ლაშქრობები მას თემურის მესამე და მეოთხე ლაშქრობებად მიაჩნია. (იხ. დ. კარიჭაშვილი, საქართველოს მოკლე ისტორია, გვ. 157-158.)

[258] დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, 139-140.

გზაზე მდებარე უმნიშვნელოვანესი ქალაქები ასტრახანი და აზოვი. უამრავი ხალხი დახოცა, დიდი სიმდიდრე და აურაცხელი ტყვე იგდო ხელთ, დერბენდისაკენ გამობრუნდა და შირვანში დაბანაკდა[259].

ჩვენს ხელთ არსებულ სომხურ წყაროებში არ მოიპოვება ინფორმაცია 1393 და 1394 წლებში თემურის საქართველოში ლაშქრობების შესახებ. მაგრამ შემორჩენილია მოკლე ცნობა, რომელიც "ხუთწლიანი ომის" პერიოდში თემურის თუ მისი ლაშქრის საქართველოში ყოფნას ადასტურებს. 1400 წელს გადაწერილი ერთი ხელნაწერის ანდერძ-მინაწერის მიხედვით 1393 წელს თემურ-ლენგი შეიჭრა ბაბილონში და ააოხრა მთელი ასურეთი, აქედან იგი კვლავ სომხეთს შემოესია. შემდეგ კი "ჰონთა კარი" ანუ დარუბანდი გაიარა და რისხვად დაატყდა თავს ჰონთა მეფეს (თოხთამიშს), დაიპყრო, ააოხრა იქაურობა და დაამარცხა მონღოლები. ამ ომში თემურ-ლენგის ლაშქარი შიმშილისგან დაუძლურებულა და რაოდენობითაც საკმაოდ შემცირებულა. გრიგოლ ხლათელი აღნიშნავს, რომ ჯარი "ალანთა კარით" დაბრუნდა და თავის ქვეყანაში წავიდაო[260]. სპარსულ წყაროებში არაფერია ნათქვამი "ალანთა კარით" დაბრუნებაზე, და არც ლაშქარს თავსდამტყდარ გასაჭირზე, მაგრამ საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ უკანა გზაზე თემურმა დალაშქრა ის ქვეყნები და ხალხები, რომლებიც კავკასიონის მთის ჩრდილოეთის კალთებზე ცხოვრობდნენ და კავშირი ჰქონდათ ქართველებთან. თემურმა მათ ქრისტიანული საკულტო ნაგებობები დაუნგრია და ისლამი მიაღებინა[261].

ალ. აბდალაძე გრიგოლ ხლათელის ზემოთ მოყვანილი ცნობის განხილვისას, ითვალისწინებდა რა არსებულ წყაროებსა და შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, აღნიშნავდა "რაკი თემურს ეწადა დარიალის ხელთგდება, მაგრამ 1394 წელს მან არაგვის ხეობაში ბრძოლა შეწყვიტა თოხთამიშ ხანის წინააღმდეგ გალაშქრების გამო, ბუნებრივია, თოხთამიშის სასტიკად დამარცხებისა და საქართველოსთან დაკავშირებული ჩრდილო კავკასიის მთიანეთის დალაშქვრის შემდეგ იგი შეეცდებოდა დარიალის ხელში ჩაგდებასაც"[262]. შესაძლოა, "ალანთა კარით" თემურის ლაშქრის

---

[259] კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 94.

[260] @Z zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, გვ. 628.

[261] კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 94.

[262] სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XVსს.) გვ. 124.

სწორედ ის ნაწილი დაბრუნდა, რომელიც ჩრდილო კავკასიას აოხრებდა, და ისიც სავარაუდოა, რომ ამ ლაშქარს 1395-1396 წლების ზამთრის გატარება მთის პირობებში საკმაოდ გაუჭირდებოდა.

სომხურ წყაროებში თემურ-ლენგის საქართველოში შემოსევებთან დაკავშირებული კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა აისახა. კერძოდ XIV საუკუნის მიწურულს მომხდარი ერთი ფაქტის გარშემო არსებული ინფორმაცია, რომელიც საქართველოს მეფის გიორგი VII-ის მიერ თემურ-ლენგის ჯარით ალყაშემორტყმული ალინჯის ციხის აღებასა და თაჰერ ჯალაირის განთავისუფლებას ეხება.

გიორგი VII-ის მიერ ალინჯის ციხეზე ლაშქრობა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რაც დადასტურდა მის თანადროულ საისტორიო მწერლობაში. ცნობები ციხის აღების შესახებ, რასაც მოჰყვა განრისხებული თემურ-ლენგის მიერ საქართველოს მორიგი დალაშქვრა, შემონახულია ქართულ, სომხურ, სპარსულ, ესპანურ და გერმანულ წყაროებში.

საკვალიფიკაციო ნაშრომის წინამდებარე მონაკვეთის მიზანი იმ სომხური წყაროების მიმოხილვაა, რომლებშიც დაცულია ცნობები გიორგი VII-ის მიერ ალინჯის აღების, სულთან თაჰერის განთავისუფლებისა და თემურ-ლენგის რეაქციის შესახებ. მაგრამ ვიდრე უშუალოდ ამ წყაროების მონაცემების განხილვაზე გადავიდოდეთ, მოკლედ მიმოვიხილავთ ქართულსა და უცხო ენებზე არსებულ მასალას ალინჯის ციხის შესახებ.

სადღეისოდ ცნობილ თანადროულ ქართულ წყაროებში ალინჯის ციხის შესახებ არსებულ ინფორმაციას ქსნის ერისთავთა გარემოცვაში შექმნილ ნაშრომებში ვხვდებით. საგვარეულო მატიანე "ძეგლი ერისთავთა"[263] ამ ეპოქის ერთადერთი შემორჩენილი ნარატიული წყაროა. ის დაწერილია 1348-1400 წლებს შორის ლარგველი სასულიერო მოღვაწის ავგაროზ ბანდაისძის მიერ. ქსნის ერისთავთა საგვარეულოს ისტორიის აღწერის ფონზე თხზულებაში დაცულია ცნობა გიორგი VII-ის მიერ ალინჯის ციხის აღების შესახებ: "მაშინ გიორგი მეფე განილაშქრა ალინჯას ყოვლითა სპითა ქართველითა, იმერელითა, მესხითა და შირვანელითა. მივიდა ალინჯას და გამოიყვანა ძე სულტნისაჲ, შეყენებული ციხესა ალინჯისასა და დაჴოცა ლაშქარი თემურ ყანისაჲ და

[263] შ. მესხია, ძეგლი ერისთავთა, გვ. 305-374.

მოვიდა განმარჯვებული". ამ ცნობის გასწვრივ არშიაზე მხედრულით მიწერილია თარიღი ა ქ˜ს 1396"[264] შემდეგ მოთხრობილია ვირშელ ერისთავის ქორწინების, თემურ-ლენგის 1400 წლის შემოსევის, ვირშელ ქსნის ერისთავის დამპყრობლის წინააღმდეგ ბრძოლის, შინაგამცემლობისა და თემურის მიერ მთელი ქვეყნის შემუსვრის შესახებ[265].

მსგავსი, ოღონდ უფრო მოკლე ცნობა შემონახულია ჩვენამდე მოღწეულ ქრონიკალური ხასიათის ჩანაწერებს შორის. იგი 1396 წლით არის დათარიღებული: "გიორგი მეფემან განილაშკრა ალინჯას ყოვლითა სპითა ქართველითა, იმერელითა, მესხითა და შირვანელითა, მივიდა ალინჯას და დაჴოცა ლაშქარი და გამოჲყვანა ძე სულტანისა, შეყენებული ციხესა ალიჯანისასა: ქ˜ეს აქეთ: ჩტჟვ, თემურყაენისა და მოვიდა გამარჯვებული. მაშინ ერისთავმან ვირშელმან მოჲყვანა მეუღლე პატიოსანი ნათესავთაგან დიდ ტომთა და სამეუფოთა, რომელსა ერქუა თამარ. მაშინ მოვიდა თემურ სამარყანელი ყოვლითა სპითა ჩაღანელ-ქობანელ-სიყალბელ-ნაროელ-ინდოსტანელითა, ყოვლი-თა სპარსეთისა და აღმოსავლეთის ლაშქრითა"[266].

1400 წლით დათარიღებული ლარგვისის პარაკლიტონის მინაწერის ავტორი გრიგოლ ბანდაისძე ავგაროზისშვილი თემურ-ლენგის შემოსევის აღწერისას მოგვითხრობს: "მეფობასა შ˜ა მეფეთ მეფისა გიორგი ბაგრატის ძისა და ერისთაობასა შინა ერისთავისა ქვენიფნეველისა ვირშელისა, ოდეს იგი დიდთა ომთაგინ გამარჯვებული ალინჯით მოვიდა მოქცევასა იდ: ქ˜კს: ᲠᲗ : მაისს :ზ: მოვიდა თემურ ბე[გ] სულტანი და მოიტანნა ყაინნი სინჩისა, ჩინეთისაჲ, ქომავეთისაჲ, ხუარაზმისაჲ, ნაროეტისა, საყალბისაჲ, ჩაღანისაჲ, სინდეთისაჲ, აღაბისაჲ, ხატაეთისჲ, ერაყისაჲ, თურქეთისაჲ, და სიმრავლისაჲ მათისაჲ არა იყო რიცხვი და მოვლეს ყოველი ქუᲮყანაჲ და წარტყუᲮნეს და დააქცივნეს საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და აღიხუნეს ყოველნი ციხენი და მოსრეს ტყუᲮ ქმნეს და მოაოჯრეს ყოველი ქუᲮყანაჲ დასავლეთიმდის"[267]. 1400 წელს თემურის შემოსევის შესახებ გვაცნობებს რკონის მონასტრის მოკლე წარწერაც[268].

---

[264] იქვე, გვ. 358.
[265] იქვე, გვ. 358-360.
[266] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი II, გვ. 201.
[267] იქვე, გვ. 204.
[268] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1982. გვ. 204.

ჩვენთვის საინტერესო მოვლენის შესახებ მოკლე ცნობები მოიპოვება ევროპელ მოგზაურთა და დიპლომატთა ნაშრომებშიც. იმ ევროპელ ავტორთა შორის, ვინც ალინჯის ციხის შესახებ შემოგვინახა ცნობები, არის ბავარიელი იოჰან შილტბერგერი. "მოგზაურობის წიგნში" შილტბერგერი ალინჯის შესახებ იმ თავში წერს, რომლის სათაურია "ქვეყნების შესახებ, სადაც მოჰყავთ აბრეშუმი, სპარსეთისა და სხვა სამეფოების შესახებ...": "არის აგრეთვე ქალაქი ალინჯა, რომელიც თემურ-ლენგმა მხოლოდ 16 წლიანი ალყის შემდეგ აიღო"-ო[269]. სხვაგან იგი წერს: ბაღდადის აღების შემდეგ "თემურ-ლენგმა ერთი ციხის წინააღმდეგ გაილაშქრა. იგი წყლით იყო გარშემორტყმული და იქ მეფის საგანძური ინახებოდა. როცა თემურმა ციხე ვერ აიღო, ბრძანა, წყალი დაეშროთ. როცა წყალი დააშრეს, ოქროთი და ვერცხლით სავსე სამი ტყვიის სკივრი იპოვნეს. თითოეული მათგანი სიგრძეში ორი საჟენი და სიგანეში ერთი საჟენი იყო. თემურმა ამ სკივრების წაღება ბრძანა. შემდეგ ციხე აიღო. იქ 15 კაცი აღმოჩნდა, რომლებიც ჩამოახრჩვეს. ციხეში კიდევ ოთხი ოქროთი სავსე სკივრი იპოვნეს, რომლებიც ასევე წაიღო თემურ-ლენგმა... შემდეგ კიდევ სამი ქალქი აიღო და აუტანელი სიცხის გამო იძულებული გახდა იმ მხარეს გასცლოდა"[270].

კიდევ ერთ ევროპელ ავტორს მოეპოვება ცნობა ალინჯის შესახებ. ეს არის რუი გონსალეს დე კლავიხო. იგი კასტილიის და ლეონის მეფის ენრიკე III დე ტრასტამარას კამერჰერი იყო და მისივე ბრძანებით ჩაუდგა სათავეში თემურ-ლენგის კარზე გაგზავნილ დიპლომატიურ მისიას.

სამარყანდისკენ მიმავალი ელჩობისათვის 1404 წლის 2 ივნისს უჩვენებიათ გზიდან ხელმარცხნივ განლაგებული ალინგის (ალინჯის) ციხესიმაგრე. კლავიხო წერს: "ის მაღალ მთაზე იყო გაშენებული, გარს ერტყა კოშკებიანი კედელი, ხოლო შიგნით უხვად იყო ვენახები, ბაღები და დათესილი მინდვრები, წყალი და საძოვრები საქონლისათვის. სულ ზემოთ კი ციხე იყო. როცა თემურბეგმა სპარსეთის სულთანი დაამარცხა, რომელსაც სულთან აჰმადი ერქვა და მისი მიწა დაიპყრო, ის ამ ციხე ალინგაში დაიმალა. [თემურბეგს] სამი წელი ჰყავდა ალყაში ის და მისი ხალხი. ხოლო შემდეგ აჰმადი გაიქცა და თავი ბაბილონის სულთანს შეაფარა, სადაც დღემდე იმყოფება"[271].

---

[269] Иоган Шильтбергер, გვ. 34.
[270] იქვე, გვ. 20.
[271] Руи Гонсалес де Клавихо, გვ. 56.

ალინჯის ციხის შესახებ ცნობები შემონახულია თემურიანთა ხანის მდიდარ სპარსულენოვან ლიტერატურაში. XV საუკუნის დასაწყისიდან თემურისა და მისი შთამომავლების დაკვეთით შექმნილ ორიგინალურ თუ კომპილაციურ საისტორიო თხზულებებში. ალინჯის ციხის შესახებ თავის ნაშრომებში მოგვითხრობენ თემურიანთა ხანის სპარსულენოვანი ისტორიოგრაფიის ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორები: ნიზამ ად-დინ შამი და შერეფ ად-დინ ალი იეზდი, აგრეთვე ჰაფეზე აბრუ, აბდ არ-რეზაყ სამარყანდი, მირხონდი და სამარყანდში მცხოვრები სირიელი არაბი იბნ არაბშაჰი. ამ უკანასკნელის მიერ არაბულად დაწერილი თხზულება დიდად განსხვავდება თავისი სულისკვეთებით ზემოთ ჩამოთვლილი თემურის მეხოტბე ისტორიკოსთა ნაშრომებისგან[272].

სპარსული წყაროების ცნობები ალინჯის ციხის, თემურ-ლენგის ხიმშიას ხეობასა და 1400 წელს საქართველოში ლაშქრობის შესახებ ვრცლად აქვს განხილული ვ. მინორსკის. ნაშრომში "ალინჯის ციხე და ხიმშიას ხეობა" მკვლევარი თემურიანთა ხანის ისტორიოგრაფიის ორი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის შარაფ ად-დინ ალი იეზდისა და იბნ არაბშაჰის ცნობების საფუძველზე აღადგენს ალინჯის ციხის ალყის პერიპეტიებს. მიმოიხილავს თემურის მიერ ალინჯის ციხის ალყის დარტყმისა და ქართველთა მიერ მისი დებლოკაციის მიზეზებსა და შედეგებს. კერძოდ, თემურის ლაშქრობას ხიმშიას ხეობაში 1399 წელსა და მის შემოსევას საქართველოში 1400 წელს. აქვე ვ. მინორსკი ცდილობს წარმოაჩინოს ქართველი დიდებულის, ხიმშიას, როლი ალინჯის ციხის აღებაში და მოახდინოს მისი სამფლობელოს _ ხიმშიას ხეობის _ ლოკალიზაცია. ამავე წყაროების საფუძველზე ალინჯის ციხისა და საქართველოში შემოსევის ისტორიას მოგვითხრობს კ. ტაბატაძე. მის ნაშრომში ცალკე თავი ეძღვნება გიორგი VII-ის მიერ ალინჯის ციხის აღებას.

სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით მოგვითხრობს ალინჯის ციხეზე ქართველთა ლაშქრობის შესახებ თავის მონოგრაფიულ ნაშრომში დ. კაციტაძე.

XVII საუკუნის ბოლოს ქართული საისტორიო მწერლობა თანდათან იწყებს აღორძინებას. ფარსადან გორგიჯანიძე პირველია იმ ავტორთა შორის, ვინც XIV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის აღწერა სცადა. იგი სპარსეთში მოღვაწეობდა.

[272] კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 15; დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 22.

თემურ-ლენგის შემოსევების აღწერისას, სადაც ალინჯის ციხეზეც არის ცნობები, ფარსადანი სპარსულენოვან წყაროს, კერძოდ, აბდ არ-რეზაყ სამარყანდის ნაშრომს იყენებდა. სპარსულენოვანი წყაროებით სარგებლობდა ვახტანგ VI-ის "სწავლულ კაცთა კომისიაც". მას ნიზამ ად-დინ შამისა და შერეფ ად-დინ ალი იეზდის "ზაფარ ნამეებით" უსარგებლია. უფრო გვიანი ხანის ქართველი ისტორიკოსები კი კომისიის მიერ შედგენილი "ახალი ქართლის ცხოვრების" მეშვეობით იყენებდნენ სპარსულენოვან წყაროებს[273].

ვახუშტი ბატონიშვილი თემურ-ლენგის შემოსევების აღწერისას ძირითადად მისდევს "სწავლულ კაცთა კომისიის" ნაშრომს. მაგრამ სწორედ გიორგი VII-ის მიერ ალინჯის აღების შესახებ თხრობისას იგი სხვა წყაროებსაც იყენებს და არშიაზე უთითებს: "ამას მოწმობს სომეხთა მატიანე ესრეთ ყოფასა მეფისა გიორგისაგან"-ო[274]. მაშასადამე ვახუშტის ხელთ ჰქონია რაღაც სომხური წყაროც. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გიორგი VII-ის მიერ ალინჯის აღების შესახებ არსებული სომხური წყაროების შესწავლის მნიშვნელობას.

ცნობები გიორგი VII-ის მიერ ალინჯის (სომხური ტრადიციით _ ერნჯაკის) ციხის აღებისა და ამის შემდეგ განვითარებული მოვლენების შესახებ შემონახულია გრიგოლ ხლათელის ანდერძ-მინაწერებში. ერნჯაკის ციხის შესახებ ინფორმაცია მოიპოვება მის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ნაშრომების ანდერძ-მინაწერებში. პირველი მათგანი დათარიღებულია 1400 წლით. აქ დაცულია მოკლე ცნობა ჰონთა მეფეზე ლაშქრობის შემდეგ თემურის ჯარების ალანთა კარით დაბრუნების შესახებ. შემდეგ ავტორი მოგვითხრობს ქართველთა მეფის გიორგის არნახულ გამარჯვებაზე. კერძოდ ერნჯაკის ციხეზე ლაშქრობასა და 13-წლიანი ალყის გარღვევის შედეგად სულთან თაჰერის განთავისუფლებაზე, რასაც თემურის საშინელი რისხვა გამოუწვევია. ასევე მოკლედ მოგვითხრობს იმ უბედურებაზე, რაც მან საქართველოს დაატეხა თავს ამ შემოსევისას[275]. შემდეგი ანდერძი 1403 წელს არის შესრულებული. გამომცემელს იგი ასე დაუსათაურებია: "თემურ-ლენგის ურდოთა ომებისა და შემოსევების ისტორია,

---

[273] დ. კაციტაძე, ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებისა და "ქართლის ცხოვრების" გაგრძელებების XV საუკუნის სპარსული წყაროები, აღმოსავლური კრებული, I, გვ. 149-166.
[274] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 272.
[275] @Z zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, ufcrd7 V. E. Nfxhu4fg, D6., 1950, გვ. 628.

აღწერილი გრიგოლ ხლათელის მიერ". ეს ანდერძი ლექსად არის დაწერილი და მასში ერნჯაკის ციხეზე ლაშქრობის ახალი დეტალებით შევსებული ცნობაც არის დაცული. კერძოდ, ნათქვამია, რომ ჩაღათას ჯარის გაქცევისა და სულთან თაჰერის განთავისუფლების შემდეგ, გიორგი VII-ს ალინჯის უკეთ დაცვაზეც იზრუნა და ციხის გარნიზონი გაამაგრა. როცა თემურ-ლენგმა ეს ამბავი გაიგო, სამარყანდიდან საქართველოს დასალაშქრად წამოვიდა. ამ ლაშქრობისას მისი აურაცხელი ჯარი სპილოებითა და "ეშმაკის მანქანებით" ყოფილა აღჭურვილი. აქვე მოთხრობილია საქართველოში თემურ-ლენგის 1399-1400 წლებში ლაშქრობის შესახებაც. ამ შემოსევის დროს ჩაღათაელებმა უამრავი ქართველი დახოცეს[276].

თემურიანთა ხანის სომხეთისა და საქართველოს შესწავლისათვის მნიშვნელოვანი წყაროა გრიგოლ ხლათელის $hmfjfuf6fg f9djh7_ "ჩვენი დროის ვაებათა ხსენება"[277]. აქ მოთხრობილია სომხეთის 1386-1422 წლების ისტორია. აქ 1386 წ. თემურის მიერ თბილისის აღებისა და ბაგრატ მეფის დატყვევების გარდა მოთხრობილია ქართველთა მეფე გიორგის დიდი გამარჯვების შესახებ, რომელიც მივიდა, გაფანტა ჩაღათა მოალყეები და გაათავისუფლა სულთან თაჰერი. როცა ეს ამბავი თემურს გაუგია, განრისხებულა და ხელახლა გამოულაშქრია საქართველოზე. აქვე გრიგოლი გვაუწყებს, 15 წლიანი ალყის შემდეგ თემურის მიერ ერნჯაკის ციხის აღებას[278]. აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ხლათელის ამ პროზაული თუ პოეტური ნაშრომების ცნობები კარგად ავსებს ერთმანეთს. ნაშრომებში ასახულია ის საერთო განწყობა და სულისკვეთება, ანუ ფსიქო-ემოციური ფონი, რაც სომხეთში სუფევდა ამ ეპოქაში.

1400 წლის თემურ-ლენგის საქართველოში შემოსევის შესახებ ცნობა არის 1401 წელს ტათევის მონასტერში გადაწერილი ხელნაწერის ანდერძშიც. კერძოდ, ნათქვამია, რომ თემური მეოთხედ შემოესია სომხეთს, შემდეგ კი შინაგამცემლობის წყალობით დაიპყრო საქართველო, ააოხრა მთელი ქვეყანა და დაანგრია ეკლესიები. ლაშქრობის შემდეგ 100.000 სულის დანაკარგი აღუწერიათ[279]. ქართველთა მიერ ერნჯაკის ციხის აღების, თემურის საქართველოში

---

[276] @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, r. F, ufcrd7 V. E. Nfxhu4fg, D6., 1955, გვ. 287- 288.

[277] იქვე, გვ. 272-286.

[278] @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, r. F, გვ. 274; 277-279.

[279] @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, r. F, გვ. 5.

შემოსევის და თბილისში დიდებული ეკლესიების დანგრევის შესახებ ცნობა მოიპოვება იერუსალიმის “მატენადარანის” №1801 ხელნაწერში. ის დაწერილი უნდა იყოს 1405 წლის ახლო ხანებში, ვინაიდან მასში აღნიშნულია თემურის გარდაცვალების ფაქტი[280].

საინტერესო ინფორმაცია არის შემონახული იერუსალიმის წმ. იაკობის მონასტრის ბიბლიოთეკის ხელნაწერ კრებულში, რომელიც XV საუკუნით თარიღდება. ცნობები ეხება: თემურ-ლენგის მიერ 1387 წელს ერნჯაკის ციხის აღების წარუმატებელ მცდელობას; 1398 წელს გიორგი VII-ისა და მისი ძმის კონსტანტინეს გალაშქრებას ერნჯაკზე და სულთან თაჰერის განთავისუფლებასა და საქართველოში წაყვანას. ამ წყაროში დაცულია ცნობა გიორგი VII-ის და ჩაღათაელების ბრძოლის შესახებ, რომელიც ერნჯაკის ციხის აღების შემდეგ მოხდა. ეს ცნობა ორიგინალურია და სხვა არცერთ წყაროში არ გვხვდება. 1400 წლით აღნიშნულია თემურ-ლენგის შემოსევა საქართველოში. აქვეა აღწერილი შინაგამცემლობასა და იმ ზიანის შესახებ, რაც ამ ლაშქრობისას განიცადა ქვეყანამ. სხვათა შორის აღნიშნულია მცხეთის საკათალიკოსო ტაძრის ძირფესვიანად დაქცევის შესახებაც[281].

ანდრეძ-მინაწერების გარდა ჩვენთვის საინტერესო ფაქტის შესახებ ცნობები არის შემონახული ვარდაპეტ კირაკოს რშტუნელის, იმავე კირაკოს ბანასერის (ფილოლოგის) მოკლე ქრონიკაში. ქრონიკა ჩვენამდე ორი რედაქციით არის მოღწეული. ჩვენთვის საინტერესო მასალა დაცულია შედარებით ადრე აღმოჩენილ რედაქციაში, რომელიც ვ. ჰაკობიანმა გამოაქვეყნა. ნაშრომში ასახულია 1248-1443 წლებს შორის მომხდარი ამბები, მაგრამ კირაკოსის ორიგინალურ ნაშრომად ის მონაკვეთია მიჩნეული, რომელიც 1381-1443 წლებს ეხება.

ალინჯის ციხის ქართველების მიერ აღებისა და თაჰერის თბილისში წაყვანის შესახებ ცნობა უთარიღოა. ის უშუალოდ ებმის 1392 წლით დათარიღებულ ცნობას, რომელიც თემურ-ლენგის მიერ ბაღდადის აღებას ეხება. 1400 წლის გასწვრივ კი

[280] იქვე, გვ. 52.
[281] Rf46 7ty7fu 3d5fs6f7 E6wt7 $futwdfg7, VI, ufcrd7 G. Lt9f6dfg, D6tyef98r, 1972, გვ. 27-28.

აღნიშნულია, რომ როცა თემურმა ეს ამბავი შეიტყო კვლავ გამოილაშქრა საქართველოზე და მრავალი ტყვე წაიყვანა თავის ქვეყანაშიო[282].

აღსანიშნავია, რომ ამ საინტერესო და სხვა სომეხი ავტორებისთვის საამაყო მოვლენის შესახებ არაფერი აქვს მოთხრობილი ამ პერიოდის სომხური ისტორიოგრაფიის ყველაზე მნიშვნელოვან წარმომადგენელს _ თომა მეწოფელს. შესაძლოა ეს ხანდაზმული ავტორის მეხსიერების ნაკლია, მაგრამ შესაძლოა მისი დუმილი მოვლენებისადმი გარკვეული დამოკიდებულების ნიშანიც იყოს.

ჩვენი აზრით, აქ სწორედ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ავტორი დუმილს ამჯობინებს, ვინაიდან ამ შემთხვევაში თომა მეწოფელი _ მემატიანე სავსებით დაჩრდილა თომა მეწოფელმა _ სომეხმა მონოფიზიტმა სასულიერო მოღვაწემ. ერთადერთი კონტექსტი, რომელშიც თომა მეწოფელი XIV საუკუნის მიწურულის ისტორიის აღწერისას ახსენებს ერნჯაკის გავარს და აქ მდებარე ქრნას მონასტერს, არის "ქრისტესმოძულე აღთარმაელთა" წინა-აღმდეგ სომეხი სასულიერო მოღვაწეების ბრძოლა[283]. ტერმინით "აღთარმა" კი სომხური წყაროები კათოლიკობაზე მოქცეულ სომხებს მოიხსენიებენ. ერნჯაკის გავარში კათოლიკობის გავრცელების ისტორია XIV საუკუნის 30-ან წლებში იწყება[284].

ჩანს, ქრნას ძმობის აქტიურმა მოღვაწეობამ საწინდარი შეუქმნა სულთანიის საარქიეპისკოპოსოს[285] წიაღში კიდევ ერთი _ ნახიჯევანის _ საეპისკოპოსოს ჩამოყალიბებას. 1377-1398 წლებში ნახიჯევანის ეპისკოპოსია იოანე ჰალიფონტელი. ვფიქრობთ, ამ მეტად საინტერესო და აქტიური მოღვაწის ნახიჯევანში ეპისკოპოსობის

---

[282] Rfg6 2frfgfufs6tyotyggd6 XIII-XIV z z., ufcrd7 A. F. Kfutw4fg, Kfj. I, D6., 1951. გვ. 118-119.

[283] Otarf Rdptqd7h, Lfjrfs6tyo4tyg, გვ. 11-13; 51-53; 56-58.

[284] 1330 წელს ერნჯაკის ციხის მახლობლად მდებარე სოფელ ქრნაში იოანე ქრნელისა და მარაღის კათოლიკე ეპისკოპოსის ბართლომეს ძალისხმევით დაარსდა დომინიკანური წესის კათოლიკური მონასტერი. ამ მონასტრის მესვეურთა მოღვაწეობა იმდენად ნაყოფიერი აღმოჩნდა, რომ როგორც კათოლიკური ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მკვლევარი ჯან რიშარი წერს, "მან სავსებით გაამართლა სულთანიის საარქიეპისკოპოსოს არსებობა და თბილისში მდებარე კათოლიკურმა მისიამაც თავისი ყურადღება სწორედ მასზე (ქრნაზე) გადაიტანა". Richard J. La papauté et les missions d' Orient au moyen âge (XIII-XV siècles), Collection de L'école Française de Rome -33, Rome, 1977, გვ. 257.

[285] დაარსებულია სულთანიაში აბუ-საიდის მმართველობის ხანაში 1317-1335 წლებს შორის პაპ იოანე XII მიერ (იხ. Иоанн де Галонифонтибус, Сведения о народах Кавказа, გვ. 10).

ხანა და თემურ-ლენგის მიერ კათოლიკე ვაჭრებისა და დიპლომატებისათვის განსაკუთრებული პრივილეგიების მინიჭება კიდევ უფრო ნაყოფიერ ნიადაგს უქმნიდა კათოლიკური მისიის მოღვაწეობას, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვებოდა ორთოდოქსი სომეხი მამების აქტიური პროტესტი. კიდევ უფრო ცხადი გახდება ერნჯაკის გავარში მიმდინარე პროცესებისადმი თომას დამოკიდებულება, თუ გავიხსენებთ, რომ 1375 წელს კილიკიის სომხური სამეფოს დაცემის შემდეგ, ყოველგვარი პოლიტიკური საფუძველი გამოეცალა კილიკიაში, სისში რომის ეკლესიასთან უნიაზე წასული საკათალიკოსო ტახტის შენარჩუნებას. თომა მეწოფელი სომეხი სასულიერო მოღვაწეების სწორედ იმ გუნდს ეკუთვნოდა, რომელიც აქტიურად იღვწოდა სისიდან საკათალიკოსო ტახტის სომხეთში დასაბრუნებლად. მან სპეციალური ნაშრომიც მიუძღვნა საკათალიკოსო ტახტის ეჩმიაწინში გადმოტანის ისტორიას. ნაშრომში იგი ჩამოთვლის თორმეტ მიზეზს, რომლის გამოც საჭირო გახდა ამ ქმედების განხორციელება: პირველ რიგში იგი კილიკიელ კათალიკოსებს ადანაშაულებს იმაში, რომ 147 წლის განმავლობაში მათ წმინდა მამების მიერ დადგენილი წესები და კანონები წაწყმიდეს. განსაკუთრებით იმის გამოა განაწყენებული, რომ კონსტანტინესა და გრიგოლ ანავარზელის **გაქალკედონიტების** შემდეგ ისინი "**აღთარმაელობის ცომში**" აღმოჩნდნენ და გარყვნილ კათალიკოსებსა და ეპისკოპოსებს სამოციქულო ხარისხისაკენ მოუწოდებდნენ[286]. ასე რომ, თომასათვის მნიშვნელოვანი იყო მოემზადებინა საკათალიკოსო ტახტის სომხეთში დაბრუნების იდეოლოგიური საფუძველი, ეჩვენებინა კათოლიკური ეკლესიის მავნე გავლენა და აესახა მის წინააღმდეგ სომხეთის სულიერი მამების ბრძოლა. XV საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში თომასთვის აქტუალური იყო, წარმოეჩინა "ორბუნებოვან აღთარმაელთა" მოძღვრების დამღუპველი შედეგები და არა ასევე ორბუნებოვანი (ქალკედონიტი) ქართველი მეფის გიორგი VII-ის წარმატება, რაც ერნჯაკის ციხის აღებაში გამოიხატა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თომა მეწოფელი არცთუ კეთილგანწყობილია ქართველი მონარქების მიმართ. ის ღიად ადანაშაულებდა საქართველოს მეფე ალექსანდრე დიდს, ვინმე ამნადინის მიერ 1438 წელს მოწამლული ბეშქენ ორბელიანის

[286] Otarf Rdptqd7h, Lfjrfs6tyo4tyg, გვ. 224.

სიკვდილში[287]. ასე რომ, XV საუკუნის ორმოციანი წლებისათვის ისეთი სარწმუნოებრივი და პოლიტიკური სულისკვეთების ავტორისათვის, როგორც თომა მეწოფელია, სავსებით ბუნებრივად ჩანს ერნჯაკის ციხეზე გიორგი VII-ის ლაშქრობის მოუხსენიებლობა. თუმცა აღსანიშნავია, რომ თომას ფრიად ემოციურად აქვს აღწერილი თემურ-ლენგის 1400 წლის შემოსევა საქართველოში[288].

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ცნობები შემონახულია XII საუკუნის ცნობილი სომეხი ისტორიკოსის სამუელ ანელის "ქრონოგრაფიის" გამგრძელებელთა ნაშრომებში. პირველი გაგრძელება მოიცავს 1257-1424 წლებს[289]. აქ დაცული ინფორმაცია თითქმის იდენტურია იერუსალიმის ზემოხსენებული ხელნაწერის ცნობისა. მეორე გამგრძელებლის ნაშრომი მოიცავს 1392-1665 წლებს[290]. ეს გაგრძელება დასაწყისიდან 1443 წლის ჩათვლით თითქმის ემთხვევა კირაკოს რშტუნელის ქრონიკის შესაბამის მონაკვეთს.

კიდევ ერთი ავტორი, ვისაც თავის თხზულებაში უხსენებია ქართველთა მიერ ალინჯის ციხის აღება, არის XVII საუკუნის ისტორიკოსი არაქელ თავრიზელი. ის XVI საუკუნის ბოლოს დაიბადა თავრიზში. არაქელის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები მხოლოდ მისი ეჩმიაწინში დამკვიდრების შემდეგ მოგვეპოვება. იგი ფილიპე კათალიკოსის მოწაფე გამხდარა. მასვე გაუგზავნია არაქელი სხვადასხვა ქვეყნებში დიპლომატიური მისიით. ამავე კათალიკოსის ბრძანებით მას ისტორიული თხზულების წერა დაუწყია 1651 წ. და 1662 წელს დაუსრულებია[291]. არაქელ თავრიზელის "ისტორია" ძირითადად 1602-1662 წლებს მოიცავს და მოგვითხრობს შაჰ-აბასის შემოსევების შესახებ სომხეთსა და მის მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ საქართველოში. ამ ძირითადი ნაწილის გარდა არაქელს თხზულების ბოლო ნაწილში მოუთავსებია თავის ხელთ არსებული სხვადასხვა დროს დაწერილი მოკლე ქრონიკები. მათ შორის წიგნის 57-ე თავში არის კირაკოს რშტუნელის ქრონიკის ის ნაწილიც, რომელიც ქართველთა მიერ ალინჯის ციხის აღების შესახებ მოგვითხრობს[292].

---

[287] Otarf Rdptqd7h, Lfjrfs6tyo4tyg, გვ. 203-205.
[288] Otarf Rdptqd7h, Lfjrfs6tyo4tyg, გვ. 106-108.
[289] Efrty8vh Bfkfgf4h Fgd7yt4 Kfyfbrtygb h S6t7 Lfjrfs6f7, გვ. 161-174.
[290] იქვე, გვ. 175-180.
[291] F5fbdv Zfa6h2d7h, Lfjrtyo4tyg, გვ. 3-4.
[292] F5fbdv Zfa6h2d7h, Lfjrtyo4tyg,, გვ. 490-491.

გიორგი VII-ის მიერ ერნჯაკის (ალინჯის) ციხეზე ლაშქრობის ამსახველი სომხური მასალა მკვლევართა სპეციალური შესწავლის საგანი არ გამხდარა მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის ისტორიის ამ უმძიმეს ეპოქაში ეს ფაქტი სასტიკი დამპყრობლის წინაღმდეგ განხორციელებული წარმატებული სამხედრო ოპერაციის იშვიათი მაგალითია. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ ზემოთ მიმოხილულ სომხურ წყაროებში დაცული ცნობები ფაქტობრივი თვალსაზრისით გაამდიდრებს ძირითადად სპარსულენოვანი მასალით აღდგენილ სურათს.

ერნჯაკის ციხე სომხეთის ერთ-ერთი ყველაზე მიუდგომელი და ძნელად ასაღები ციხესიმაგრე იყო. იგი სივნიეთის ოლქში მდებარეობდა მდინარე ერნჯაკის შუაწელში მის მარჯვენა ნაპირზე. ციხე კლდოვანი მთის წვერზე იდგა და კარგად აკონტროლებდა ირგვლივ გადაშლილ საკმაოდ ვრცელ დაბლობს[293]. ერნჯაკის ციხე ჯერ კიდევ V საუკუნიდან არის ცნობილი. მისი წარსულის შესახებ საინტერესო ცნობები აქვს დაცული XIII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ისტორიკოსს სტეფანოს ორბელიანს[294]. ამ ციხესიმაგრეში სივნიეთის მფლობელთა საგანძურიც ინახებოდა.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ერნჯაკს სტრატეგიული თვალსაზრისითაც. ის ნახიჯევანის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა და დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი ძირითადი სავაჭრო-საქარავნო გზის ერთ-ერთი პუნქტი იყო. სწორედ აქ გადიოდა ნახიჯევანიდან საქართველოსკენ მომავალი გზაც. XIV საუკუნის ბოლოსათვის ერნჯაკის ციხეს ჯალაირები ფლობდნენ. 1386 წელს თემურთან დამარცხების შემდეგ თავრიზიდან გაქცეულ აჰმად ჯალაირს აქ გაუხიზნავს თავისი სახლეული და ხაზინა[295]. სომხური წყაროების ცნობებით თემურ-ლენგს ჯერ კიდევ 1386 წელს პირველი შემოსევისას უცდია ამ ციხის აღება, მაგრამ ვერ მოუხერხებია და ალყა შემოურტყამს[296]. ციხის აღების შემდეგი მცდელობა თემურს უკვე მომდევნო წელს ჰქონია. საქართველოში ლაშქრობის შემდეგ

1387 წელს გელაქუნის ტბაზე დაბანაკებულმა თემურმა ჯერ სომეხ დიდებულთა დოფიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლები დაამარცხა და ამოხოცა, ხოლო

---

[293] O. N. Kfutw4fg, Kf4fejfgh Lfjrfufg Fmnf6kfs6tyo4tyg, D6. 1968, გვ. 211.
[294] Ejdqfggteh Ehygdf7 Dlheutlteh Lfjrtyohyg jfgg ehefufg, h vt4e igpf4df7 Ru6jhx *rhg, Rteuaf, 1861, გვ. 138.
[295] კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 98.
[296] @Z zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, გვ. 628.

შემდეგ ერნჯაკზე გაილაშქრა, მაგრამ ციხის აღება ვერ შეძლო. გრიგოლ ხლათელი ვანის ციხის ალყისა და აღების (1387 წლის სექტემბერი) ამბის შემდეგ ერნჯაკის ციხის შესახებაც იუწყება, რომ ეს ციხეც ალყაშემორტყმული ყოფილა თემურ-ლენგის ლაშქრის მიერ და განსაკუთრებით მძიმე

მდგომარეობაში იყო ზატიკიდან წმინდა ჯვრის დღესასწაულამდე, ე.ი. 1387 წლის 7 აპრილიდან 26 სექტემბრამდე, მაგრამ თემურს მისი აღება ვერ მოუხერხებია. ამასვე ადასტურებს სპარსულენოვანი წყაროც: 1387 წელს თემურმა გამაგრების ქვედა ნაწილის აღება შეძლო, მაგრამ ციხის დამცველები ციტადელში ჩაიკეტნენ[297]. ნიზამ ად-დინის ცნობით უწყლობით გათანგული მეციხოვნეები უკვე დანებებას აპირებდნენ მაგრამ ბედად წვიმა მოსულა, წყლის საცავები აუვსია და გარნიზონსაც შეუცვლია გადაწყვეტილება[298]. თემურმა მუჰამედ მირზას უბრძანა საალყო სამუშაოების დაწყება, მაგრამ ყარა-მაჰამადის შემოტევის გამო მუჰამედი თემურის ბანაკში გამოიძახეს. იბნ არაბშაჰის ცნობით პირველ ეტაპზე ციხის დაცვის სულისჩამდგმელი ვინმე ალთუნია. იგი ადგილობრივი იყო და კარგად იცნობდა ტერიტორიას. ალთუნმა თავისი სამასკაციანი გუნდით დაღალა მტერი თავისი მოულოდნელი გამოხდომებით. ერთხელაც, ალთუნის არყოფნის დროს თაჰერმა თავისი დედა ალთუნის ძმასთან უზნეო გარიგებაზე დაიყოლია და შემდეგ ორივე მოაკვლევინა. ამის გამო ალთუნის შურისძიებისა შეეშინდა და იგი ციხესიმაგრეში აღარ შეუშვა. უიმედოდ დარჩენილი ალთუნი მარანდში წავიდა, სადაც ადგილობრივმა მმართველმა მას თავი მოკვეთა და თემურს გაუგზავნა. მაგრამ თემური მეტად უკმაყოფილო იყო ამ ღალატით და მარანდის მფლობელიც სიკვდილით დასაჯა.

შემდეგი ცნობა ერნჯაკის ალყის შესახებ სომხურ წყაროებში თემურის "ხუთწლიანი ლაშქრობის" პერიოდს უკავშირდება. 1393 წელს ბაღდადისა და სირიის დალაშქვრის შემდეგ თემურ-ლენგი სომხეთში მუშის ველზე დაბანაკდა გამოსაზამთრებლად. გრიგოლ ხლათელის ცნობით 1394 წელს თემურს ავნიკისა და ბაგარანის ციხეები აუღია. ამავე დროს განუახლებია ერნჯაკის ალყაც. სპარსული წყაროების ცნობებით როცა 1394 წლის ბოლოს უფლისწული მირანშაჰი თემურის

[297] V. Minorsky, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.
[298] Rf46 7ty7fu 3d5fs6f7 E6wt7 $futwdfg7, გვ. 27; @Z zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, გვ 628; @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, r. F, გვ. 277-278; კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

ბანაკში ჩავიდა. იგი ამ დროს ალინჯის მიდამოებში იყო დაბანაკებული. მაგრამ 1395 წელს ვანის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ალათაღის საზაფხულო ბანაკის მხრიდან ყარა-იუსუფის ახალი თავდასხმის გამო თემურმა თავისი ჯარების კონცენტრაცია თავრიზში მოახდინა. მინორსკის ვარაუდით ამ დროს ალყა შესუსტებული ან მოხსნილი იყო. გრიგოლ ხლათელი გვამცნობს, რომ ჩაღათაელებმა "მტკიცე კედელი აღმართეს" ერნჯაკის გარშემო. ციხის გარშემო ქვითკირის კედლის აშენების ფაქტი დასტურდება სპარსულენოვან წყაროშიც. შარაფ ად-დინის მიხედვით თოხთამიშის დამარცხების შემდეგ სამარყანდში დაბრუნების წინ 1396 წელს თემურმა ციხის აღება უფლისწულ მირანშაჰს დაავალა და სულთან სანჯარ სეიფ ად-დინის მეთაურობით დიდი ჯარიც დაუტოვა. ამ უკანასკნელმა ციხეს მაღალი კედელი შემოავლო, რომ ვერც ვერავინ გამოსულიყო და ვერც ვერავის შეეღწია შიგნით[299].

"ხუთწლიანი ლაშქრობის" დასრულების შემდეგ თემურ-ლენგმა თავის შვილს მირანშაჰს უწყალობა "ჰულაგუს ტახტი." მის გამგებლობაში შედიოდა ორივე ერაყი, აზერბაიჯანი, არანი და მუღანი დერბენდამდე, საქართველო, სომხეთი და ქურთისტანი. თვითონ კი სამარყანდში დაბრუნდა და 1398 წელს ინდოეთის წინააღმდეგ გაილაშქრა[300].

დაახლოებით 1396 წელს მირანშაჰი ცხენიდან გადმოვარდა და გაგიჟდა. 1397 წლის ზაფხულში ის ერთბაშად აიყარა და ბაღდადში

გამაგრებული აჰმად ჯალაირის წინააღმდეგ სალაშქროდ წავიდა, მაგრამ ბაღდადამდე ორი დღის სავალზე შეჩერდა და უკან გამობრუნდა, ვინაიდან შეიტყო, რომ თავრიზში არეულობამ იჩინა თავი. მირანშაჰმა მკაცრად დასაჯა ოპოზიცია და 1397 წლის შემოდგომაზე ყოველგვარი წინასწარი გამოძიების გარეშე ლაშქარი სიდი ალი შაქისელის წინააღმდეგ დაძრა და მისი სამფლობელო ააოხრა[301].

თემურის არყოფნით სარგებლობენ მირანშაჰის სამფლობელოში შემავალი დაპყრობილი ხალხები და საერთო მტრის წინააღმდეგ აახლებენ ბრძოლას. ამიერკავკასიაში ამ ბრძოლის სათავეში საქართველოს მეფე გიორგი VII დგას. ის თავის მოკავშირესთან, მირანშაჰით უკმაყოფილო, სიდი ალი შაქისელთან ერთად ჩაღათას

---

[299] @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, r. F, გვ. 277-278. კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.
[300] დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 141.
[301] V. Minorsky, დასახ. მაშრომი, გვ. 96; Али-заде А.А., Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII-XIVвв., Баку, 1956, გვ. 388.

მრავალწლიან ალყაში მოქცეული ერნჯაკის ციხის ასაღებად და იქ მყოფი სულთან თაჰერის გასათავისუფლებლად მიდის. ერნჯაკის ციხეზე ქართველთა ეს წარმატებული ლაშქრობა სომხურ წყაროებში გიორგი მეფის დიდ და არნახულ გამარჯვებად არის შეფასებული.

იერუსალიმის წმ. იაკობის მონასტრის ბიბლიოთეკის ხელნაწერის მიხედვით გიორგი VII-ის მიერ ერნჯაკის ციხის აღება 1398 წელს მოხდა. მეფე გიორგი და მისი ძმა კონსტანტინე გაემართნენ და აიღეს ერნჯაკის ციხე, გამოიყვანეს სულთან თაჰერი და საქართველოში წაიყვანეს. მოალყეები კი გაანადგურეს. აქვე ნათქვამია, რომ ქართველებს სუმბატ ორბელიანიც ახლდა[302]. სუმბატ ორბელიანის ხსენება შემთხვევითი არ უნდა იყოს, ვინაიდან ერნჯაკის ციხე სივნიეთში მდებარეობდა და სივნიეთი კი ორბელიანთა სამფლობელო იყო.

ქრონიკის თანახმად სუმბატ ორბელიანი გუგუნის ვაჟია, ბურთელის ძის – ბეშქენის, შვილიშვილი. ორბელიანთა საგვარეულოს ამ შტოს შესახებ ცნობა 1349 წელს გადაწერილი სახარების ანდერძ-მინაწერშია დაცული[303]. XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე სომხეთში კიდევ ერთი სუმბატ ორბელიანი მოღვაწეობს. იგი ბურთელ ორბელიანის შვილიშვილი, ივანეს (იგივე ნანიკ ან ინანიკ) ვაჟი და ბეშქენ ორბელიანის მამაა. თომა მეწოფელის ცნობით თემურის მეორე შემოსევის დროს 1394 წელს სუმბატი და მისი ძმა ბურთელი იმ ოთხ სომეხ დიდებულს შორის იხსენიებიან, ვინც ომარ-მირზამ იძულებით გაამუსლიმა და სამარყანდში გაგზავნა[304]. 1400 წლისთვის ივანეს ვაჟები სუმბატი და ბურთელი ისევ სომხეთში არიან, თუმცა მათი მონაწილეობის შესახებ ერნჯაკის ციხეზე ლაშქრობში არაფერია ცნობილი. როგორც ირკვევა, XIV-XV საუკუნის მიჯნაზე ორი სუმბატ ორბელიანი ჩანს სომხეთის პოლიტიკურ ასპარეზზე და პირველი მათგანი მეორეს ბიძაშვილის შვილია.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ცნობა თარიღიანია და ზუსტად ასახელებს იმ დროს, როცა ქართველთა ლაშქარმა ერნჯაკი აიღო (1398). ეს თარიღი ერთწლიან განსხვავებას გვაძლევს გრიგოლ ხლათელის ცნობებთან შედარებით. გრიგოლ ხლათელთან ციხის აღების თარიღი ორ სხვადასხვა ანდერძ-მინაწერშია დაცული და ორივეგან 1399 წელია

[302] Rf46 7ty7fu 3d5fs6f7 E6wt7 $futwdfg7, გვ. 28.
[303] @Z zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, გვ. 375-376.
[304] Otarf Rdptqd7h, Lfjrfs6tyo4tyg, გვ. 106-108.

მითითებული. ეს თარიღები 1398 და 1399 წლები უფრო ახლოს უნდა იყოს სინამდვილესთან (ვ. მინორსკი სპარსულ წყაროებზე დაყრდნობით 1398 წელს ვარაუდობს), ვიდრე ქართულ ქრონიკასა და ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში დაფიქსირებული 1396 წელი. ვფიქრობთ, სომხური წყაროების მონაცემთა გათვალისწინება აუცილებელია გიორგი VII-ის და აჰმად ჯალაირის სახელით თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტების დათარიღებისათვისაც, რომლებიც ამჟამად ქართული წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით 1396 წლით თარიღდება[305].

გიორგის მიერ ერნჯაკის ციხის აღების შესახებ მოკლე ცნობებია დაცული იერუსალიმის ხელნაწერშიც, თუმცა ეს ამბავი 1393 და 1400 წლებს შორის არის მოქცეული და უთარიღოა. ასეთივე ვითარებაა კირაკოს რშტუნელის, სამუელ ანელის მეორე გამგრძელებლისა და არაქელ თავრიზელის თხზულებებში: ალინჯის შესახებ თხრობა 1392-1400 წლებს შორის არის ჩართული[306]. აქვე აღვნიშნავთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ნაშრომებში 1393 და 1392 წლით ყველგან თემურის მიერ ბაღდადის აღება აღინიშნება, ხოლო 1400 წლის გასწვრივ ყველგან აღნიშნულია განრისხებული თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობა. ამ თვალსაზრისით ოდნავ განსხვავდება სამუელ ანელის პირველი გამგრძელებელი. მასთან ერნჯაკის აღება და თემურის საქართველოზე ლაშქრობაც 1393-1403 წლებს შორის არის მოთხრობილი[307].

იერუსალიმის წმ. იაკობის მონასტრის ბიბლიოთეკის ხელნაწერში დაცულია მეტად საინტერესო ცნობა იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც ერნჯაკის ციხის აღების შემდეგ მომხდარა ქართველებსა და ჩაღათაელებს შორის. “ქართველი მეფე სამასი კაცით ჯერ კიდევ ციხესთან იყო, როცა მოვიდა ოცდაათ ათასზე მეტი ჩაღათაელი და ალყა შემოარტყა მათ, ისინი მდინარის პირას იმყოფებოდნენ მოუმზადებელნი, მაგრამ ეკვეთნენ მტერს და სასწაულებრივად ამოხოცეს ისინი და გაბრუნდნენ”[308]. ეს ცნობა კარგად ავსებს სპარსულენოვანი წყაროების ცნობებს: მოალყე ჯარის სარდალი სეიფ ად-

---

[305] ც. ღვაბერიძე, საქართველოს მეფის გიორგი VII-ისა და აჰმად ჯელაირის სახელით მოჭრილი მონეტების დათარიღებისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, LXI-B, თბილისი, 1991, გვ. 24.

[306] @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, r. F, გვ. 52; Rfg6 2frfgfufs6tyotyggd6 XIII-XVIII z z., გვ. 118-119; Efrty8vh Bfkfgf4h Fgd7yt4 Kfyfbrtygb h S6t7 Lfjrfs6f7, გვ. 175; F5fbdv Zfa6h2d7h, Lfjrtyo4tyg, გვ. 490-491.

[307] Efrty8vh Bfkfgf4h Fgd7yt4 Kfyfbrtygb h S6t7 Lfjrfs6f7, გვ. 171-172.

[308] Rf46 7ty7fu 3d5fs6f7 E6wt7 $futwdfg7, გვ. 28.

დინი დამარცხების შემდეგ თავრიზში გაიქცა და მირანშაჰს დახმარება სთხოვა. თავრიზიდან წამოსულ მაშველ ჯარს უფლისწული აბუბექრი ედგა სათავეში. ქართველებმა ეს ჯარიც დაამარცხეს და გაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში. აბუბექრმა ხელახლა შემოარტყა ალყა ციხეს და მის მიერ მოკლული გიორგი მეფის მოკავშირის სიდი ალი შაქისელის მოჭრილი თავი მირანშაჰს წაუღო[309]. ზემოთ ხსენებული ცნობიდან კარგად ჩანს, რომ ციხის აღების შემდეგ გიორგი VII მაშინვე არ გაბრუნებულა საქართველოში. ვინაიდან მას აქ მოუსწრო თავრიზიდან გამოგზავნილმა მაშველმა ჯარმა. სპარსულენოვანი წყაროს ცნობით ქართველები არეზისპირა სანახების მოსარბევად და ალაფის ხელში ჩასაგდებად შეყოვნებულან. ამასვე მოწმობს ვახუშტიც: "მოაოჴრნა და მოსწყჴდნა გარემონი მაჰმადიანნი, აღიღო ალაფი დიდძალი"-ო. როგორც ჩანს, საფუძველს არ იყო მოკლებული ის ინფორმაცია, რომელიც ინდოეთიდან სამარყანდში დაბრუნებულ თემურ ლენგს მიაწოდეს – "ირანის სახელმწიფოს, განსაკუთრებით კი აზერბაიჯანის და მისი ქვეშევრდომების, მდგომარეობა დაძაბუნებულია, ზოგჯერ ქართველებისა და სომხების ლაშქარი ქვეშევრდომებს აწუხებსო"[310].

რამ განაპირობა ეს ლაშქრობა, რომელსაც სომეხი ავტორები "დიდ და არნახულ" გამარჯვებას უწოდებენ და რომლის გამოც თემური კვლავ წამოვიდა საქართველოზე სალაშქროდ? სპარსულენოვანი წყაროები თემურის საქართველოში 1399-1400 წლების ლაშქრობის მიზეზად ისლამის გავრცელებას ასახელებენ[311]. სომხური წყაროები კი მიუთითებენ, რომ ამ ლაშქრობის მთავარი მიზეზი ქართველი მეფის მიერ ერნჯაკის ციხის აღება და სულთან თაჰერის გათავისუფლება იყო.

გიორგი VII-ის და მისი მოკავშირეების ამ ქმედებას ივ. ჯავახიშვილი ციხეში გამომწყვდეულთა დახმარების და გადარჩენის სურვილით ხსნიდა: "ცხადია, რომ ალინჯისა და მახლობელი სანახების მაჰმადიან მფლობელებს დახმარების თხოვნა-

[309] კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 100-101; დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 142.
[310] კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 100; ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 270; დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 142.
[311] კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

ვედრებით თვითონ მიუმართავთ საქართველოსთვის და მასაც წინანდებურად მფარველობა და დახმარება გაუწევია”[312].

ვ. მინორსკის მიხედვით თაჰერ ჯალაირს ქართველებთან მატრი-მონიული კავშირი ჰქონია, ამას გარდა მისი აზრით გარკვეული როლი უნდა ეთამაშა ჯალაირების ხაზინის დაუფლების სურვილსაც[313]. თუმცა ვფიქრობთ, რომ ესეც ვერ იქნებოდა საკმარისი საბაბი ალინჯაზე სალაშქროდ. უფრო საფუძვლიანად გვეჩვენება ის მოსაზრებები, რომლებიც თემურ-ლენგის წინააღმდეგ ქართველთა და ჯალაირთა პოლიტიკურ კავშირზე მიუთითებს. ე. მამისთვალაშვილი ამ კავშირის დამყარებას ვარაუდობს აზერბაიჯანში თემურის შეჭრიდან _ 1386 წლიდან. მისი აზრით, “როდესაც მისი (თემურის) დაპყრობითი პოლიტიკის საშიშროება ქართველებისა და ჯალაირებისათვის ერთნაირად ცხადი შეიქნა, არ არის გამორიცხული ქართველებს აჰმად ჯალაირთან შეთანხმებით ერთიანი ძალით მოეხდინათ ამ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის _ საქარ-თველოსკენ მომავალ საქარავნო გზაზე მდებარე ალინჯის _ დაცვა”[314].

კ. ტაბატაძე თვლის, რომ გიორგი VII-ის უპირველესი ამოცანა ამიერკავკასიიდან მტრის განდევნა იყო. ამის გამო მან “კავშირი გააბა ჯალაირიანთა დინასტიის წარმომადგენლებთან, რომლებიც მიუხედავად განცდილი მარცხისა, აგრძელებდნენ თემურისა და მისი მემკვიდრეების წინააღმდეგ ბრძოლას. ერთ-ერთი ასეთთაგანი ალინჯის ციხეში გამაგრებული აჰმედ ჯალაირიანის ვაჟი თაჰერი იყო”, რომელიც მომავალში საუკეთესო კანდიდატი იქნებოდა ჯალაირთა სამეფო ტახტზე და ქართველებს თემურის მემკვიდრეების წინააღმდეგ ბრძლაში დაეხმარებოდა[315]. თუმცა სომხური წყაროს ცნობით გიორგი მეფის მიერ განთავისუფლებული და მამასთან – აჰმადთან _ გაგზავნილი სულთანი თაჰერი მამას აუჯანყდა. ეს აჯანყება მარცხით დამთავრდა, “ბოროტი მამის მოღალატე კი ბაღდადში მდინარემ წაიღო”[316].

როგორც ცნობილია, ინდოეთიდან სამარყანდში დაბრუნებულმა თემურმა ახალი ლაშქრობა წამოიწყო, რომელიც “შვიდწლიანი ლაშქრობის” სახელით არის ცნობილი. ეს

---

[312] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 197.
[313]ე. მამისთვალიშვილი, იოჰან შილტბერგერის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 172.
[314] იქვე, გვ. 173.
[315] კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 98; 101.
[316] @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, r. F, გვ. 279.

ლაშქრობა საქართველოში შემოსევით დაიწყო. თემურს ჯერ კიდევ ინდოეთში ყოფნისას შეუტყვია ალინჯის ამბები. მირანშაჰის ნუქერს ბაღდადის, სირიის, ეგვიპტის, ოქროს ურდოს ამბებთან ერთად თემურისათვის ალინჯის მდგომარეობის შესახებაც მოუხსენებია[317]. სომხური წყაროების მიხედვით, როცა თემურმა შეიტყო, რა გააკეთა ქართველმა მეფემ, საშინლად განრისხდა: "ამის გამო ყიოდა მხეცივით გაცოფებული ლანგ-თემური და კვლავ მესამედ წამოვიდა აურაცხელი სიმრავლის ჯარით, მეტით ვიდრე პირველად და მეორედ". ეს ლაშქრობა 1399 წლის შემოდგომაზე დაწყებულა და გაგრძელებულა არანაკლებ 7 თვისა[318].

1400 წელს ტათევში შესრულებული ანდერძის მიხედვით ეს ლაშქრობა თემურ-ლენგის მეოთხე შემოსევად არის მიჩნეული.

საქართველოში თემურ-ლენგის 1399 და 1400 წლების შემოსევები სომხურ წყაროებში ერთ ლაშქრობად არის გაერთიანებული. "ხიმშიას ხეობაზე"[319] თემურის ლაშქრობა 1399 წლის გვიან შემოდგომაზე უნდა დაწყებულიყო. სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით იგი ერთ თვეს გაგრძელებულა. 1399 წლის 22 დეკემბრიდან მომდევნო წლის 19 თებერვლამდე _ დეის და ბაჰმანის თვეებში (ირანული მზის კალენდრის თვეები) _ თემური ყარაბაღში ჩანს. აქ მან შაჰროღს მიანდო ალინჯის ციხიდან გამოქცეული სარდლების საქმის გამოძიება. თემურის მიერ დამტკიცებული გადაწყვეტილებით ორი მათგანი გაჯოხეს, მესამეს კი _ ვინც პირველმა დატოვა ბრძოლის ველი _ სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ უფლისწულების ჩარევით მისი დანაშაული მის ორ თანამებრძოლს გადაბრალდა და სამივე მათგანს 300-300 ცხენი გადაახდევინეს ჯარიმად. მირანშაჰის სხვა სარდლების ჯარიმა კი დანაშაულის მიხედვით 50-დან 300 ცხენამდე მერყეობდა. უფლისწულმა აბუბექრმა, რომლმაც სიდი ალი შაქისელი მოკლა დიდძალი ჯილდო მიიღო[320].

ყარაბაღში გამართული ყურულთაის გადაწყვეტილებით თემური კვლავ საქართველოზე ლაშქრობას გეგმავს. იგი ბარდავში დაბანაკდა და გიორგი VII-ს მოციქული გაუგზავნა. თემური ქართველთა მეფისგან სულთან თაჰერის გაცემას

---

[317] Гийасаддин Али, Дневник похода Тимура в Индию, Москва, 1958. გვ. 175.
[318] @Z zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, გვ. 628.
[319] ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 93.
[320] V. Minorsky, დასახ. ნაშრომი, გვ. 99; დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 143.

მოითხოვდა, სანაცვლოდ კი მშვიდობას ჰპირდებოდა. გიორგი VII უარის შემდეგ თემური საქართველოს შემოესია. ამ შემოსევის ერთ-ერთი ობიექტი არაგვის ხეობა იყო[321].

1400 წლით დათარიღებული ერთი ლექსად ნაწერი ანდერძი გვამცნობს: "დიდიხნის დახშული ალანთა კარი გაიღო, მოვიდა ბოროტი და სასტიკი თემური და შეაკრთო ყველა სულიერი. მოვიდა, შემოაღწია საქართველოში, აიღო დიდი რაოდენობით ალაფი და ტყვე, მთელი ეს ქვეყანა თრთის, როგორც ბეღურა ტოტზე." როგორც ჩანს, თემურ-ლენგს არა მარტო არაგვის ხეობა დაულაშქრავს, არამედ დარიალამდეც მიუღწევია[322]. ამ ცნობას ალ. აბდალაძე გრიგოლ ხლათელის ანდერძ-მინაწერის იმ ცნობას უკავშირებს, რომელიც 1396 წელს ეხება და ჩაღათაელთა "ალანთა კარით" დაბრუნების შესახებ მოგვითხრობს[323]. მაგრამ ჰიშატაკარანის სპეციფიკიდან გამომდინარე ვფიქრობთ რომ ეს ცნობა სწორედ 1400 წლის მოვლენას ასახავს, რასაც მხარს უჭერს "ძეგლი ერისთავთას" თანადროული ცნობაც: "მოვიდა თემურ და წარმოუძღვა წინა ბურდიას-შვილი ვირშელი და შემუსრა ყოველნი ციხენი და დააქცივნა ყოველნი საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და დაფარნა ლაშქარმან მათმან ყოველნი მინდორნი მთანი და ტყენი, კლდენი და ჴევნი, და ვითარცა ზღუამან დაფარა ყოველი ესე ქვეყანაჲ და მიეწია ლაშქარი მათი ქუთათისს, და ლეკეთს და დარიალსა და მოწუეს და მოაოჴრეს ყოველი საქართველოჲ დაყარეს მძორი მკუდრისაჲ, ვითარცა მჭელი თვისაჲ"[324].

სომხური წყაროების მიხედვით თემურ-ლენგი წყვეტდა და ანადგურებდა ქართველებს. მოკლულთა რიცხვი 100.000-ზე მეტი იყო, ხოლო ტყვეთა რაოდენობა _ კიდევ უფრო მეტი. არ ითვლებოდნენ ისინი, ვისაც ცხენები თელავდნენ ან კლდიდან ყრიდნენ[325].

სომხურ წყაროებში დაცულია ცნობები შინაგამცემლობის შესახებ. ერთი ცნობით თემურს ქართველი მთავრები წამოუძღვნენ და საქართელოში შემოიყვანეს, გიორგი მეფე კი იძულებული გახდა აფხაზეთში წასულიყო. თომა მეწოფელის ცნობით, თემურ-

[321] კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 113-118; დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 144.
[322] @Z zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, გვ. 630.
[323] ალ. აბდალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.
[324] შ. მესხია, ძეგლი ერისთავთა, გვ. 359.
[325] @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, r. F, გვ. 5; 288.

ლენგის შემოსევისათვის გიორგი VII და მისი ძმები კონსტანტინე და დავითი საგანგებოდ მოემზადნენ. ქართველთა და სომეხთა მთელი მოდგმა ციხეებში შეხიზნეს, თვითონ კი ვიწრო და მიუვალ ადგილებში გამაგრდნენ. ამასობაში სამი ურჯულო და უღმრთო დიდებული შეუმჩნევლად გამოეყო მეფეს, თემურს ეახლა და გზა უჩვენა. თემურ-ლენგმა უამრავი ქრისტიანი იგდო ხელთ. დიდებულები დახოცა, ხოლო უბრალო ხალხი ტყვედ წაიყვანა. თომას ცნობით ტყვეების რაოდენობა 60.000 მეტი იყო. ბეწვზე გადარჩენილმა მეფე გიორგიმ ასი კაცი იახლა, მტრის შუაგულში შეიჭრა და მრავალი ჩაღათა დახოცა, შემდეგ კი გამაგრებულ ადგილს შეაფარა თავი. თემურის ლაშქარმა საქართველო ააოხრა, ეკლესიები დააქცია და ტყვეები წაასხა. თომას ცნობით ყოველ ხუთ ჩაღათას 20 ტყვე ჰყავდა. ბევრი მათგანი გზაში იხოცებოდა, დავრდომილებს თავს უტეხავდნენ, რომ ცოცხალად არ გადარჩენილიყვნენ. ყოველივე ეს თომას თავისი თვალით უნახავს[326].

კ. კუცია ამ ცნობას 1402 წლის შემოსევას უკავშირებს. მართლაც, ცნობაში ასახული მოვლენები თომა მეწოფელის მიხედვით თემურ-ლენგის ბაიაზეთის ბერძნულ მხარეებზე გალაშქრებისა და მისი დატყვევების წინ მოხდა. უცხოენოვანი წყაროებიდან ცნობილია, რომ 1402 წელს ილდირიმ ბაიაზეთან გადამწყვეტი ბრძოლის წინ თემურ-ლენგმა დაარღვია შამქორის ზავი და თორთუმის ციხე აიღო, მაგრამ ამჯერად მას საქართველოს წინააღმდეგ არ უწარმოებია ისეთ ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები, რაზეც მიანიშნებს თომა მეწოფელის ზამოთმოყვანილი ცნობა. თემურ-ლენგსა და ბაიაზეთ I-ს შორის გადამწყვეტი ბრძოლა 1402 წლის 28 ივლისს მოხდა. ოსმალო თურქები სასტიკად დამარცხდნენ თვით ბაიაზეთი კი ტყვედ ჩაუვარდა თემურს. სომხური წყაროების ცნობებით, თემურს იგი გალიაში დაუმწყვდევია. მაგრამ იქამდეც, კერძოდ 1400 წელს სირიისა და ბაღდადის ასაოხრებლად დაძრულმა თემურის ურდოებმა ოსმალთა სახელმწიფოს დასავლეთ ნაწილში, სავაჭრო საქარავნო გზაზე განლაგებული მდიდარი ქალაქები ერზინკა, მალათია, კემახა და სებასტია აიღეს და ააოხრეს. განსაკუთრებით სასტიკად დაისაჯა სებასტიის მოსახლეობა. სომხური წყაროების თანახმად თემურ-ლენგმა 3.000 კაცი ცოცხლად დამარხა, ქალაქი კი გაძარცვა და დაანგრია. ამ ცნობას მხარს უჭერს რუი გონსალეს კლავიხოსა და შერეფ ად-დინ ალი

[326] Otarf Rdptqd7h, Lfjrfs6tyo4tyg, გვ. 106-108; თოვმა მეწოფეცი, გვ. 48; იხ. აგრეთვე გვ. 16.

იეზდის ცნობებიც[327]. საინტერესოა, რომ საუკუნენახევრის შემდეგ ერთი სებასტიელი სომეხი ქრონისტი შაჰ-თამაზის მიერ ამ ქალაქში დატრიალებულ უბედურებას თემურ-ლენგის მიერ ჩადენილ საშინელებებს ადარებს: "მათ მიერ დატრიალებული უბედურება, აღემატებოდა ლანგ-თემურის ჩადენილს, რომლის მსგავსი, ვფიქრობ, არსად და არავის უნახავს ამქვეყნად"[328]. ვფიქრობთ, რომ თომა მეწოფელს ერთ სიუჟეტად აქვს გაერთიანებუ-ლი თემურ-ლენგსა და ბაიაზეთ I-ს შორის 1400-1402 წლებში მიმდინარე ბრძოლა.

იმ უბედურების შესახებ, რაც ქვეყანას თავს დაატყდა 1400 წელს, სხვა ცნობაც მოიპოვება: მომხდურებმა დიდად ავნეს ქვეყანას, ეკლესიები და ციხეები დაანგრიეს, მცხეთა _ საკათალიკოსო ტაძარი მიწასთან გაასწორეს, ქალაქი და ქვეყანა ააოხრეს, მამაკაცები დახოცეს, ქალები და ბავშვები ტყვედ წაასხეს[329].

ვფიქრობთ, თემურ-ლენგის მიერ სვეტიცხოვლის დანგრევის ფაქტი აისახა იოანე ჰალიფონტელის ნაშრომშიც. იმ ოცდაათზე მეტ დიდებულად ნაგებ ეკლესიას შორის, რომელიც საქართველოში თემურის სამგზისი შემოსევის შედეგად დაინგრა, ავტორი ასახელებს წმინდა სოფიას, "სადაც მისი აგების დროიდან არ შესულან არც უწმინდურნი არც მუსლიმები"[330]. ტექსტის გამომცემელი ლ. ტარდი ამ ადგილის კომენტირებისას აღნიშნავდა, რომ ვინაიდან წმინდა სოფიას სახელი უცნობია ქართული აგიოგრაფიისათვის, საქმე უნდა ეხებოდეს წმ. შუშანიკის სახელობის ეკლესიას[331]. ჩვენი აზრით, იოანეს ცნობაში დანგრეულ ეკლესიათა შორის ერთ-ერთის საგანგებოდ აღნიშვნა მიუთითებს ქვეყნისათვის მის განსაკუთრებულ კულტურულ და სულიერ მნიშვნელობაზე. საქართველოსათვის კი სვეტიცხოველია ასეთი. იოანე ჰალიფონტელის მიერ სვეტიცხოვლის წმინდა სოფიად მოხსენიებასთან დაკავშირებით კი მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეგვიძლია: ავტორი წმინდა სოფიაში კონკრეტული წმინდანის სახელობის ეკლესიას კი არ მოიაზრებს, არამედ ქრისტიანული აღმოსავლეთის ერთგვარ სიმბოლოდ ქცეული კონსტანტინოპოლის აია სოფიას ტაძრის ანალოგიით _ ღვთაებრივ სიბრძნეს. აქვე თავს იჩენს ასეთი ვარაუდიც: შესაძლოა, ჰალიფონტელის თხზულების

---

[327] Руи Гонсалес де Клавихо, გვ. 50; Бартольд В. В., Улугбек и его время, გვ. 60.
[328] Xfrx4fg7 Rhbf4dv, Kf4t7 lfjrtyohyg, K. S, გვ. 514-515.
[329] Rf46 7ty7fu 3d5fs6f7 E6wt7 $futwdfg7, გვ. 28.
[330] Иоанн де Галонифонтибус, Сведения о народах Кавказа, 1404 г., გვ. 23.
[331] იქვე გვ. 40.

ლათინმა გადამწერმა მისთვის გაუგებარი სვეტიცხოველი *შანცია შოკჰია*-დ _ სახელგანთქმული ტაძრის სახელად _ აღიქვა, მითუმეტეს, იოანე ჰალიფონტელი თხრობისას მიუთითებს, რომ რწმენის საკითხებში ქარ-თველები ბერძნების ავტორიტეტს აღიარებენ და მათი კათალიკოსები კონსტანტინოპოლის პატრიარქის უზენაესობას ცნობენ[332].

სომეხი ისტორიკოსის თქმით ტყვეთა ცოდვით იწვოდნენ "არა მხოლოდ ქრისტიანები, არამედ უცხო თესლნიც, რომლებიც ხედავდნენ ამ უცოდველ კრავებს, ჩავარდნილთ სისხლისმსმელი და ადამიანის სახის მქონე მხეცების ხელში, რომელთაც არავინ ებრალებოდათ"[333].

ერნჯაკის ციხის ალყის ხანგრძლივობის შესახებ უცხოენოვან წყაროებში ერთსულოვნება არ არის. გრიგოლ ხლათელის ცნობით თხუთმეტი წელია, სპარსულენოვანი წყაროებით ათი[334], კლავიხოს მიხედვით _ სამი, ხოლო შილტბერგერის ნაშრომში თექვსმეტი წელია დასახელებული. ჩვენ მიერ მიმოხილული სომხური წყაროების საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ მათ შორის უპირატესობა სომხურ წყაროში დასახელებულ რიცხვს უნდა მიენიჭოს. აქვე აღვნიშნავთ, რომ სომხური წყაროები არაფერს მოგვითხრობენ იმ ვითარებისა და გარემოებების შესახებ, რომელშიც მოხდა თემურ-ლენგის მიერ ერნჯაკის (ალინჯის) ციხის აღება.

სპარსული წყაროების მიხედვით უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილმა ციხის დამცველებმა კვლავ გიორგი VII-ს მიმართეს დახმარებისათვის. მანაც აღუთქვა დახმარება. ეს რომ სირიიდან მობრუნებულმა და ბაღდადზე ლაშქრობის სამზადისში მყოფმა თემურ-ლენგმა შეიტყო, სასწრაფოდ გამოგზავნა თავისი სარდლები საქართველოს დასალაშქრად, ციხის დამცველებს დახმარების იმედი

გადაეწურათ და 1401 წელს გაქცევის უშედეგო მცდელობის შემდეგ

მტერს დანებდნენ. საქართველოს ასაოხრებლად წამოსული ლაშქარი

კი კოლის მინდორზე შეყოვნდა, ამასობაში თემურიც დაბრუნდა ბაღდადიდან და შამქორში დაბანაკდა. თემურსა და გიორგი VII

---

[332] Иоанн де Галонифонтибус, Сведения о народах Кавказа, გვ. 22; 23.

[333] Rf46 7ty7fu 3d5fs6f7 E6wt7 $futwdfg7, გვ. 28; @Z zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, გვ. 628.

[334] დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 149.

შორის დიპლომატიური მოლაპარაკება გაიმართა, რაც 1401 წლის შემოდგომაზე[335] შამქორის ზავით დასრულდა. საქართველო კი თემურის ურდოების მორიგ შემოსევას გადურჩა.

თავი III

ქართლის ცხოვრება და სომხური წყაროები

"ახალი ქართლის ცხოვრება" ჩვენამდე სამი ნუსხით არის შემო-ნახული. ჯანაშვილისეული D, ჭალაშვილისეული c, და მაჩაბლისეული m. მათ შორის უძველესი არის მ. ჯანაშვილის მიერ აღმოჩენილი. "ახალი ქართლის ცხოვრების" ეს ნუსხა ჯანაშვილისეულ ხელნაწერში გვიან არის ჩაკერებული. ქაღალდისა და ხელის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ ეს ნუსხა 1721-1731 წლებს შორის უნდა იყოს დაწერილი. ამ ნუსხაში დაფიქსირებული ვახუშტი ბატონიშვილის ავტოგრაფული მინაწერები თუ საცნობარო ხასიათის შენიშვნები მოწმობს, რომ ნუსხას მეცნიერი ბატონიშვილის ხელში გამოუვლია[336].

კ. გრიგოლია ფიქრობს, რომ "ჯანაშვილისეულ ნუსხაში უფრო გვიან ჩაკერებული გაგრძელების ნაკვეთი ამ ძეგლის ის კაიხელად გადაწერილი ცალი უნდა იყოს, რომელიც მეცნიერ კაცთა კომისიას მუშაობის დამთავრებისთანავე რუსეთს გაუგზავნია ვახტანგ მეფისათვის"[337]. მკვლევრის აზრით ამ ნუსხის ოფიციალურ ხასიათზე

უნდა მიუთითებდეს "ის მრავალრიცხოვანი შენიშვნები, რომლებიც მხოლოდ მის კიდეებზეა შემორჩენილი და სხვაგან არსად არ მოიპოვება"[338]. მიუხედავად ამ მეტად მნიშვნელოვანი დადებითი მომენტისა ჯანაშვილისეული ნუსხა ნაკლულია, აქ თხრობა მხოლოდ 1534 წლამდეა მოყვანილი. ამ დანაკლისის შევსება შესაძლებელია ჭალაშვილისეული ნუსხით.

---

[335] იქვე, გვ.151.
[336] კ. გრიგოლია, ახალიქართლის ცხოვრება, გვ. 264.
[337] იქვე, გვ. 265.
[338] იქვე, გვ. 266.

მეორე ნუსხა 1731 წელს არის გადაწერილი მოსკოვში ერაჯ ჭალაშვილის მიერ. ამ უკანასკნელის დამოკიდებულება ჯანაშვილისეულ ნუსხაზე აშკარაა. ამაზე მეტყველებს ის, რომ ჯანაშვილისეულ ნუსხაში ადგილის სიმცირის გამო წვრილად მიწერილი შესავალი ნაწილი ჭალაშვილისეულ ნუსხაში გამართულად არის გადაწერილი [339].

მაჩაბლისეული ნუსხა ყველაზე უფრო გვიანდელია და თავის მხრივ დამოკიდებულია ჭალაშვილისეულზე. ამ ნუსხაში გადამწერს ჩართული აქვს ცნობები, რომლებიც მაჩაბელთა საგვარეულო მატიანედან უნდა იყოს ამოღებული და სათანადო ადგილებში ჩამატებული[340].

"მეცნიერ კაცთა" კომისიისათვის ვახტანგ VI-ს დავალებული ჰქონდა ძველთაგანვე არსებული "ქართლის ცხოვრების" შერყვნილი ადგილების შესწორება და XIV-XVII საუკუნეების ისტორიის აღწერა. ნაშრომისათვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში კომისიის მეთოდოლოგიური კრედო არის ჩამოყალიბებული: "ჟამამდე ღ˜თივ გჯრგჯნოსნისა მეფისა გიორგისამდე, ძისა თავდადებულისა მეფისა დიმიტრისამდე, ეწერათ ცხოვრებანი ქართველთანი. ხოლო ძისა მეფისა გიორგისა ძისა ბაგრატისა, არღარა წერებულ იყო ვიდრე მეფისა გიორგისა ძისა ბაგრატისამდე. ხოლო ამის ბაგრატისა და ძისა

მისისა კოსტატინესი დაეწერათ და ვპოვეთ ძუელთა წიგნთა შინა და ქუემორე რიგსა მისსა ზედა დაგჯწერია. და ესე ამბავნი მის-ზემოთნი გუჯართა და სპარსთა და სომეხთა ცხოვრებისგან გამოვიღეთ და აღვწერეთ, ხოლო მეფისა ალექსანდრესა და ძისა მისისა მეფისა კოსტატინესი და შემდგომი ძუელთა კაცთა და სპარსთა ცხოვრებისა, და ქორონიკონთა და გუჯართაგან აღგჯწერია ვიდრე მეფისა როსტომისადმდე. ხოლო მეფისა როსტომის-აქათი თჯთ თუალითა მნახველთა და მისთა ომებთა შინა მყოფთა კაცთაგან აღგჯწერია. და, რაოდენი საეჭუელ იყო, უჴმარ ვყავით, ხოლო მართალი აღგჯწერია ცხოვრებისა ბაგრატ მეფისითგან"[341].

ქართველი მკვლევრები დიდი ხანია დაინტერესდნენ, კონკრეტულად რა სპარსულ და სომხურ წყაროებს იყენებდა კომისია XIV-XV საუკუნეებისა და კერძოდ თემურ-ლენგის შემოსევების აღსაწერად. "სწავლულ კაცთა" კომისიის მიერ

[339] კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 265.
[340] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 025.
[341] ქართლის ცხოვრება, ტ. II გვ. 326.

გამოყენებული წყაროების შესახებ მსჯელობისას ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ეს წყაროები ორ მთავარ ჯგუფად იყოფა: 1) ადგილობრივ ქართულ და 2) უცხოელთა წყაროებად. "უცხოელთა წყაროებად მხოლოდ საისტორიო თხზულებები "სპარსთა და სომეხთა ცხოვრებანი "ჰქონიათ, განსაკუთ-რებით კი სპარსული საისტორიო მწერლობით უსარგებლიათ"[342].

"ახალი ქართლის ცხოვრების" სომხური წყაროს (თუ წყაროების) რაობის დადგენის საკითხი და მისი კომისიის ნაშრომთან მიმართების პრობლემა სპეციალური შესწავლის საგანი არასდროს გამხდარა.

გარდა ზემოხსენებული ზოგადი ცნობისა, სომხურ წყაროზე მითითებას ვხვდებით იქ, სადაც თავდება თხრობა თემურის ჩინგიზიდურ-ღვთიური წარმომავლობისა და მისი აღზევების შესახებ, კერძოდ: "და ესეც ლანგ-თემურ თესლისგან მათისა იყო და პატრონობდა ულუსსა რომელსამე ზედა. და პოვა ჟამი რამე ნებისა

თჳსისა და მოკლა მეფე თურქთა და მოსრნა ყოველნივე ძენი მისნი და თჳთ დაიპყრა სრულიად თურქეთი და პატრონობდა ყოველთავე ზედა" აქ ჭალაშვილისეული და მაჩაბლისეული ნუსხები უმატებენ "ცხოვრება ამა ლანგ-თემურისა ვრცლად წერილ არს ცხოვრებასა შინა სპარსთასა და სომეხთაცა სხუებრ რადმე აღუწერიათ და, ჭეშმარიტი რომელი არს, ღმერთმან უწყის"[343].

"ქართლის ცხოვრების" კრიტიკული ტექსტის გამოცემაში ეს ფრაგმენტი სქოლიოში არის გამოტანილი და გამომცემლის შემდეგი კომენტარი ახლავს: "ეს უნდა იყოს ერთ-ერთი რედაქტორის მარგინალური შენიშვნა, რომელიც შემდეგ შიგ ტექსტში ჩაურთავს გადამწერს"[344]. იმის გამო, რომ ამ ადგილას ყველაზე ძველი ჯანაშვილისეული ნუსხა ნაკლულია, შეუძლებელია ზუსტად დადგინდეს "სწავლულ კაცთა" კომისიის რედაქციაში უკვე არსებობდა ეს შენიშვნა თუ უშუალოდ ჭალაშვილის ხელთ არსებული ნუსხის რედაქტორის შენიშვნასთან გვაქვს საქმე, რომელიც თავად ერაჯ ჭალაშვილმა შეიტანა ტექსტში. ყოველ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ კომისიის ნაშრომშივე იყო დასახელებული გამოყენებული წყარო, რომელიღაც "სპარსთა

[342] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ტ. VIII გვ. 319.
[343] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 327.
[344] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 327.

ცხოვრება'' და იქვე იყოს მითითებული სხვა ალტერნატიული ინფორმაციის შემცველი წყაროც – სომხური, რომლის შინაარსი ცნობილია კომისიისთვის, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში უპირატესობას სპარსულს ანიჭებს.

თემურ-ლენგის წარმომავლობისა და ვინაობის შესახებ ცნობები მოიპოვება ანდერძ-მინაწერებსა და ნარატიულ წყაროებში. ანდერძ-მინაწერების ცნობები მეტად მოკლე და ზოგადი ხასიათისაა. უფრო კონკრეტული და სპარსულენოვანი წყაროების მონაცემებისაგან

სრულებით განსხვავებული ცნობები მოიპოვება სტეფანე და ნერსე მეწოფელების ქრონიკაში, თომა მეწოფელის თხზულებაში "ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა" და დავით ბაღეშელის ქრონიკაში, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თომას თხზულებას ემყარება.

სტეფანე და ნერსე მეწოფელების ქრონიკაში ნათქვამია, რომ თავდაპირველად თემურ-ლენგი თავრიზის მბრძანებლის მეომარი ყოფილა, შემდეგ, რაღაც მიზეზების გამო სამარყანდში გაქცეულა და იქ დიდი ავაზაკი გამხდარა, გაძლიერებულა და თავისი დაპყრობითი ლაშქრობებიც წარმატებით განუხორციელებია, და ბოლოს თავრიზიც აუღია. გაცილებით უფრო ვრცლად მოგვითხრობს იმავე ამბავს თომა მეწოფელი. თემურ-ლენგის ყაჩაღური წარსულისა და მზაკვრობის შესახებ ცნობებს მხარს უჭერს იბნ არაბშაჰისა და რუი გონსალეს დე კლავიხოს ნაშრომებში შემონახული ცნობებიც. თუ "სწავლულ კაცებს" რაიმე ამდაგვარი ინფორმაციის შემცველი სომხური წყარო ჰქონდათ ხელთ, მართლაც შეეძლოთ ეთქვათ "სომეხთაცა სხუებრ რადმე აღუწერიათ და ჭეშმარიტი რომელი არს ღმერთმან უწყის"-ო. თემურ-ლენგის წარმომავლობის შესახებ სპარსულსა და სომხურ წყაროებს შორის პირველი მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება ფსიქოლოგიურადაც და მორალურადაც სავსებით ბუნებრივია: ერთია როცა ღვთიური წარმოშობის დიდებულის მოსვლამ განაპირობა "აოხრება ქართლისა, რომელი არა სადა მოწევნილ არს ქართლსა ზედა ჭირი ესევითარი, რაოდენი ამან მოაწივა", და სხვაა უჯიშო ყაჩაღისა და ავაზაკის მიერ შენი ქვეყნის აოხრება.

"ახალ ქართლის ცხოვრებაში" შემდეგი მითითება სომხურ წყაროზე გვხვდება იქ, სადაც თემურ-ლენგის სომხეთში გამოჩენის შესახებ არის მოთხრობილი: "წარმოემართა და მოიწია სომხითად. და მოაოხრა სომხითი და ტყუე-ყო, და ჭირი დიდი მოაწია მათ

ზედა. რამეთუ ვრცლად ცხოვრება მათი ცხოვრებასა მათსა წერილ არს”[345] ამ ცნობაზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი წერდა: “სომხეთის შესახებ მოკლე ცნობები “სომეხთა ცხოვრებითგან” ამოუღიათ, სადაც ყველაფერი დაწვრილებით ყოფილა მოთხრობილი. რა თხზულება იყო ის “სომეხთა ცხოვრება”, რომელიც “სწავლულ კაცებს” ხელთ ჰქონიათ ჯერ გამორკვეული არ არის.’’ და იქვე დასძენდა, რომ ფარსადან გორგიჯანიძისაგან განსხვავებით, რომელსაც სპარსულის გარდა სხვა წყარო არ ჰქონდა, “სწავლულმა კაცებმა’’ “სომეხთა ცხოვრებაც” აიღეს წყაროდ და ამით თხრობას ცალმხრივი და ერთფეროვანი სპარსული ელფერი მოაკლეს[346].

ს. კაკაბაძე “ახალი ქართლის ცხოვრების” ამავე ციტატის საფუძველზე, “ქართლის ცხოვრების” ჩუბინაშვილისეული გამოცემის შესახებ მსჯლობისას აღნიშნავდა, რომ “ქართლის ცხოვრების” გაგრძელების საბოლოოდ შემდგენელი ამ ნაწილში, გარდა სპარსულენოვანი მასალისა, სარგებლობდა სომხური წყაროთი და ქართული მასალითაც. “სომხური მასალით სარგებლობა (ეს მასალა რამოდენადმე უნდა იყოს თომა მეწობელის ისტორიული შრომა) დასახელებულია თვით ტექსტში”[347].

იმ სომხურ წყაროებს შორის, რომლებიც თემურ-ლენგის სომხეთში პირველ შემოსევასა და ქვეყნის აოხრებაზე მოგვითხრობს, თავისი მოცულობითაც და ფაქტობრივი მონაცემებითაც კვლავ თომა მეწოფელის თხზულება გამოირჩევა. თანაც სადღეისოდ ცნობილ XIV-XVI საუკუნეების სომხურ საისტორიო მწერლობაში ეს ნაშრომი ერთად.ერთია, რომელსაც “ისტორია” შეიძლება ეწოდოს. ხოლო “ახალი ქართლის ცხოვრების” შემდგენლები შესავალში გვაუწყებენ, რომ “სომეხთა ცხოვრება” ანუ ისტორია გამოუყენებიათ.

ვახტანგ VI-ის “მეცნიერ კაცთა” კომისიის მიერ შედგენილ “ახალ ქართლის ცხოვრებაში” შემონახულ ცნობას, რომელიც ბაგრატ V-ის დატყვევებას, მის გამაჰმადიანებასა და შემდგომ მის საქართველოში დაბრუნებას ეხება, არც უშუალოდ ტექსტში და არც არშიებზე არავითარი მინიშნება არ ერთვის იმის შესახებ, თუ რა წყაროთი სარგებლობდა კომისია ამ ამბის თხრობისას. მაგრამ, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, როდესაც ფელიქს ნევესა და მარი ბროსეს ფრანგულენოვანი ნაშრომების

[345] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 327.
[346] ივ. ჯვახიშვილი, ტ. VIII, გვ. 320.
[347] ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. XII.

წყალობით ქართველ მკვლევართათვის ხელმისაწვდომი გახდა თომა მეწოფელის თხზულებაში თემურ-ლენგის საქართველოში შემოსევების შესახებ დაცული ცნობები, მათ ყურადღება მიაქციეს ქართული საისტორიო თხზულებისა და თომა მეწოფელის იმ ცნობების მსგავსებას, რომელიც თემურ-ლენგის მიერ ბაგრატ V-ის დატყვევებისა გათავისუფლების შესახებ მოგვითხრობს. საკითხის უფრო ნათლად წარმოსაჩენად მოვიტანთ ორივე თხზულების შესაბამის ცნობას.

თომა მეწოფელი:

"ხოლო ქართველი მეფე აღივსო სულიწმიდის სიბრძნით, მოატყუა ის და ეუბნება: "მომეცი სპათა სიმრავლე, რათა წავიდე საქართველოში დავიჭირო მთელი ქვეყანა და მოვაქციო თქვენს რჯლზე, რადგან რვა ტომისაგან შედგება ჩვენი ერი ყველას შენს მორჩილებასა და რჯლზე მოვიყვანო". რომლებიც არიან დვალი, ოსეთი, იმერელი, მეგრელი, აფხაზი, სვანები, ქართველი მესხი.

და მან გახარებულმა შემოსა იგი დიდი პატივით და მისცა მას სპათა სიმრავლე. იგი წარმოემართა ურიცხვი სპით და მოვიდა საქართველოში.

ხოლო იმ ბაგრატმა შეუთვალა საიდუმლოდ თავის ვაჟს გიორგის, კონსტანტინეს და დავითს, ფარულად მოსულიყვნენ მის წინაშე, დახმარებოდნენ მშობელს, რათა მათ ხელიდან დასხლდომოდა.

და თვითონ წაიყვანა ჩაღათას ჯრი და მიიყვანა უვიწროეს და ბილიკ ადგილას, და მეფის ძეები წამოვიდნენ მივიდნენ ხმალი იშიშვლეს, დახოცეს მრავალი მათგანი თორმეტათასზე მეტი, როგორც ამბობენ, აიყვანეს თავისი მამა და წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში"[348].

"ახალი ქართლის ცხოვრება"

"მაშინ მოიპოვა ღონე ესევითარი: ვინაითგან დიდად სარწმუნო უჩნდა ლანგ-თემურს და მორჩილობდა სიტყუასა მეფის ბაგრატისასა, და ჰრქუა ლანგ-თემურს: "ვინათგან ვსცან კეთილად სიმტკიცე რჯლისა შენისა, აწ მეცა მოქენე ვარ, რათამცა სრულიად მორჩილ ვყვნე რჯლისა თქუენისა მკჯრნი საქართველოსანი სრულიად.

[348] Otarf Rdptqd7h, Lfjrfs6tyo4tyg, გვ. 20-21; თოვმა მეწოფეცი, გვ. 24.

უკეთუ გნებავს მოქცევა მათი სჯლსა თქუენსა ზედა, აწ მომეც სიმრავლენი სპათა თქუენთანი და წარვალ თემთა და სამეფოთა ჩემთა, და მოვხადო კაცთა მყოფთა მთის ადგილისათა: მთიულთა, ოვსთა, დუალთა, სუანთა, აფხაზთა და ყოველივე მუნ მყოფთა, და მე დავარწმუნებ სჯულსა თქუენსა.

და ვითარცა ესმა ლანგ-თემურს განზრახვა ესე მეფისა ბაგრატისა, განიხარა სიხარულითა დიდითა, და მოსცა საბოძვარი ურიცხვი და სპანი ვითარ თორმეტი ათასი და სარდალი უჩინა, და წარმოავლინა მეფე ბაგრატ საქართველოსა ზედა.

ვითარცა მოიწივნეს კერძოთა და არეთა საქართველოსათა მაშინ გაგზავნა ჩინებული და სარწმუნო აზნაური რუს ეგნატაათაგანი და საიდუმლოდ მიუწერა მეფემან ბაგრატ ძესა თჳსსა გიორგის ესრეთ, ვითარმედ: მე მოვალ სპითა ლანგ-თემურისათა და თქუენცა შეიყარეთ სპანი საქართველოსანი და მზირად წინა შეგუემთხჳენით ერთსა სიმაგრესა და ვიწროთა გზათა ზედა, და მეცა მოვალ თქუენ თანა, და უქმნათ წინა-უკანა, და მოვსრათ პირითა მახჳლისათა და ვიძიოთ შური პირველი, რომელ ჰყვეს მათ ჩუენ ზედა.

და ყო ეგრე, ვითარცა მიუწერა მამამან მისმან, და შემოიყარნა სპანი საქართველოსანი რჩეულნი, და დაუმზირდა გიორგი ერთსა ვიწროთა გზათა და სიმაგრეთა ზედა. რა მიიწივნეს მეფე ბაგრატ და სპანი თემურ-ლენგისანი, მაშინ მიივლტოდა მეფე ბაგრატ ძისა თჳსისა თანა. და განეწყუნეს წინა-უკმო, და მიეტევნეს ქართველნი ვითარცა ლომნი, და იქმნა ბრძოლა ძლიერი. მოსრეს მოსწყჳტეს სრულიად თათარნი. და მოკუდა კაცი თორმეტი ათასი თათართაგანი, და არარა ევნო სპათა საქართველოსათა. და იძიეს შური პირველი. და წარვიდა თჳსად მეფე ბაგრატ და ძე მისი გიორგი გამარჯუებული”[349].

XV საუკუნის სომეხი ისტორიკოსისა და “სწავლულ კაცთა” კომისიის ნაშრომებში დაცული ცნობები ფაქტობრივი მონაცემების თვალსაზრისით მართლაც ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ “ახალი ქართლის ცხოვრების” ცნობა უფრო ვრცელი და დიფუზურია. მარი ბროსეს ეს ორივე ცნობა სანდოდ მიაჩნდა, მაგრამ ის არ შეხებია ამ ცნობების ურთიერთმიმართების საკითხს.

[349] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 330.

პირველად ეს საკითხი დიმ. ბაქრაძემ წამოჭრა, ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში "ახალი ქართლის ცხოვრების" საშუალებით გაჩენილი შესაბამისი ცნობის კომენტირებისას: "აქ დავძენთ, რომ თომა მეძობის ნაამბობი, ესე იგი თემურისგან საქართველოს განადგურება, ბაგრატის დატყვევება, მისგან "ხელოვნებით" ისლამის მიღება და შემდეგ 12000 თემურის ჯარის ამოჟლეტა ბაგრატის და მისი შვილის გიორგისაგან, გვიჩვენებს, რომ თომას უეჭველად ან ქართულის წყაროდამ გამოაქვს იგინი, ან თავის თვალით უნახავს ნაამბობი საქმეები. თომა 1448 წელს მოკვდა, ამიტომ თანამედროვე ვერ იქნება. ამიტომ პირველი აზრი უეჭველ მიგვაჩნია"[350].

ლ. მელიქსეთ-ბეგი საქართველოს შესახებ თომა მეწოფელის ცნობებისათვის დართულ შესავალ წერილში აღნიშნავდა, რომ ს. კაკაბაძის "მოსაზრება ა პრიორი მაინც დასაშვებია. მაგრამ უბედურება სწორედ იმაშია, რომ როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქართლის-ცხოვრების გაგრძელებათა ნაამბობი არსებითად, მეტადრე თარიღებში, განსხვავდება თომა მეწოფელის ნაამბობისგან." უფრო ქვემოთ კი დასძენდა, თომა მეწოფელის ცნობებიდან "ქართული წყაროების ნაამბობს ოდნავად ემთხვევა ის, რაც შეეხება ლანგ-თემურის მიერ 1394 წელს თბილისის მოოხრებას"[351].

ივ. ჯავახიშვილმა ბაგრატ V-ის დატყვევების შესახებ მსჯელობისას როგორც ზემოთ ვნახეთ განიხილა ქართული და სომხური წყაროების ცნობები და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ "ახალი ქართლის ცხოვრების" ეს ცნობა თომა მეწოფელის თხზულებიდან უნდა მომდინარეობდეს[352].

მკვლევართა ზემოთმოყვანილი ციტატებიდან ჩანს, ამ საკითხზე სამი ურთიერთგამომრიცხავი აზრი გამოიკვეთა: თომა მეწოფელის თხზულებაში ცნობა რაღაც ქართული წყაროს საფუძველზე ჩნდება; "ახალ ქართლის ცხოვრებასა" და თომა მეწოფელის თხზულებას შორის არავითარი კავშირი არ არის; "ახალი ქართლის ცხოვრება" თომა მეწოფელის თხზულებას იყენებს წყაროდ.

დიმ. ბაქრაძემ ზემოხსენებული მოსაზრება 1885 წელს გამოთქვა. იმ დროიდან მოყოლებული დღემდე მიკვლეული არ არის XIV-XV საუკუნეების არც ერთი ქართული საისტორიო თხზულება, რომელიც შეიცავს მსგავს ინფორმაციასა და სავარაუდოდ

---

[350] დიმ. ბაქრძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 283.
[351] ლ. მელიქსეთ-ბეგი, თომა მეწოფელი, გვ. 12.
[352] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, 189.

იქნებოდა თომა მეწოფელის წყარო ამ მოვლენის აღსაწერად. სადღეისოდ უკვე ცნობილია, რომ თომა მეწოფელი 1378 წელს დაიბადა და ის მომსწრე, უფრო ზუსტად კი, გვიანი თანამედროვე იყო მის მიერ აღწერილი მოვლენებისა. ამასთანავე თომა მეწოფელს საკუთარი მოგონებებისა და სხვათაგან გაგონილი ამბების გარდა ხელთ ჰქონდა და წყაროდ გამოიყენა XIV საუკუნის მიწურულის სომეხი სასულიერო მოღვაწეების სტეფანე და ნერსე მეწოფელების ქრონიკა, სადაც საკუთრივ სომხეთში განვითარებული მოვლენების გარდა მოთხრობილი იყო თემურ-ლენგის საქართველოში პირველი შემოსევისა და ბაგრატ V-ის დატყვევების შემდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ.

თომა მეწოფელის თხზულებისა და "ახალი ქართლის ცხოვრების" ცნობების ერთმანეთთან კავშირის უარყოფისას ლ. მელიქსეთ-ბეგმა ყურადღება გაამახვილა სომხურ და ქართულ წყაროებს შორის ქრონოლოგიური ჩარჩოების შეუსაბამობაზე. სომეხ ისტორიკოსს ჩვენთვის საინტერესო მოვლენა 1387 წლის ქვეშ აქვს მოთხრობილი, "სწავლულ კაცთა" მიხედვით კი იგივე ამბავი 1393 წელს მომხდარა.

საინტერესოა, რა ვითარებაა ამ მხრივ "ახალ ქართლის ცხოვრებასა" და "სპარსთა ცხოვრებას" შორის, რომლითაც თხზულების ამ ნაწილის წერისას სარგებლობდა "სწავლულ კაცთა" კომისია. დ. კაციტაძემ დაადგინა, რომ "სწავლულ კაცთა" კომისია სარგებლობდა ნიზამ ად-დინ შამისა და შერეფ ად-დინ ალი იეზდის "ზაფარ-ნამეებით"[353]. მათგან პირველი, ნიზამ ად-დინ შამი თემურ-

ლენგის თანამედროვე იყო და მის ნაშრომს ცენტრალური ადგილი უკავია თემურიანთა ხანის ისტორიოგრაფიაში. შამის "ზაფარ-ნამეში" მითითებულია, რომ თემურ-ლენგმა თბილისი ჰიჯრის 788 წლის (შეესაბამება 1386 წელს) შემოდგომაზე აიღო[354]. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ "ახალი ქართლის ცხოვრების" შემდგენლებს ხელთ ჰქონდათ პირველ-ხარისხოვანი სპარსული წყარო, სადაც თბილისის აღების თარიღი დაფიქსირებულია, ისინი მაინც 1393 წელს მიუთითებენ.

შესაძლოა, მათ ხელთ არსებულ ნიზამ ად-დინ შამის "ზაფარ-ნამეს" ნუსხაში რაიმე მიზეზის გამო არ იყო მითითებული თარიღი, მაგრამ ესეთივე დაშვება შესაძლოა

---

[353] დ. კაციტაძე, ფ. გორგიჯანიძისა და "ქართლის ცხოვრების" გაგრძელებების XV საუკუნის სპარსული წყაროები, გვ. 163.
[354] დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 169.

სომხურ წყაროსთან მიმართებაშიც. ამდენად ვფიქრობთ, თარიღების შეუსაბამობის არგუმენტი ასეთ შემთხვევაში საკმარისი არ უნდა იყოს თომა მეწოფელის თხზულებასა და "სწავლულ კაცთა" ნაშრომს შორის კავშირის უარსაყოფად.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ "სწავლულ კაცთა" ნაშრომში დაცული ინფორმაცია, ბაგრატ V-ის დატყვევების შემდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ, თომა მეწოფელის ცნობიდან მომდინარეობს.

ვფიქრობთ, რომ "ახალი ქართლის ცხოვრების" შემდეგენლებმა, რომლებიც ბაგრატ V-ის მეფობის აღწერისას წყაროების უკიდურესი სიმცირის პირობებში მუშაობდნენ, "სპარსთა ცხოვრება" ძირითად წყაროდ გამოიყენეს, ხოლო მათ ხელთ არსებული "სომეხთა ცხოვრებიდან" მხოლოდ იმ ცნობით ისარგებლეს, რომელიც შინაარსითა და სანდოობის ხარისხით ზუსტად ესადაგებოდა მათ მოთხოვნას.

კიდევ ერთი მომენტი, რომელიც ჩვენი აზრით შეიძლება განვიხილოთ ქართული და სომხური საისტორიო წყაროების ურთიერთმიმართების კონტექსტში, უკავშირდება ალინჯის (ერნჯაკის) ციხეს.

ზემოთ ჩვენ მიმოვიხილეთ სომხური წყაროების ცნობები, რომლებიც ქართველთა მიერ თემურ-ლენგის ჯარით ალყაშემორტყმული ალინჯის ციხიდან თაჰერ ჯალაირის გამოხსნას უკავშირდება.

ვახტანგ VI-ის "სწავლულ კაცთა კომისიის" ნაშრომში სულთან თაჰერისა და ალინჯის (ერნჯაკის) ციხის შესახებ ცნობები სრულებით განსხვავებულ სურათს გვაძლევს. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ამ ცნობებით სულთან თაჰერი და ალინჯა _ ერნჯაკი ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის. "ახალ ქართლის ცხოვრებაში" თემურ-ლენგის 1400 წლის შემოსევის ამბების თხრობის შემდეგ თაჰერის შესახებ ასეთი ცნობაა ჩართული: "მაშინ იყო თ[ა]ირ სულტანი ქუეყანისა ჯალაისა, სჯულითა მაჰმადიანი. ოდეს მოვიდა ლანგ-თემურ ქუეყანასა მისსა, აღუდგა წინა ესე თ[ა]ირ სულტანი და მრავალი ზიანი უყო სპათა ლანგ-თემურისათა; და მერმე ვეღარა დაუდგა, წამოვიდა და მოვიდა მეფესა გიორგის თანა. ხოლო მეფემან გიორგი მიუპყრო პატივი დიდი და ჰკითხევდა და უსმენდა თქმულთა მისთა". მაგრამ როცა გიორგი მეფეს თემურ-ლენგთან შერიგება და მორჩილება განუზრახავს "სულტან[მან] თაირ, ფრიად დაუშალა მისვლა და

შერიგება ლანგ-თემურისთანა. ხოლო მეფემან არა უსმინა და წარგზავნა კაცი იგი (მაჰმადიანი ისმაილი) და შესთუალა სიტყუა მორჩილობისა”[355]...

“ახალ ქართლის ცხოვრებაში” მოთხრობილია 1401 წელს თემურის ლაშქრის მიერ ერნჯაკის ციხის აღების შესახებ: “და წამოვიდნენ, მოადგნენ ერინჯაგსა, რომელ არს ციხე, რამეთუ მას ჟამსა ეპყრა იგი მეფესა ქართლისასა და დადგნენ ხანსა მრავალსა და ხანსა რაოდენსამე შეწუხდენ ციხესა შინა მყოფნი, გამოვიდეს და დაანებეს ციხე. მოვიდნენ მცველნი იგი ციხისანი და შემოეხუეწნენ და წარმოიყვანეს ციხისა თავი და უფროსი მეციხოვნე და მოჰგუარეს ლანგ-თემურს.” ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხება კიდევ ერთი ცნობა. კერძოდ, მოთხრობილია, რომ თემურ-ლენგი ბაღდადის აღების (1401) შემდეგ თავრიზში დაბრუნდა, იქედან კი “წარმოვიდა სანახავად ციხისა მის, რომელი პირველ აღიღეს ალინჯა. და წარმოემართა სპითა ურიცხჳთა და კარვებითა მრავალფერითა, მოვიდა და ნახა ციხე ალინჯა”[356]. როგორც ჩანს, “სწავლულ კაცთა კომისიის” ნაშრომში ერინჯაგი და ალინჯა არ არის იდენტიფიცირებული.

ამ თვალსაზრისით, იგივე ვითარებაა ვახუშტი ბატონიშვილის “აღწერა სამეფოსა საქართველოსა”-ში. ერნჯაკისა და ალინჯის გაიგივება აქაც არ ხდება. ამას გარდა, ციხის ორივე სახელწოდება დამახინჯებულია: ალინჯა ალიჯანის და ერნჯაკი ერიჯანის ფორმით არის წარმოდგენილი[357]. თუმცა ბატონიშვილის ნაშრომის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ აქ სულთან თაჰერის ალინჯის ციხიდან დახსნისა და თემურ-ლენგის განრისხების ამბავი მართებულად არის გადმოცემული. ვახუშტის თანახმად, გიორგი VII-ს ალინჯაზე სალაშქროდ ოვსნი, კავკასნი და ძურძუკნი გამოუყვანია _ “წარუძღუა შეკრებული სპითა თჳსითა და მიუჴდა ციხესა ალიჯანს, შემუსრა იგი და გამოიყვანა სულტანი თირ ჯალათისა პატიმარ-ყოფილი თემურისაგან”... ამ ადგილის გასწვრივ არშიაზე ვახუშტის შემდეგი მინაწერი აქვს გაკეთებული: “ამას მოწმობს სომეხთა მატიანე ესრეთ ყოფასა მეფისა გიორგისაგან”[358].

მაშასადამე იმ ძირითადი წყაროს გარდა, რომელსაც თემურ-ლენგის შემოსევების აღწერისას იყენებდა, ვახუშტის ხელთ ჰქონდა “სომეხთა მატიანე”, რომელშიც ერნჯაკის ციხე ალინჯის სახელით მოიხსენიება. ამ თვალსაზრისით ჩვენ მიერ ზემოთ

[355] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 333.
[356] იქვე, გვ. 334; 335.
[357]ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 270-272.
[358] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 270.

მიმოხილულ სომხურ წყაროებში ორი ჯგუფი გამოიყოფა: ანდერძ-მინაწერები, იერუსალიმის მატენადარანის და წმ. იაკობის მონასტრის ხელნაწერები და სამუელ ანელის პირველი გამგრძელებლის თხზულება ციხეს **ერნჯაკის** სახელით მოიხსენიებს. ხოლო კირაკოს რშტუნელის, სამუელ ანელის მეორე გამგრძელებლის და არაქელ თავრიზელის ნაშრომებში ციხე **ალინჯად** იწოდება. ზემოთვე აღვნიშნეთ, რომ ორი უკანასკნელი ავტორი თავის წყაროდ რშტუნელის ქრონიკას იყენებდა. ამგვარად ვფიქრობთ, რომ ვახუშტის ხელთ არსებული "სომხური მატიანე" XV საუკუნის პირველი ნახევრის ავტორის _ კირაკოს რშტუნელის ან მასზე დამოკიდებული ავტორის ნაშრომი უნდა იყოს. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ისიც, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კირაკოს რშტუნელის და მასზე დამოკიდებული ავტორების ნაშრომებში გიორგი VII-ის მიერ ალინჯის ციხის აღების ზუსტი თარიღი არ არის მითითებული და 1392-1400 წლებში მომხდარ ამბებშია ჩართული. ვახუშტი ბატონიშვილს ალინჯასთან დაკავშირებულ მოვლენათა აღწერა მისადაგებული აქვს 1396 წელთან. ვფიქრობთ, ვახუშტი ბატონიშვილს რომ რაიმე თარიღიანი ცნობით ესარგებლა, ეს მას აღუნიშნავი არ დარჩებოდა.

გიორგი VII-ის მიერ ალინჯის ციხის აღების შესახებ "ხუმარსწავლაში" (კალმასობა) მოგვითხრობს იოანე ბაგრატიონიც. თხზულების ერთ-ერთ ავტოგრაფში, კერძოდ ხელნაწერთა ინსტიტუტის H -2134 ხელნაწერში ალინჯის ციხის შესახებ თხრობას არშიაზე ერთვის მინაწერი: "სომეხთა მეისტორიენიცა ახსენებენ ესრეთ"[359]. ცნობილია, რომ თავისი ნაშრომის ძირითად წყაროდ იოანე ბაგრატიონი ვახუშტის საისტორიო თხზულებას იყენებდა. ამ ორი ავტორის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთების შედარებამ ცხადყო, რომ ამ შემთხვევაშიც იოანეს წყარო ვახუშტია, მაგრამ მინაწერები, რომლებიც სომხურ წყაროებზე მიუთითებენ ერთმანეთისგან განსხვავდება: ვახუშტი "სომეხთა მატიანეს" ანუ რაღაც კონკრეტულ თხზულებას მიუთითებს, ხოლო იოანეს მინაწერი მინიმუმ ორ ავტორს მაინც უნდა გულისხმობდეს. ჩანს, იოანე ბაგრატიონს ამ ცნობის სანდოობა ორ სომეხ ავტორთან მაინც გადაუმოწმებია.

[359] ბაგრატიონი იოანე, კალმასობა, კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის H-2134 ხელნაწერი, გვ. 727v.

დასკვნა

წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომში წარმოდგენილია XIV-XVII საუკუნეებში შექმნილი სომხური საისტორიო წყაროების მთელი სპექტრი _ ანდერძ-მინაწერები, მცირე ზომის ქრონიკები და ნარატიული წყაროები, სადაც დაცულია ცნობები თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობების შესახებ.

სომხური წყაროების მონაცემები შეჯერებულია ქართულ და უცხოენოვან წყაროებში არსებულ მასალასთან. ამ ურთიერთშეჯერების საფუძველზე ახლებურად შუქდება და ზუსტდება XIV-XV საუკუნის მიჯნის საქართველოს ისტორიის ზოგი საკითხი.

სომხური წყაროების ცნობები მხარს უჭერენ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ იმ მოსაზრებას, რომ ამიერკავკასიაში თემურ-ლენგის პირველი ლაშქრობისას, 1386-1387 წლებში, მან ორჯერ დალაშქრა საქართველო: პირველად _ 1386 წელს ხოლო მეორედ 1387 წელს. ამავდროულად ზუსტდება "ახალი ქართლის ცხოვრებითა" და სპარსული წყაროებით გაზაფხულზე ნავარაუდევი შემოსევის ქრონოლოგიური ჩარჩო. კერძოდ ამ ლაშქრობის ზედა ზღვრად შეიძლება მივიჩნიოთ 1387 წლის აპრილის შუა რიცხვები.

სომხური წყაროები არ შეიცავენ რაიმე ცნობას 1394 წელს თემურ-ლენგის ლაშქრობის შესახებ საქართველოში, მაგრამ მოგვითხრობენ, რომ 1395 წელს თოხთამიშის დამარცხების შემდეგ თემურ-ლენგის ლაშქარი "ალანთა კარით" დაბრუნებულა ამიერკავკასიაში.

1400 წელს საქართველოში თემურ-ლენგის ლაშქრობის მიზეზად სომხური წყაროები გიორგი VII-ის თემურ-ლენგის მრავაწლიან ალყაში მოქცეულ ერნჯაკის (ალინჯის) ციხეზე წარმატებულ ლაშქრობასა და თაჰერ ჯალაირის გათავისუფლებას ასახელებენ. ამ ცნობებით ლაშქრობა შემოდგომიდან გაზაფხულამდე არანაკლებ შვიდი

თვისა გრძელდებოდა. მაშასადამე სომეხი ავტორები 1399 წლის გვიან შემოდგომაზე "ხიმშიას ხეობაში" ლაშქრობასა და მომდევნო წელს საქართველში ფართომასშტაბიან ლაშქრობას ერთ ლაშქრობად აღიქვამენ.

XIV-XV საუკუნეების სომხური საისტორიო წყაროებისა და XVIII საუკუნის ქართული ნარატიული წყაროების: "ახალი ქართლის ცხოვრებისა" და ვახუშტი ბატონიშვილის "აღწერა სამეფოსა საქართველოსა" ურთიერთმიმართების დადგენის თვალსაზრისით გამოიკვეთა, რომ "სწავლულ კაცთა" კომისია იცნობდა თომა მეწოფელის საისტორიო თხზულებას და თემურ-ლენგის მიერ ბაგრატ V-ის დატყვევების შემდგომ განვითარებული მოვლენების აღწერისას ისარგებლა თომა მეწოფელის შესაბამისი ცნობით.

ვახუშტი ბატონიშვილმა თემურ-ლენგის შემოსევების აღწერისას თავისი ძირითადი წყაროს გარდა წყაროდ გამოიყენა XV საუკუნის სომეხი მოღვაწის კირაკოს რშტუნელის ქრონიკა (ან მასზე დამოკიდებული რომელიმე საისტორიო თხზულება), სადაც აღწერილია გიორგი VII ალინჯის ციხეზე ლაშქრობა.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე აღვნიშნავთ, რომ სტეფანე და ნერსე მეწოფელების ქრონიკა და კირაკოს რშტუნელის ქრონიკა მნიშვნელოვანი წყაროებია XIV-XV საუკუნეების მიჯნის საქართველოს ისტორიის, კერძოდ თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობების შესწავლისა და ამ პერიოდის ქართულ-სომხური ურთიერთობის კვლევისათვის.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

წყაროები

1. ახალი ქართლის ცხოვრება, I ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.

2. ახალი ქართლის ცხოვრება, II ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.

3. ბაგრატიონი იოანე, კალმასობა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის H-2134 ხელნაწერი.

4. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV. თბ., 1973.

5. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტ.VII, თბ., 1967.

6. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიური და ისტორიული ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ, ნაწ. I, ტფ., 1908.

7. თოვმა მეწოფეცი, ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კარლო კუციამ, საქართველოს ისტორიის წყაროები, თბ., 1987.

8. თომა მეწოფელი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითურთ, გამოსცა შესავალი წერილი და კომენტარი დაურთო პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა, თბ., 1937.

9. კაკაბაძე ს., ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ამონაბეჭდი „საისტორიო მოამბიდან“, წიგნი II, 1925, ტფ. 1926.

10. მესხია შოთა, ძეგლი ერისთავთა, ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 21, თბ., 1954.

11. უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1975.

12. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.

13. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970.

14. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი მეორე, ტფ., 1897.

15. Fw6fkfr4fg Fm., Zfaho Wf9hmd7ty jf6ds6tyo4tyg dy g6f f62dbi kf4 rfjdgfs6tyo4fg rd1, *1rhfphg, 1946.

16. Fgfgtyg @frfgfufs6tyo4tygi, Zty6e sfvg Ofof6f4 Rfg6 2frfgfufs6tyotyggd6 XIII-XVIII z. z., ufcrd7 A. F. Kfutw4fg, , Kfj. I, D6., 1951.

17. Fgfgtyg @frfgfufs6tyo4tygi, Rfg6 fgfufs6tyotyggd6, XIII-XVIII z. z.,ufcrd7 A. F. Kfutw4fg, Kfj. I, D6., 1951.

18. Fgfgtyg Vhat6gf7ty @frfgfufs6tyo4tygi, Rfg6 2frfgfufs6tyotyggd6 XIII-XVIII z. z., ufcrd7 A. F. Kfutw4fg, Kfj. I, D6., 1951.

19. Fgfgtyg Edwfejf7ty @frfgfufs6tyo4tygi, Rfg6 2frfgfufs6tyotyggd6

XIII-XVIII z. z., ufcrd7 A. F. Kfutw4fg, Kfj. I., D6., 1951.

20. F5fbdv Zfa6h2d7h, Lfjrtyo4tyg, Of6srfgtyo4tyg, f5f1fwfgi dy pfgtofs6tyo4tyggd6i Af6fs F5fbdv4fgh, D6., 1988.

21. S6hst6 Ufrfnd7ty nrwfs6fp @frfgfufs6tyo4tygi, Rfg6

2frfgfufs6tyotyggd6, XIII-XVIII z. z., ufcrd7 A. F. Kfutw4fg, Kfj. II. D6., 1956.

22. Zfaho Wf9hmd7ty @frfgfufs6tyo4tyg, Rfg6 2frfgfufs6tyotyggd6 XIII-XVIII z.z., ufcrd7 A. F. Kfutw4fg, , Kfj. II. D6., 1956.

23. *6tyef9drh Rfjdgfzf6fgh №1801 3d5fsh6, @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h

khmfjfuf6fggd6, ufcrd7 V.E. Nfxhu4fg, r. F, D6., 1955.

24. Otarf Rdptqd7ty $hmfjfuf6fg, k6fjf6fud7 hy6 4f6f1fwfgta Uf6fldj Utejfgdfg7, Oh]., 1892.

25. Otarf Rdptqd7h, Lfjrfs6tyo4tyg, fmnfjfeh6tyo4frw Vdatg Nfxhu4fgh, D6. 1999.

26. Uh6fute %mjtygd7ty @frfgfufs6tyo4tyg, Kf4 lfjrtyo4fg fgkf4j 81d6h7, k6fjf6fud7 V. Nfxhu4fg, Lfjrf-Wfgfeh6fufg Kfgzde, №4, D6., 1972.

27. Uh6fute %mjtygd7ty @frfgfufs6tyo4tygi, Rfg6 2frfgfufs6tyotyggd6 XIII-

XVIII z. z., ufcrd7 A. F. Kfutw4fg, Kfj. I. D6., 1951.

28. Kf67rtygb S8t6sf4 af6zfldjh dy lfjfenfghb S6hst6h Jfodyf7ty, @Z zf6h

Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, ufcrd7 V.E. Nfxhu4fg, D6., 1950.

29. Rf46 7ty7fu 3d5fs6f7 E6wt7 $futwdfg7, VI, ufcrd7 G. Lt9f6dfg,

D6tyef98r, 1972.

30. $hmfjfuf6fg F98jh7, S6hst6h nvfod7yt4, lfjrfufg ahlfefgtyohyg,

k6fjf6fud7 S^. Nfvfodfg7, Af9f6mflfj, 1897.

31. $hmfjfuf6fg f9djh7 h 2frfgfuhe rd6tyr, ct6 fef7dfv 8 S6hst6 af6zfldjh, t6 rfufgtyg Pd6dg7 utxh Nvfod7h, @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, ufcrd7 V.E. Nfxhu4fg, r. F, D6., 1955.

32. $hmfjfuf6fggd6i №719, №725, №734, №783, №784, №785, @Z zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, ufcrd7 V.E. Nfxhu4fg, D6., 1950.

33. $hmfjfuf6fggd6 №2, №103, @D zf6h Kf4d6dg 3d5fs6d6h khmfjfuf6fggd6, ufcrd7 V.E. Nfxhu4fg, r. F, D6., 1955.

34. Efrty8vh Bfkfgf4h Fgd7yt4 Kfyfbrtygb h S6t7 Lfjrfs6f7, 4f5f1fwfgta, kfrdrfjtyo4frw, 4fydvafpgd6ta dy pfgtotyohyggd6ta F6mfu J86\rhbdvdfgh, Af9f6mflfj, 1893.

35. Ejdqfgte dy Gd6ede Rdptqd7hgd6h @frfgfufs6tyo4tyg, Kf4 lfjrtyo4fg

fgkf4j 81d6h7, k6fjf6fud7 V. Nfxhu4fg, Lfjrf-Wfgfeh6fufg Kfgzde,

№4, D6., 1972.

36. Ejdqfggteh Ehygdf7 Dlheutlteh Lfjrtyohyg Jfgg Ehefufg, h vt4e igpf4df7

Ru6jhx *rhg, Rteuaf, 1861.

37. E6wt4 K[6g rd6t4 Rtae8eh Nt6dgf7yt4 Lfjrtyohyg Kf4t7, Jqn., 1881.

38. &ty7fu 3d5fs6f7 Rfmjt7h fgafg Rfjdgfzf6fgh, Kfj. W, D6., 1970.

39. Гийасаддин Али, Дневник похода Тимура в Индию, Москва, 1958.

40. Иоанн де Галонифонтибус, Сведения о народах Кавказа 1404 г., Баку, 1980.

41. Иоган Шильтбергер, Путешествие по Европе, Азии и Африке, Баку, Элм. 1984. сетевая версия- Thietmar.2002.

42. Руи Гонсалес де Клавихо, Дневник путешествия в Самарканд ко двору Тимура (1403-1406), М., ” Наука”, 1990., сетевая версия.

43.Фома Мецопский, История Тимур-Ланка и его преемников, Баку, 1957.

44. The History of Tamerlane and His Successors, by vardapet T’ ovma Metsobets’i, translated by Robert Bedrosian, New York, 1987.

ლიტერატურა

1. ბაგრატიონი იოანე, ხუმარსწავლა, კალმასობა, წიგნი I, თბ., 1990.

2. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, საქართველოს ისტორია XIII-XIV სს., კონსპექტი, თბ. 1965.

3. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III, თბ., 1966.

4. ბროსსე მ., საქართველოს ისტორია, მეფეთა და მთავართა გენიალოგიით და ხრონოლოგიით, ნათარგმნი და განმარტებული სიმ. ღოღობერიძის მიერ, გამოცემული ნიკ. ღოღობერიძის მიერ, თბ., 1895.

5. გაბაშვილი ვ., თემურ-ლენგი, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957.

6. გაბაშვილი ვ., თათართა შემოსევები საქართველოში, თბ. 1943.

7. გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, 1965.

8. გრიგოლია კ., ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954.

9. გრიგოლია კ., პასუხი რეცენზენტს, გაზ. “წიგნის სამყარო”, №1, 1973.

10. დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962.

11. დავით ბატონიშვილი, ისტორია რომელსა ეწოდების ნარკუÀვი, დაიბეჭდა წიგნი ესე ნარკუÀვი ტფილისს, 1800.

12. ვაშაკიძე ვ., ტერმინები “იბერია” და “იბერები” ანტიკურ წყაროებში, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993.

13. თოგოშვილი გ., საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV საუკუნის დამლევამდე), სტალინირი, 1958.

14. კარიჭაშვილი დ., საქართველოს მოკლე ისტორია, პირველი ნაწილი, ტფ., 1908.

15. კაციტაძე დ., ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებისა და “ქართლის ცხოვრების” გაგრძელებების XV ს. სპარსული წყაროები, აღმოსავლური კრებული, I, თბ., 1960.

16. კაციტაძე დ. ეპიზოდი XV საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიიდან, ჟურნ. “ცისკარი” №12, 1972.

17. კაციტაძე დ., საქართველო XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით), თბ., 1975.

18. კიკნაძე ვ., საქართველო XIV საუკუნეში, თბ. 1989.

19. კიკნაძე რ., ფარსადან გორგიჯანიძე და “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი”, თბ., 1975.

20. მაისურაძე გ., ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბ. 1982.

21. მამისთვალიშვილი ე., იოჰან შილტბერგერის ცნობები საქართველოს შესახებ, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა შრომები, თბ., 1971.

22. მამისთვალიშვილი ე., რუი გონსალეს დე კლავიხო, ცნობები საქართველოს შესახებ, ჟურნ. «მნათობი» № 8, 1971.

23. მელიქსეთ-ბეგი ლ., ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941.

24. მეტრეველი ე., ბერიძე ვ., ვახტანგ VI, თბ., 1975.

25. ნალბანდიანი ვ., თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე, თბ. 1959.

26. ნინიძე დ., ”პროვინციის მეფეები” XIV-XV საუკუნეების საქართველოში, (ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიიდან), თბ. 1995.

27. ნინიძე დ., საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგს, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, თბ. 1998.

28. ოდიშელი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის, (XIV-XVII სს.), კრ., XIV-XVIII საუკუნეების რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ. 1964.

29. პაიჭაძე გ., საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები რუსულ წყაროებში, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993.

30. პოტტო ვ., საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, თარგმანი ი. ბაქრაძისა, ტფ., 1894.

31. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.

32. სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბ. 1978.

33. ტაბატაძე კ., „ახალი ქართლის ცხოვრების“ ზოგი ცნობის წარმომავლობისა და სანდოობის შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971.

34. ტაბატაძე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974.

35. ღვაბერიძე ც., საქართველოს მეფის გიორგი VII-ისა და აჰმად ჯელაირის სახელით მოჭრილი მონეტების დათარიღებისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, LXI-B, თბ., 1991.

36. ჯავახიშვილი ივ, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1982.

37. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებები თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977.

38. ჯანაშვილი მ., საქართველოს ისტორია შედგენილი, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, ტფ., 1894.

39. Fwd94fg R., Kf4t7 khg s6fufgtyo4fg lfjrtyo4tyg, S. >>, D6., 1946.

40. Fvhmfg (., F46f6fj, Adgdjhu, 1890.

41. Fvhmfg (., Ehefufg , Adgdjhu, 1893.

42. F`f54fg K6., Kf4t7 fg3gfgtyggd6h wf5f6fg, Kfj. Z, D6., 1948.

43. Nfxhu4fg V. E., $takfgg8e B5gd7h, $f9fse bd6fufghg, D6., 1977.

44. Ntyzfwfm4fg F., Kf4-%tyed6dg wf5f6fg, D6., 1986.

45. Uh6fute4fg S. D., Kf4fejfgi Vfgu-Ofrty6h da oty6brdg 7d9d6h f6mfafgbgd6h m61fgtyr, D6. 1997.

46. Vdt, Kf4t7 Lfjrtyo4tyg, kfj. III, D6. 1946.

47. Kfutw4fg O. N., Kf4fejfgh lfjrfufg fmnf6kfs6tyo4tyg, D6. 1968.

48. Kf4 2t9ta6zh lfjrtyo4tyg, kfj. IV, D6. 1972.

49. Xfrx4fg7 Rhbf4dv, Kf4t7 lfjrtyohyg, K. F, D6. 1985.

50. Xfrx4fg7 Rhbf4dv, Kf4t7 lfjrtyohyg, K. S, D6. 1985.

51. Rfgfgz4fg K., Khg Kf4fejfgh svnfat6 `fgflf6kgd6i. $d6dafg, 1936.

52. Rfgfgz4fg K., Bggfufg jdetyo4tyg kf4 2t9ta6zh lfjetyo4fg, k. S. D6., 1977.

53. Rdvhb\wfnm4fg EJ. J., Kf4t7 lfjrtyo4fg f9w4ty6fshjtyo4tyg, D6., 1996.

54. {6rfgdfg R., Fcsflfjtyr, Kf4 ty99fqf5 dud9d7yt4 fg7bd6i euhcw8g rhgxdy

rd6 [6d6i 4f6fuh7 fcsf4hg lf6fsfgd6ta L6fu 11, Utejfgzgtyltvhe, 1913.

55. Kf4 2t9ta6zh lfjrtyo4tyg, Kfj. III, D6., 1972.

56. Али-заде А.А., Социально-экономическая и политическая история Азербайджана

XIII-XIVвв., Баку, 1956.

57. Бартольд В.В., Сочинения, т. 1, М., 1963; т. 2 , ч. 2, М., 1964; т.7, М., 1971.

58. Сукиасян А. Г., История Киликийского армянского государства и права, Ер. 1969.

59. Какабадзе С., Черты феодального строя и крестьянские повинности в Грузии в конце

средних веков (Пробная лекция прочитанная на Тифлисских курссах 23 марта 1911 г. для занятия кафедры истории Грузии), Тифлис, 1912 .

60. Кикнадзе Р. К., Некоторые сведения грузинских источников о Тимуре, ქართული წყაროთმცოდნეობა III, თბ. 1971.

61.Новосельцев А.П., Об исторической оценке Тимура, Вопросы истории, №2, 1973.

62. Очерк истории СССР, XIV-XVвв., Москва, 1953.

63.Петрушевский И. П., Движение сербедаров в Хорасане, Ученые записки Института востоковедения, XIV, М., 1956.

64. Пигулевская Н. В., Якубовский А. Ю., Петрушевский И. П., Строева Л.В., Беленицкий А. М., История Ирана с древнейших времен до XVIII века, Л., 1958.

65. Тизегаузен В. Г., Сборник материялов, относящихся к истории Золотой Орды, т. 2,

М.-Л. 1941.

66. И. Умняков, Из истории международных отношений Средней Азии с Западной Европой в начале XV в., М., 1960.

67. Якубовский А. Ю., Тимур, Вопросы истории, №8-9, 1946.

68. Якубовский А. Ю., Тимур и его время, История народов Узбекистана, т. 1, Ташкент, 1960.

69. Якубовский А. Ю., Великий патриот ширваншах Ибрагим, Баку, 1942.

70.Allen W. E. D., A History of the Georgian People, London, 1932.

70. Bedrosian R., “The Turco-Mongol Invasions and the Lords of Armenia in the 13-14th Centuries”, 1996. http://www.virtualscape.com/rbedrosian/dissert.html

71. Forbes Manz Beatrice, “The Rize and Rule of Tamerlane”, Cambridge University Press, 1999.

72. Forbes Manz Beatrice, “Temur and the Problem of the Conquerer’s Legacy”, Journal of the Royal Asiatic Society 8 pt. I, April 1998.

74. Nicolle DHvid,The Adge of Tamerlane, Ferst published in GB, in 1990 Osprey Publishing.

75. Minorsky V., Transcaucasica, Journal Asiatique, Juillet-Septembre 1930.

76. Brosset M., Historie de la Géorgie depuis l’antiquité jusqu’en 1469 de J.C., 1Re Partie, St. Petersbourg, 1849.

77. Brosset M, Additions et éclaircissements à l’historie de la Géorgie depuis l’antiquité jusqu’en 1469 de J.C., St. Petersbourg, 1851.

78. Richard J. La papauté et les missions d’ Orient au moyen âge (XIII-XV siècles), Collection de L’école Française de Rome -33, Rome,1977.